ეროვნული ბიბლიოთეკა

№032 (12 102)
9 თებერვალი პარასკევი 2007
გამოდის 1934 წლიდან
ფასი 50 თეთრი

კლაუს, თურქებს მოუგეთ?!

ჭოჭმოლარის მონოლოგი 16

- მთავარია, ხალხს დავანახოთ, რომ ვიბრძვით! უნდა იბრძოლოთ თქვენი სამშობლოსთვის, თქვენი ხალხისთვის, ამ პატარა ქვეყნისთვის. სტადიონი სავსეა. 60 000 გულშემატკივარი იმისთვის მოვიდა, რომ დარწმუნდეს - ის 2:5 დიდი შეცდომა იყო. ეს არ არის ამხანაგური თამაში, ეს ომია, რომლის მოგებაც შეგვიძლია. - ეს იყო უკანასკნელი სიტყვები, რომელიც ბიჭებს მოედანზე გასვლამდე ვუთხარი...

თამაშის დაწყების წინ, როცა გასახდელში ფეხბურთელებს უკანასკნელ დარიგებებს ვაძლევდი, მათ სახეებს კარგად ვაკვირდებოდი და ეჭვი არ მეპარებოდა იმაში, რომ მოედანზე თავს არცერთი არ დაზოგავდა. - ხიზან, შენ ჰალილის წინააღმდეგ თამაშობ. ამ ფეხბურთელმა დღეს ვერ უნდა იხეიროს. ყურადღებით იყავი, ფლანგზე ხშირად გადადის ხოლმე, ცდილობს მცველი გაიტყუოს და მეორე ფორვარდს დერეფანი გაუთავისუფლოს...

სამშაბათს, როცა საჯარიმო დარტყმებზე და სტანდარტულების გათამაშების სხვადასხვა ხერხებზე ვმუშაობდით, დემეტრაძემ ცოცხალი კედელი დააყენა, ხელი კარისკენ გაიშვირა და დამიძახა:

- ტრაინერ, გოლ!

შესანიშნავად დაარტყა და გაიტანა კიდეც. ტაში დავუკარი და მივაძახე, აბა მეორესაც თუ გაიტან?

- ტრაინერ, გოლ! - ისევ იყვირა დემემ, ბურთი ცოცხალ კედელს კვლავ ჩინებულად გადაატარა და ისევ გაიტანა! მესამესაც თუ გაიტან, 50 ლარს ვიხდი-მეთქი...

დემემ თამაშში იგივე ვერ გააკეთა, სამაგიეროდ, გოგუამ დაარტყა შესანიშნავად...

DAVIS CUP by BNP PARIBAS

დღეს, ხვალ და ზეგ: დრიანი დევისი

საქართველოს ნაკრები: გელა ელერდაშვილი (კაპიტანი), ირაკლი ლაბაძე, ლადო ჩიხლაძე, გიორგი ჭანტურია, გიორგი ხრიკაძე

ნუგზარ სუარიძის ფოტოები

I ევრო-აფრიკული ზონა

I წრე. 9-11 თებერვალი. თბილისი, სპორტის სასახლე

საქართველო-პორტუგალია

დღეს, 13 საათიდან
ირაკლი ლაბაძე - რუი მაჩადო
ლადო ჩიხლაძე - ფრედერიკო ჟილი
შაბათს, 16 საათიდან
ჩიხლაძე, ლაბაძე - გასტაო ელიაში, ჟილი
კვირას, 13 საათიდან
ირაკლი ლაბაძე - ფრედერიკო ჟილი
ლადო ჩიხლაძე - რუი მაჩადო

გაზეთი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
ეროვნული ბიბლიოთეკა
www.pfl.ge

საქართველო-თურქეთი 1:0. ნუგზარ შუარიძის ფოტორეპორტაჟი

ცქიტიშვილი, რევიშვილი, ხიზანიშვილი. ეროვნული ჰიმნი

იმპერატორი ყაბალახში

გრიგოლ ცაავა და ნოდარ ახალკაცი



...ასრულებს ლადო ბურდული

დავით მუჯირი





გიორგი ლომაია

გაზეთი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
ეროვნული ბიბლიოთეკა
www.pfl.ge

საქართველო-თურქეთი 1:0

თურქეთთან თამაშში ერთადერთი გოლის ავტორმა დავით სირაძემ მეორედ ითამაშა ტოპმიოლერის გუნდში. უკვე თამამად შეიძლება ითქვას, რომ მეორე ბუნდესლიგის "აუეს" ფორვარდმა ეროვნულში ადგილი დაიმკვიდრა.

საინტერესოა თავად ფორვარდი რას განიცდის და რას ფიქრობს. დავით სირაძეს ყოველივეზე გუშინ გავესაუბრეთ.

ინტერვიუ დავით სირაძესთან

დაუვიწყარი წუთები

დავით სირაძე — ნუგზარ სუარიძის ფოტო

- დავით, საუბარი განვლილი მატჩით დავიწყოთ...

- თურქეთთან ნებისმიერი გუნდის თამაშს თავისი დატვირთვა აქვს, თუნდაც ეს ამხანაგური მატჩი იყოს. თუმცა როცა ეროვნული ნაკრებების დაპირისპირებაზეა საქმე, ბუნებრივია თამაშის ინგრიგა იმატებს. ყველა ამ ფაქტორის გათვალისწინებით, თურქეთთან ამხანაგური შეხვედრაც დაძაბული და საინტერესო გამოვიდა. ძალიან გვინდოდა, სწრაფი გოლით დავწინაურებულიყავით, მაგრამ ეს ვერ შევძელით. თუმცა მეორე ტაიმში მაინც გავიტანეთ. მთავარია, მოვიგეთ და ათასობით გულშემატკივრის გახარება შევძელით.

- იქნებ შენ მიერ გატანილი ის გოლი გაიხსენო...

- გოგუას ჩაკიდებულ მაღალ ბურთს ჩემამდე ვერავინ შეწვდა, მცველს დავასწარი და თავურით კარში გავუშვი... ყზომოდ გავიხარე, როცა ბურთი კარის ბადეში დავინახე... ეს წუთები კარგა ხანს მემახსოვრება.

- ეროვნულ ნაკრებში ეს შენი პირველი გოლი იყო, თანაც გადამწყვეტი და ერთობ მნიშვნელოვანი...

- ამას ნელ-ნელა უფრო მეტად აღვიქვამ. ყველას ძალიან გვინდოდა მატჩის მოგება და პირადად ჩემთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ჰქონდა თუ ვინ გაიტანდა გამარჯვების გოლს. ბედნიერი ვარ, რომ ეს პატივი მე მერგო.

- ამ მატჩამდე რამდენიმე დღით ადრე გაცხადდა, რომ ნაკრებს არველაძე, კობიაშვილი, კალაძე, მარცვალაძე, კანკავა დააკლდებოდნენ. ამან გუნდზე ფსიქოლოგიურად იმოქმედა?

- ძალიან ცუდი მომენტია, როცა ძლიერი გუნდის წინააღმდეგ წამყვანი ფეხბურთელები აკლდება გუნდს. სამწუხაროდ, ჩვენს ნაკრებში მსგავსი ადრეც მომხდარა. თუნდაც, ურუგვაისთან მატჩისწინა პერიოდი ავიღოთ. მაშინაც დაგვაკლდნენ წამყვანი ფეხბურთელები, მაგრამ გავედით და დავამარცხეთ მეტოქე. ასეთ ვითარებაში მნიშვნელოვანი და შეიძლება ითქვას, გადამწყვეტია მწვრთნელების ფაქტორიც. კლაუს ტოპმიოლერმა ფსიქოლოგიურად ისე განგვაწყო, რომ თურქეთი კი არა, უფრო ძლიერი ნაკრები რომ ყოფილიყო ჩვენ წინააღმდეგ, ფსიქოლოგიურად არანაირ წნეხში არ ვიქნებოდით. გარდა ამისა, ტოპმიოლერმა მეტოქე დეტალურად შეგვასწავლა. ყველა ეს ფაქტორი კი ნებისმიერი გუნდის წინააღმდეგ მნიშვნელოვანი მომენტებია.

- წლების წინ, თავადვე თამაშობდი თურქეთში და მათი ნაკრებიდან ვინმეს ხომ არ იცნობდი?

- ძმებ ალთინთოფებსა და 10 ნომერს, გიოქდენიზ კარადენიზსაც ვიცნობ, რომელიც ადრე "ტრაბზონსფორში" ასპარეზობდა. მატჩის დაწყებამდე ერთმანეთს მივესალმეთ კიდეც...

- მატჩის მსვლელობისას გაწევ-გამონაწევის გამო თამაში ორჯერ შეწყდა. მატჩის შემდეგ, ამაზე ხომ არაფერი უთქვამთ თურქებს?

- არა, არაფერი. თამაშის შემდეგ მეტოქეს თბილად დავემშვიდობეთ.

- ორი თამაში და ერთი გოლი, თანაც გადამწყვეტი. თუ ასე გააგრძელებ...

- (იცინის) ნაკრებში თამაში დიდი ხნის განმავლობაში ჩემი ოცნება იყო. ეროვნულში ადრეც ვიყავი გამოძახებული, მაგრამ ჩემთვის ეს ნაკრები სულ სხვაა. თუნდაც, კლაუს ტოპმიოლერის ფაქტორის გამო. ის ახალ და ძლიერ გუნდს აშენებს. ისეთ ნაკრებს ქმნის, რომელიც ჯგუფიდან უნდა გავიდეს. კარგად ვიცი, ამას დრო სჭირდება და მალე არ მოხდება, მაგრამ ისიც კარგად გვესმის, რომ ტოპმიოლერს ამ საქმეში ყველა ფეხბურთელი მხარში უნდა ამოვუდგეთ და ყველა თამაშში მაქსიმუმი გავიღოთ.

- თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეროვნულში ადგილი უკვე დაიმკვიდრე და ალბათ შოტლანდიაშიც მოგიწევს თამაში...

- კარგია თუ ეს შევძელი. თუმცა მიღწეულით არ დავკმაყოფილდები და მომავალ მატჩებშიც წარმატებით უნდა ვითამაშო.

- ეს წელიწადი წარმატებით დაიწყეთ. მაგრამ უფრო მნიშვნელოვანია შესარჩევი ციკლი განვაახლოთ შედეგიანად. მარტში შოტლანდიაში ხომ გაცილებით რთული და მნიშვნელოვანი მატჩი გველის...

- დიახ, შოტლანდიამ შარშან ფრანგების დამარცხებით, ჯგუფიდან გასვლაზე სერიოზული განაცხადი გააკეთა. მათ 9 ქულა აქვთ და ბუნებრივია ბოლომდე იბრძოლებენ. წყვილში ფავორიტი შოტლანდიაა, მაგრამ ფავორიტების დამარცხება რომ შეგიძლია, ეს დავამტკიცეთ.

დავით ცაბაძე

თურქულ პრესაში

ზამანმა ნაკრები შეგვიფასა

თურქული ყოველდღიური გაზეთი "ზამანი" საქართველო - თურქეთის მატჩის მონაწილე ფეხბურთელთა შეფასებებს გვთავაზობს, რომლის მიხედვითაც ჩვენი თურქი კოლეგების კომპეტენტურობაში ეჭვის შეტანის რეალური საფუძველი გვაქვს. თურქი ჟურნალისტების შეფასებები, რბილად რომ ვთქვათ, გაუგებარია. თავად განსაჯეთ, მატჩის ერთ-ერთ გმირ **გოგიტა გოგუას** მათ 4 ბალი დაუწერეს, თავიანთ დებიუტანტ 19 წლის **არდას**, რომელმაც **შაშიაშვილი** ფლანგზე გატანჯა, ასევე 4 ბალი არგუნეს, მაშინ როცა ჩვენი მცველი 6 ბალით დააჯილდოვეს. ვინმეს შეიძლება ეჭვი შეეპაროს, თურქები გერმანელებივით "უკულმა" ხომ არ ითვლიან შეფასებებს, მაგრამ აგერ გამარჯვების გოლის ავტორს და ერთ-ერთ საუკეთესო **დავით სირაძეს** 7 ბალი მიანიჭეს. "ზამანის" კიდევ ერთი ლაფსუსი - მათ ვერ შეამჩნიეს, რომ მეორე ტაიმში **ნუკრი რევიშვილი გიორგი ლომაიამ** შეცვალა, ასე რომ "ნუკრი რევიშვილის" 7 ბალი ორივე ქართველ გოლკიპერს ეკუთვნის. თურქებმა თავიანთი თანამემამულეებიდან მეკარე ვოლქანი და ორი მცველი, **ჰამით ალთინთოპი** და **აიდინი** (6-6 ბალი) გამოარჩიეს. ახალგაზრდულ ნაკრებთა მატჩში მასპინძლთაგან ყველაზე მაღალი შეფასება **აკაკი ხუბუტიას** აქვს - 5. ჩვენი ნაკრების ფეხბურთელთა "ზამანისეულ" შეფასება ასეთია: რევიშვილი (7), შამიაშვილი (6), სალუქვაძე (6), ხიზანიშვილი (5), ელიავა (6), მენთეშაშვილი (6), ცქიტიშვილი (7), ბურდული (6) (აშვეთია - შ. გ.), კვირკველია (5) გოგუა (4), დემეტრაძე (7) ბენაშვილი (შ. გ.), სირაძე (7), მუჯირი (3).

ნიკოლოზ ნეფარიძე

ინტერვიუ ზაალ ელიავასთან

სკონტოში აღარ დავრჩები

ზაალ ელიავა, 21 წლის, რიგის "სკონტოს" მცველი - ქართველმა გულშემატკივარმა, ასე გვგონია, ამ მშრალი სტატისტიკის იქით, ახალგაზრდა ფეხბურთელზე არაფერი იცის.

სამწუხაროდ, გულშემატკივარი არ წყალობს საქართველოს ჩემპიონატს და "თბილისის" ყოფილი ფეხბურთელი, მხოლოდ რამდენიმე სპეციალისტისა და ჟურნალისტისთვის თუ იყო ცნობილი.

თურქებთან მოგების შემდეგ მასზე უკვე ხალხი ალაპარაკდა, ნაკრებში ნიჭიერი ბიჭი გამოჩნდაო. ფათიჰ თერიმის გუნდი ხელწამოსაკრავი ნაღდად არაა და არიფებს არ აბაირამებს.

ზაალი კი დაცვაშიც საიმედო იყო და ერთი-ორჯერ ეფექტურად შეტევებშიც ჩაერთო.

ემოციები ჩაცხრა, მაგრამ ზაალმა თურქებთან მატჩს სიამოვნებით გაიხსენა:



- ჩემთვის შეხვედრა ორმაგად მნიშვნელოვანი იყო. ნაკრებში მოხვედრა ყველასათვის სასიხარულოა და კიდევ: ეს იყო ჩემი პირველი თამაში ეროვნულში, ქართველი გულშემატკივრების წინაშე. თურქეთის ნაკრები ძალიან ძლიერია და ეს ჩემთვის უფრო სტიმული იყო. ხალხის მოსვლამაც გაგვახარა და თამაში წაგვივიდა.

- თამაში დაძაბული გამოდგა. საინტერესოა მაყურებლისთვს უცნობი ფაქტები, რამ გამოიწვია ბოლო წუთებზე განვე-გამონაწევები?

- ერთ-ერთმა თურქმა, მსაჯისგან მალულად, მენთეშაშვილს წიხლი ჩაარტყა და ვერ მოვითმინეთ.

- ტრავმის გამო ძალიან დიდი დრო გაგიცდა...

- თითქმის ნახევარი წელი. ბეჭი სამჯერ ამომივარდა და ბოლოს ოპერაცია გავიკეთე. სხვაგვარად, ვერ ვირჩენდი.

- თურქებთან სერიოზულად დაშავდი?

- არაფერი განსაკუთრებული არ მომხდარა. თუმცა ისე დამეჯახა, ამის დიდი შანსი იყო.

- დარწმუნებული ვარ, თურქებთან მატჩის შემდეგ "სკონტოზე" უკეთეს გუნდში თამაშის სურვილი გაგიჩნდებოდა.

- ამას არც ვმალავ. წლეულს რიგელებთან კონტრაქტი მიმთავრდება და გახანგრძლივებას და დარჩენას არ ვაპირებ. წლის ბოლოს ყველაფერი უნდა გაირკვეს.

- სანამ დაშავდებოდი, ხმები აგორდა, თითქოს გერმანიაში გინვევდნენ.

- თუ დამიჯერებთ, მეც მხოლოდ თქვენსავით გავიგე და პირადად არცერთი გერმანული კლუბიდან არავინ არ დამლაპარაკებია.

- საქართველოსა და ლატვიის ჩემპიონატები დონით მნიშვნელოვნად განსხვავდება?

- სიმართლე გითხრათ, ვერ ვიტყვი, რომ ლატვიაში უკეთესი ფეხბურთელები არიან, ვიდრე საქართველოში. პირიქით, აქ ბევრად უკეთესები გვყავს. უბრალოდ, გაცილებით უკეთესი პირობები აქვთ და რაც მთავარია, საქმისადმი სწორი დამოკიდებულებაა და ყოველი ფეხის ნაბიჯზე დისციპლინა იგრძნობა. ეს შედეგებზეც აისახება. ჩვენ ასეთი ორგანიზებით გაცილებით მეტს მივაღწევდით.

მერაბ მამულაშვილი

გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge

გიორგი შაშიაშვილი

დინამო

შაშიაშვილმა უგრინი გაიცნო

ოდესის "ჩერნომორეცში" ქართველებს რომ გარკვეული პრობლემები შეექმნათ, უკვე ვწერდით. **გიორგი შაშიაშვილი, ახა მჟავანაძე** და **ილია კანდელაკი** ახალ გუნდს ეძებენო, ითქვა. შაშიაშვილისა და მჟავანაძისგან განსხვავებით, კანდელაკი, კლუბის შეცვლის აუცილებლობის წინაშე ჯერჯერობით სერიოზულად არ დგას. თუმცა ოდესიდან აბარგება, როგორც გავიგეთ, მასაც გადაწყვეტილი აქვს.

გუშინ გიორგი შაშიაშვილი დიღმის საწვრთნელ ბაზაზე იმყოფებოდა და კლუბის ხელმძღვანელობასთან საუბრის შემდეგ, "დინამოს" მთავარ მწვრთნელ **დუშან უგრინსაც** გაეცნო.

რამდენიმე დღის წინათ, "ლელოსთან" საუბარში გიორგი შაშიაშვილმა სეზონის ბოლომდე თბილისის "დინამოში" თამაშის ვარაუდი გამოთქვა. გუშინდელმა სტუმრობამ "დინამოს" ბაზაზე გარკვეული ეჭვები გააჩინა. ვითარებაში გასარკვევად შაშიაშვილს დავუკავშირდით. ჩვენი ინფორმაციით, თითქმის გადაწყვეტილია, რომ ის დროებით "დინამოში" ითამაშებს. თავად გიორგიმ ჩვენთან საუბარში მოვლენათა ასეთი განვითარება ყველაზე რეალურად მიიჩნია:

"ბაზაზე ვიყავი და კლუბის ხელმძღვანელობას ვესაუბრე. მერე მთავარი მწვრთნელი დუშან უგრინიც გავიცანი.

ოდესის "ჩერნომორეცი" ჩემთვის გუნდს ეძებს სადაც გამანათხოვრებს ან გამასხვისებს. გუშინაც მქონდა საუბარი ოდესური კლუბის ხელმძღვანელობასთან. მათ კლუბი არ დაუსახელებიათ, მაგრამ ის კი მითხრეს, რომ რუსული პრემიერლიგის ერთ-ერთ კლუბთან ჰქონდათ საუბარი. სამწუხაროდ, რუსები ოდესელებთან პირობებზე ვერ შეთანხმდნენ - "ჩერნომორეცის" მიერ მოთხოვნილი თანხის გადახდაზე უარი თქვეს. მერე მითხრეს, რომ მაისის ბოლომდე იჯარაში მხოლოდ "დინამოს" არ მოსთხოვენ თანხას. ასე რომ, ჩემს სანაცვლოდ გადასახდელ თანხას თუკი არავინ გაიღებს, მაშინ დროებით "დინამოში" მომიწევს თამაში. როგორც ჩანს, ეს ვარიანტი ყველაზე უფრო რეალური მოჩანს. 10 თებერვალს ოდესაში უნდა ჩავიდე, კლუბის ხელმძღვანელებს შევხვდები და ყველაფერი იქ გადაწყდება".

დავით ცაბაძე

ვიტ ჯორჯია

მოგება და ფრე

თურქულ შეკრებაზე მყოფმა ვეტერინარებმა 7 თებერვალს პირველი საკონტროლო მატჩი გამართეს. მათი მეტოქე ყაზახური "ორდაბასი" იყო. ქართველებმა მატჩის მიწურულს გატანილი გოლით იმარჯვეს. მეტოქის კარი 85-ე წუთზე გუნდის ახალწვეულმა **კიკნაძემ** დალაშქრა. მან **კვაღინიძის** პასი გამოიყენა.

"ვიტ ჯორჯიის" თამაშის ხარისხით მისი მთავარი მწვრთნელი **ნესტორ მუმლაძე** კმაყოფილი დარჩა. ჩვენებს კარგი ფიზიკური მომზადება გამოუვლენიათ და არცთუ ხელწამოსაკრავი მოწინააღმდეგისთვის დამაჯერებლად უჯობნიათ. შეხვედრის უდიდესი ნაწილი ვეტერინართა უპირატესობით წარიმართა. გოლის გატანის კარგი შესაძლებლობები გაუშვეს ხელიდან **გელაშვილმა** და **სახოკიამ.**

მუმლაძემ პირველი ტაიმის შემდეგ ცხრა ფეხბურთელი შეცვალა.

"ვიტ ჯორჯია" პირველ ტაიმში: ბედიაშვილი, ლომაია, პ. დათუნაიშვილი, კობიაშვილი, ჯაფარიძე, ა. კვახაძე, გ. დათუნაიშვილი, რაზმაძე, სახოკია, გელაშვილი, ღუჭაშვილი.

მეორე ტაიმში: მიქაბერიძე, ბეჭვაია, კობიაშვილი, კაიშაური, მელქაძე, კვაღინიძე, კლიმიაშვილი, იმერლიშვილი, კიკნაძე, ღუჭაშვილი, ლიპარტია.

გუშინ კი "ჯორჯია" მაკედონიის ჩემპიონ "რაბოტნიჩკის" გაეჯიბრა. თამაში საკმაოდ საინტერესო გამოდგა, მაგრამ უგოლო ფრით დასრულდა. ამ შეხვედრაში თბილისელთა შემადგენლობა ასეთი გახლდათ:

ბედიაშვილი, პ. დათუნაიშვილი, ა. კვახაძე, ლომაია, ჯაფარიძე, რაზმაძე, გ. დათუნაიშვილი, კვაღინიძე, სახოკია (46. მელქაძე), კიკნაძე (66. ღუჭაშვილი), გელაშვილი.

ჩიხურა

ყველაფერი დღეს უნდა გაირკვეს

წესით და რიგით, დღეს საჩხერეში "ჩიხურას" ხელმძღვანელობის სხდომა უნდა გაიმართოს, სადაც კლუბის მომავალი საბოლოოდ გადაწყდება. შეგახსენებთ, საჩხერულ გუნდს მეორე წრისთვის სამზადისი ჯერ არ დაუწყია, რისი მიზეზიც დაფინანსების შეწყვეტაა. "ჩიხურას" ფეხბურთელთა უდიდესმა ნაწილმა გაურკვეველ სიტუაციაში დარჩენა არ ისურვა და ახალი გუნდი მოძებნა.

სეზონის განახლებამდე ცხრა დღე რჩება და დაფინანსების ამბავი დადებითადაც რომ გადაწყდეს, ძნელი წარმოსადგენია, როგორ უნდა იბრძოლოს გუნდმა თუნდაც უმაღლეს ლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად.

კვლავ არაა გამორიცხული, რომ "ჩიხურამ" უმაღლესში საკუთარი ადგილი სხვა კლუბს მიჰყიდოს. იმედი ვიქონიოთ, რომ საჩხერელები ბრძოლის გაგრძელებას ახალგაზრდული შემადგენლობით მაინც შეძლებენ და ეროვნულ ჩემპიონატს ცამეტი გუნდი არ ჩაამთავრებს.

ლევან ჯანეზაშვილი

გორჯომი

სამცხური დერბი

სეზონის მეორე ნახევრისთვის მზადებას "ბორჯომი" ადგილზე განაგრძობს. გუშინ **ვლადიმერ ხაჩიძის** შეგირდებმა საკონტროლო მატჩში ახალციხის "მესხეთს" უმასპინძლეს და პირველლიგელი მეტოქე 1:0 დაამარცხეს. გამარჯვების გოლი მეორე ტაიმში "ბორჯომის" ახალწვეულმა **ალექსანდრე კაიდარაშვილმა** გაიტანა.

ბორჯომელთა ძირითადი შემადგენლობა ასეთი იყო: **შეყრილაძე, მემარნიშვილი, ლ. მერებაშვილი, ნადირაშვილი, ღონღაძე, ავალიანი, საყვარელიძე, კოშკაძე, კვერნაძე, ჯიქია, კაიდარაშვილი.**

შეცვლაზე შევიდნენ: **გოგიჩაიშვილი, თედიაშვილი, ქარქუზაშვილი, ღომიძე, მძინარიშვილი.**

ალექსანდრე კოშკაძისა და **ლევან მერებაშვილის** შემდეგ, "ბორჯომს" გორის "დილის" ყოფილი ფეხბურთელები, ნახევარმცველი **ალბერტ საყვარელიძე** და თავდამსხმელი **გალაქტიონ მძინარიშვილიც** დაემატნენ, რითაც გუნდის დაკომპლექტება, ფაქტობრივად, დასრულდა. ხაჩიძე სეზონის განახლებამდე კიდევ ერთი სპარინგპარტნიორის მოძიებას აპირებს.

შეგახსენებთ, 2007 წლის პირველ ოფიციალურ შეხვედრას "ბორჯომი" 18 თებერვალს, საქართველოს თასის მეოთხედფინალში, სტუმრად "ზესტაფონთან" გამართავს.

ლევან ჯანეზაშვილი

ამერი

ხორვატი სინჯებზე

გოლი ამერის კარში

"ამერის" ოფიციალური ვებგვერდი იუწყება, რომ თბილისელებმა 6 თებერვალს, თურქულ შეკრებაზე, ბოლოსწინა სპარინგი ჩაატარეს პოლტავის "ვორსკლასთან". მატჩი ფრედ 1:1 დასრულდა.

ეს გუნდები ერთმანეთს შარშანაც დაუპირისპირდნენ და მაშინაც ფრედ ითამაშეს. თბილისელებმა ვერ დაიხმარეს ის ოთხი ფეხბურთელი, რომლებიც ახალგაზრდულ ნაკრებში თურქეთისთვის ემზადებოდნენ.

ვებგვერდის ინფორმაციით, მატჩი მაღალ ტემპში წარიმართა და ორთაბრძოლების სიმრავლით გამოირჩეოდა. ამის მიუხედავად, ბევრი საგოლე მომენტი არ შექმნილა. რამდენიმე კარგად დაწყებულ კომბინაციას სწორი დასრულება დააკლდა. ანგარიში 65-ე წუთზე უკრაინელებმა გახსნეს. **იარმაშის** შესრულებული საჯარიმო დარტყმის შემდეგ ბურთი ჯერ ძელს მოხვდა და შემდეგ კარის ბადეში გაეხვა 0:1.

ამის მერე "ამერმა" შეუტია და რამდენიმე კარგი მომენტი შექმნა. პოლტაველთა ვებ-გვერდზე შევიტყვეთ, რომ ჩვენს ფეხბურთელებს ბრძოლისუნარიანობა გამოუვლენიათ და საპასუხო გოლი მატჩის დასრულებამდე 7 წამით ადრე გაუტანიათ. **გიორგი ნიკოლაიშვილმა** საჯარიმოში ჩაანოდა, **ლადო კაკაშვილის** დარტყმული მეკარემ მოიგერია, **იური გაბისკირიამ** კი დამატებაზე ითამაშა.

ამერი: ქვაჩახია, დავითნიძე, კაკაშვილი, დიდავა, ჩიკვილაძე (ნიკოლაიშვილი 74), ბოლქვაძე (78. გაბისკირია), დობროვოლსკი (68. მესხი), დოლიძე, ჯელაძე, დავითაშვილი, პეტრიჩიჩი (60. ჩიმაკაძე).

მომდევნო მატჩს "ამერი" 9 თებერვალს ლიხტენშტაინის "ვადუცთან" გამართავს. მეორე დღეს გუნდი კი თბილისში დაბრუნდება.

ამერული სიახლეებიდან გამოსარჩევია შემდეგი ამბავი: პოლტაველებთან სასტარტო შემადგენლობაში იყო გასაოცრად ჩასული ხორვატი თავდამსხმელი **ფრანე პეტრიჩიჩი**. აღსანიშნავია, რომ "ამერის" ვებგვერდზე არ უცდიათ იმ ფაქტის დამალვა, რომ მეტოქეს ძირითადის რამდენიმე ფეხბურთელი არ ჰყავდათ.

მერაბ მამულაშვილი

ლევან ყენია

თბილისის "ლოკომოტივი" 6 თებერვალს ურეკში მოსამზადებლად გაემგზავრა. მთავარი სიახლე გუნდში დროებით **ლევან ყენიას** დაბრუნებაა.

როგორც ცნობილია, ლევანის ესპანეთის პრიმერა დივიზიონის "ლევანტეში" იწვევენ, მაგრამ დღემდე ვიზას ელოდა.

თუ რა მოხდა, თბილისის "ლოკომოტივის" გენერალური დირექტორი, **დიმიტრი ობოლაძისგან** შეიტყობთ:

"ლევანი ზაფხულამდე ჩვენთან ითამაშებს. ტრანსფერი არ ჩაშლილა, უბრალოდ, ვიზის მილება უყოვნდება. მშობლებმა უნდა მიიღონ ესპანეთში შესვლის უფლება და რადგან ეს პროცედურა გაიწელა, ლევანმა ზაფხულამდე დარჩენა გადაწყვიტა. ის ახლა გუნდთან ერთად ურეკში ემზადება და 23 თებერვალს "ზესტაფონთან" ჩემპიონატის მატჩს ჩაატარებს. სხვათა შორის, ბაქოს "ინტერს" ძალიან მოეწონა, მაგრამ ფეხბურთელი ესპანეთში უნდა წავიდეს და სხვა ვარიანტს არ განვიხილავთ".

მისივე თქმით, "ლოკომოტივმა" "გაგრიდან" საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ყოფილი კაპიტანი **ირაკლი სამხარაძე** დაიმატა. 23 წლის ნახევარმცველი დუბაიში ხარკოვის "მეტალისტში" გასასინჯად ჩავიდა, მაგრამ ტრავმის გამო უკან მობრუნება მოუხდა.

"ლოკომოტივი" **გიორგი ალავერდაშვილმა** დატოვა. ის, სავარაუდოდ, ბოლნისის "სიონში" ითამაშებს.

მერაბ მამულაშვილი

ლოკომოტივი

ლევან ყენია ზაფხულამდე თბილისში ითამაშებს

სამხარაძეც რკინიგზელია

www.kazbegi.com

გახსენი...
ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

ახალგაზრდული ნაკრებები

ახალი ფორმატი

13 თებერვალს, სტოკჰოლმიხ ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის ნილისყრა მოეწყობა. უეფამ 21-წლამდელთა საკვალიფიკაციო ციკლის ფორმატი კიდევ ერთხელ შეცვალა. საკვალიფიკაციო ჯგუფები ეროვნულისგან კვლავ დამოუკიდებელი იქნება, ოღონდ მათში უკვე ხუთ-ხუთი გუნდი იქნება გაერთიანებული, ერთ ჯგუფში კი ექვსი ნაკრები მოხვდება.

ფინალური ეტაპი 2009 წლის 14-დან 27 ივნისამდე ჩატარდება შვედეთში. ტრადიციისამებრ, მასპინძლები შესარჩევისგან გათავისუფლებულნი არიან, დანარჩენი 51 ქვეყანა (მათ შორის, ფიფას ახალწვეული ჩერნოგორიაც) ათ ჯგუფს შექმნის. ჯგუფების გამარჯვებულები და ოთხი საუკეთესო მეორეადგილოსანი ორმატჩიან ფლეი-ოფში ფინალური ეტაპის დანარჩენ შვიდ მონაწილეს გამოავლენენ.

ბოლო ორ შესარჩევ ტურნირში ნაჩვენები არადამაკმაყოფილებელი შედეგებისა და შესაბამისად, არცთუ სახარბიელო რეიტინგის გამო, საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები მეოთხე კალათაში მოხვდა. ბუნებრივია, ამ კალათში მოხვედრილი გუნდები ჩვენი მეტოქეები ვერ იქნებიან და მონინააღმდეგეები სხვა კალათებიდან გვერგებიან.

ლევან ჯანეზაშვილი

პირველი კალათა

ჰოლანდია, პორტუგალია, იტალია, საფრანგეთი, გერმანია, ბელგია, სერბეთი, ჩეხეთი, დანია, ესპანეთი

მეორე კალათა

რუსეთი, ინგლისი, ხორვატია, ისრაელი, შვეიცარია, უნგრეთი, რუმინეთი, უკრაინა, სლოვაკეთი, სლოვენია

მესამე კალათა

თურქეთი, საბერძნეთი, პოლონეთი, ბელარუსი, ნორვეგია, ბოსნია, ისლანდია, ბულგარეთი, ლიტვა, მოლდოვა

მეოთხე კალათა

ავსტრია, ლატვია, უელსი, ირლანდია, ჩრდ. ირლანდია, მაკედონია, საქართველო, სომხეთი, ალბანეთი, ფინეთი

მეხუთე კალათა

შოტლანდია, ყაზახეთი, კვიპროსი, მალტა, სან მარინო, ესტონეთი, აზერბაიჯანი, ლუქსემბურგი, ლიხტენშტეინი, ფარერები, ჩერნოგორია

მეტოქეები

უკრაინის კონტრასტული ტაიმები

ისრაელი–უკრაინა 1:1

1:0 ბადირი (37), 1:1 კალინიჩენკო (73)

ისრაელი: ავათი, ზივი, შპუნგინი, ბენ ჰაიმი, ბენადო, გერშონი, ბენ შუშანი, ბადირი, ტოანი (81. კატანი), საარი (71. ბალილი), ბენაიუნი

უკრაინა: შუსტი, რომანიუკი (64. სვიდერსკი), ჩიგრინსკი, იეზერსკი, ლევჩენკო, ტიმოშჩუკი (46. მიხალიკი), რუსოლი, გუსევი (61. როტანი), კალინიჩენკო, ვორონინი (46. მილევსკი), შევჩენკო (61. ბელიკი)

გაფრთხილება: მიხალიკი (90)

კლაუს ტოპმოლერისგან განსხვავებით, **ოლეგ ბლოხინს** გუშინ საკადრო პრობლემები ნაკლებად ანუხებდა. უკრაინელებს ტრავმის გამო, ფაქტობრივად, ერთი წამყვანი ფეხბურთელიც კი არ მოუსაკლისებიათ. ნაკრებში მისი ყველა ჯანმრთელი წევრი გამოცხადდა. შეხვედრას სათადარიგოთა სკამიდან ადევნა თვალი უკრაინის ეროვნული გუნდის ძირითადმა მეკარემ, **ალექსანდრ შოვკოვსკიმ**, რომლის ამხანაგურში თამაშიც ბლოხინმა ზედმეტად მიიჩნია.

როგორც მოსალოდნელი იყო, უკრაინელთა თავკაცმა გუნდის ლიდერები 90 წუთით არ დატვირთა. შეცვლამდე **ანდრეი შევჩენკო** და მისი სეხნია **ვორონინი** საკმაოდ კარგად გამოიყურებოდნენ, ყურადღების ცენტრში განსაკუთრებით ეს უკანასკნელი მოექცა, რომელმაც ორი რეალური საგოლე შეაძლებლობა გაუშვა ხელიდან.

პირველ ტაიმში სტუმრები კი აქტიურობდნენ, მაგრამ მასპინძლებს მათგან განსხვავებით, საკუთარი შანსი არ გაუნიავებიათ და 37-ე წუთზე **ვალიდ ბადირმა** ოცი მეტრიდან გახსნა ანგარიში. მას უკრაინელთა ახალგაზრდა კიპერის, **ბოგდან შუსტის** შეცდომამაც შეუწყო ხელი.

შესვენების შემდეგ უკვე ებრაელები გამოცოცხლდნენ, მაგრამ მოპოვებული უპირატესობის განმტკიცება ვერ შეძლეს და გოლი აქეთ მიიღეს. 73-ე წუთზე **მაქსიმ კალინიჩენკოს დუდუ ავათმა** პენალტი აუღო, მაგრამ დამატებაზე ყველას ისევ კალინიჩენკომ დაასწრო და როგორც გაირკვა, შეხვედრის საბოლოო ანგარიში დაფიქსირა.

შეხვედრის შემდეგ ბლოხინმა თავისი გუნდის თამაშის ხარისხით კმაყოფილება გამოთქვა, მაგრამ ისიც აღნიშნა, რომ მის შეგირდებს დამაგვირგვინებელ ფაზაში მეტი სიზუსტე მართებდათ.

სავიოლამ ფრანგები დაამწუხრა

საფრანგეთი–არგენტინა 0:1

0:1 სავიოლა (15)

საფრანგეთი: კუპე, სანიოლი (46. კლერკი), ესკუდე, სკილაჩი, აბიდალი, მალუდა (46. გოვუ), ვიეირა, მაკელელე (88. სისე), რიბერი, ანრი, ტრეზეგე (72. ანელკა)

არგენტინა: აბონდანსიერი, ძანეტი, აიალა, ჰაინცე, ბურდისო, გ. მილიტო, ლ. გონსალესი (78. გუტიერესი), გაგო, კამბიასო, კრესპო (78. დ. მილიტო), სავიოლა (84. აგუერო)

გაფრთხილება: აიალა (19), ჰაინცე (43), სანიოლი (43), ანელკა (89)

ხავიერ სავიოლას შესანიშნავი პერიოდი უდგას. მან "ბარსელონაშიც" დაიბრუნა ადგილი და არგენტინის ნაკრებშიც. "ბაჭიას" უგოლოდ მოედანი არც ამ უპრინციპულეს სპარინგში დაუტოვებია, მან **ხავიერ ძანეტის** წამოწყებული და **ერნან კრესპოს** მიერ გაგრძელებული კომბინაცია დააგვირგვინა.

მატჩი საგოლე მომენტებით დახუნძლული ნამდვილად არ ყოფილა, მაგრამ არც მოსაწყენი ეთქმოდა. ფრანგთაგან თავის გამოჩენის შანსი **დავიდ ტრეზეგეს**, **ტიერი ანრისა** და **ფრანკ რიბერის** ჰქონდათ, არგენტინელთაგან კი კრესპოსა და იმავე სავიოლას.

საკვანძო ფეხბურთელები არც **რაიმონ დომენეკს** მოუსაკლისებია, პირიქით, მას **ჯიბრილ სისეს** სახით, კიდევ ერთი ძლიერი შემსრულებელი შეემატა. შეგახსენებთ, სისემ გასულ ზაფხულს ფეხი მოიტეხა და მწყობრში ახლახან ჩადგა. მიუხედავად მოედანზე გატარებული რამდენიმე წუთისა, ურიგოდ არც **ნიკოლა ანელკა** გამოიყურებოდა.

ნამატჩევს დომენეკმა მეტოქეს გამარჯვება მიულოცა. უკმაყოფილო იგი არც თავისი გუნდის თამაშით დარჩენილა, ჩემი აზრით, ამ შეხვედრის ყველაზე სამართლიანი შედეგი ფრე იქნებოდაო, განაცხადა მან.

ლევან ჯანეზაშვილი

ლიტვის დამმარცხებელი რეალელი

მალი–ლიტვა 3:1

1:0 ტამბურა (25), 1:1 იანკაუსკასი (28), 2:1 დიარა (31), 3:1 დიარა (45)

მალი: მ. სიბიდე, ტამბურა, დიავარა, დიამუტენი, ა. კულიბალი, ჯ. სიბიდე (46. ჯ. ტრაორე), ს. კულიბალი (55. დიაკიტე), კეიტა, დიარა, დიალო (68. კანუტე).

ლიტვა: მალინაუსკასი, შემბერასი, სკერლა, ძიაუსტასი (78. პაულაუსკასი), სტანკევიჩუსი, მიციეკა, კალონასი (80. კავალიაუსკასი), რაძინევიჩუსი (46. მორინასი), დანილევიჩუსი, იანკაუსკასი (87. ბენიუშისი), ველიჩკა (46. სავენასი).

ლიტვისა და მალის ნაკრებთა ამხანაგური მატჩი პარიზში, "სტად ლა კურნევზე" გაიმართა. როგორც ტექნიკური შედეგიდან ჩანს, ორივე გუნდმა მაქსიმალურად ოპტიმალური შემადგენლობით ითამაშა. აფრიკული ნაკრებიდან "რეალის" ნახევარმცველ **მაჰამადუ დიარასა** და "სევილიის" ფორვარდ **ფრედერიკ კანუტეს** გამოყოფდით. სწორედ პირველის დუბლმა ითამაშა გადამწყვეტი როლი. მეორე ტაიმში უპირატესობა თითქოს ლიტველებს ჰქონდათ, 55-ე და 62-ე წუთებზე **სავენასმა** და **იანკაუსკასმა** არცთუ ურიგო მომენტებიც შექმნეს, მაგრამ...

ჩვენი მეტოქის ესოდენ უნიათო გარჯა, პირველ რიგში, მოტივაციის სიმწირით უნდა იყოს გამოწვეული. ცხადია, რომ **ალგიმანტას ლუბინსკაისის** გუნდი გაცილებით ძლიერია და ეს მან იტალიასთან შეხვედრაშიც დაამტკიცა. აქედან გამომდინარე, საქართველოს ნაკრების მესვეურთ ამ გუნდზე მცდარი წარმოდგენა არ უნდა შეექმნათ.

მომდევნო შეხვედრა ლიტველებისთვის უკვე ოფიციალური და არქი-მნიშვნელოვანია. 24 მარტს ისინი საფრანგეთს მასპინძლობენ.

ალადაშვილის შანსი

გუშინ კიევის "დინამომ" ისრაელის ქალაქ კეისარიაში მესამე შეკრება დაიწყო. ძალიან მოულოდნელია ის დიდი ყურადღება, რომელსაც უკრაინული მედია კიევის "დინამოში" დაბრუნებული **კახა ალადაშვილის** მიმართ იჩენს.

საქართველოს ნაკრების მცველი კიეველებმა შარშან აიყვანეს, მაგრამ იგი ძირითადს არ გააკრეს. მერე "დნეპრში" გაანათხოვრეს და თავადაც ჩათვალა, რომ "დინამოს" არ სჭირდებოდა.

ვითარება ახლახან შეიცვალა, კიეველებმა ალადაშვილი თანაქალაქელ "არსენალში" არ გაუშვეს და შეკრებაზე წაიყვანეს.

უკრაინული მედიის სტატიები კი, უმთავრესად, გუნდის ხელმძღვანელობის ნაფიქრალს ასახავს. ახლახან კახასთან ინტერვიუც გამოქვეყნდა.

ქართველი ფეხბურთელი იმედოვნებს, რომ ძირითადში დამკვიდრების შანსს გამოიყენებს: "ვფიქრობ, ამ შანსს გამოვიყენებ. რადგან იჯარიდან დამიბრუნეს და შეკრებაზე წამიყვანეს, გამოდის, რომ მენდობიან. მინიმუმ, თავის გამოჩენის შანსს მაძლევენ. "დნეპრში" გამოცდილება შევიძინე, საინტერესო მწვრთნელთან ვიმუშავე და უკრაინასთან ადაპტაცია მოვახერხე".

პირველივე ვარჯიშზე კახას მონდომება მედიამ განსაკუთრებით გამოარჩია.

"აღვნიშნავთ ანდრეი ეშჩენკოსა და კახა ალადაშვილის მონდომებას. ორივე მცველს სურს დაუმტკიცოს სამწვრთნელო შტაბს, რომ პირველ გუნდში თამაშს იმსახურებენ. რა გამოვა აქედან, დრო გვაჩვენებს" - წერს "კომანდა".

მერაბ მამულაშვილი

ნიკურაძე ფინეთში

გიორგი ნიკურაძე 2 თებერვალს ფინეთში გაემგზავრა. თბილისის "ამერის" ძირითადში ადგილის დაკარგვის მერე უცხოეთში გადაწყვიტა კარიერის გაგრძელება. ნიკურაძემ გადაწყვიტა ფინეთში ეძია ბედი და დაინტერესებული კლუბიც გამოჩნდა - პირველი ლიგის "ტპ 47".

"ამერი" ფინურ გუნდს შეუთანხმდა მეკარის იჯარაზე და გიორგი ახალ გუნდს წლის ბოლომდე დაეხმარება. ახლა ნიკურაძე გუნდთან ერთად ემზადება და იქაურობით კმაყოფილიცაა.

მერაბ მამულაშვილი

გიორგი ნიკურაძე

ლეგიონერები

არველაძე მეექვსეა

"სპორტ-ექსპრესმა" დსთ-ისა და ბალტიისპირეთის საუკეთესო ფეხბურთელთა გამოსავლენი მორიგი გამოკითხვა ჩაატარა. როგორც იცით, უპოპულარულესი რუსული გამოცემა ამ ღონისძიებას ყოველთვიურად მართავს, ბოლოს კი დაგროვილი ქულების მიხედვით, ყოფილი სსრკ-ის სივრცის წლის საუკეთესო მოთამაშე ვლინდება.

წლის პირველ, ანუ იანვრის შესაჯამებელ გამოკითხვაში **შოთა არველაძე** მეექვსე ადგილზე გავიდა. მას "ალკმაარში" წარმატებული თამაში, განსაკუთრებით კი როტერდამის "სპარტის" კარში გატანილი ბრწყინვალე გოლი დაუფასეს. ქართველმა ფორვარდმა 21 ქულა მოაგროვა. საუკეთესო ხუთეული ასე გამოიყურება:

1. **რომან პავლიუჩენკო** (რუსეთი, "სპარტაკი") – 58 ქულა
2-3. **ანდრეი შევჩენკო** (უკრაინა, "ჩელსი") – 45
2-3. **ალექსანდრ კერჟაკოვი** (რუსეთი, "სევილია") – 45
4. **ალექსანდრ გლები** (ბელარუსი, "არსენალი") – 34
5. **იური ჟირკოვი** (რუსეთი, ცსკა) – 22

ლევან ჯანეზაშვილი



ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსალოდნელი გარიგება

რონალდინიო: მილანში დიდი ფულისთვის

როსონერი უპრეცედენტო დათმობაზე მიდის, კაკას ახალ კონტრაქტს უმზადებენ, ანჩელოტი რონალდოთი კმაყოფილია...

რონალდინიოს იმიჯის უფლებები 60 მილიონი გირვანქა ღირს. ამ თანხის 50 პროცენტი "ბარსელონას" რჩება. უახლოეს მომავალში კატალონიელები ფეხბურთელს ხელფასს არ მოუმატებენ. ფინანსური უთანხმოების გამო, მიმომხილველთა ნაწილი ვარაუდობს, რომ რონი ახალ სამსახურს მონახავს.

ბრაზილიელ სუპერვარსკვლავზე პრეტენზიას აცხადებს "მილანი". რონალდინიოს ტრანსფერი პრეზიდენტ **სილვიო ბერლუსკონისა** და **რონალდოს** საუბრის ძირითადი თემა იყო. გუშინდელი ინფორმაციით, "როსონერი" თანახმაა, 60 მილიონის უდიდესი ნაწილი ფეხბურთელს დაუთმოს, თუ ეს უკანასკნელი იტალიურ გრანდთან გააფორმებს კონტრაქტს. თავის მხრივ, კონტრაქტიც სარფიანი იქნება - 7 მილიონი გირვანქა წელიწადში. იმის გამო, რომ მილანელთა მეორე ვარსკვლავ **კაკას** გული არ დასწყდეს, მის შემოსავალსაც ამ ნიშნულს გაუტოლებენ. რონალდინიოს შესახებ "მილანის" წარმომადგენლებს ახალი კომენტარები არ გაუკეთებიათ.

სანამ კაკას ხელფასი გაეზრდებოდეს, ის ორაზროვნად საუბრობს "რეალში" სავარაუდო ტრანსფერზე. "ასისთვის" მიცემულ ინტერვიუში ფლეიმეიქერი ამბობს, რომ მადრიდულ ვარიანტს ვერ გამორიცხავს: *"გადავალ თუ არა "რეალში"? "მილანში" ძალიან ბედნიერი ვარ, მაგრამ მხოლოდ ღმერთმა იცის, რა მოხდება მომავალში."* კაკამ რონალდოს ტრანსფერზეც გაამახვილა ყურადღება: *"ეს მნიშვნელოვანი მოვლენაა. რაც არ უნდა თქვან, რონალდო დიდი ფეხბურთელია, თანაც ჩემთვის ყოველთვის კერპი იყო. კარლო ანჩელოტი შესანიშნავი მწვრთნელია. ეჭვი არ მეპარება, ის რონალდოს იდეალურად გამოიყენებს."*

"მილანზე" საუბარს ანჩელოტის კომენტარით გავაგრძელებთ, მით უმეტეს, ის კაკას მიერ წამოწეულ თემას ეხება. "როსონერის" დამრიგებელი რონალდოს ამბებს მიმოიხილავს: *"რონალდინიო ძალიან მოტივირებულია. კიდევ ცოტა ვარჯიში და სათამაშოდაც მზად იქნება. ფიზიკური მომზადების მხრივ, პრობლემები არ აქვს. ძველებურად სწრაფია, ძლიერი და პარტნიორებს ადვილად უგებს. როდის ითამაშებს ძირითადში? მაშინვე, როგორც კი ტრავმის საშიშროება მოიხსნება. როგორც ვთქვი, რონალდო მოტივირებულია და მთელ თავისუფალ დროს კონდიციების გაუმჯობესებას ახმარს. ის აუცილებლად დაამტკიცებს, რომ მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო თავდამსხმელია."*

რონალდინიო

იუვენტუსი

ჟილბერტო 5 მილიონად

ფრინგსიც თანახმაა, გრიგერამ შემოწმება უკვე გაიარა

ჟილბერტო სილვას "იუვენტუსში" გადასვლა სურს. ტურინელებმა "არსენალს" მოლაპარაკებების დაწყება შესთავაზეს. "ქალბატონს" 5 მილიონი გირვანქა აქვს გამზადებული. მისი სკაუტი **მაურო სანდრეანი** ჟილბერტოს სანახავად ბრაზილია-პორტუგალიის ამხანაგურ მატჩზე იმყოფებოდა. ფეხბურთელთან პრინციპული შეთანხმება მიღწეულია. "იუვეს" თავკაცი **დიდიე დეშამი** თვლის, რომ ჟილბერტო იდეალურად შეავსებს **პატრიკ ვიეირას** მიერ დატოვებულ სიცარიელეს. სილვას იტალიაში ტრანსფერს მხარს უჭერს ბრაზილიელთა თავკაცი **კარლოს დუნგა**: *"ჩემი აზრით, კალჩო მისთვის იდეალური იქნებოდა. ის "იუვეს" დონის კლუბს იმსახურებს. ნამდვილი პროფესიონალია და არასოდეს გაურბის პასუხისმგებლობას."*

"იუვე" სხვა ფრონტებზეც აქტიურად იბრძვის. გადამწყვეტ სტადიაშია მოლაპარაკებები ბრემენელ **ტორსტენ ფრინგსთან**. "ტუტოსპორტი" გვაუწყებს, რომ შეთანხმება აქაც თითქმის მიღწეულია. ფრინგსი "ქალბატონს" ზაფხულის ტრანსფერებისას მიაშურებს. გარიგების ფინანსური დეტალები არ ხმაურდება.

"ბენფიკის" მცველმა **ლუიზაომ** "იუვეში" თამაშის სურვილი გამოთქვა. მისი განცხადება უყურადღებოდ არ დარჩენილა. ტურინელებმა ლუიზაოსა და **ფაბრიციო მიკოლის** გაცვლაზე დაიწყეს ფიქრი. ეს უკანასკნელი იტალიელთა საკუთრებაა და იჯარით "ბენფიკაში" თამაშობს. მხარეებს მოლაპარაკებები ჯერ არ დაუწყიათ.

დაბოლოს, ორი დღის წინათ "აიაქსის" ჩეხი მცველი **ზდენეკ გრიგერა** ტურინს ეწვია და სამედიცინო შემოწმება გაიარა. გრიგერა "იუვენტუსს" სეზონის ბოლოს, უკომპენსაციოდ მიაშურებს. მისი ამსტერდამული კონტრაქტი ივნისში იწურება. გრიგერას **პაველ ნედვედმა** გაუწია რეკომენდაცია. ფორმალობების მოგვარებისთანავე, გრიგერას ვინოვოს საწვრთნელი ბაზა დაათვალიერებინეს.

რიკელმე ბოკას მიუახლოვდა

"ბოკა ხუნიორსის" პრეზიდენტმა **მაურისიო მაკრიმ** განაცხადა, რომ **ხუან რომან რიკელმე** მის კლუბს კიდევ ერთი ნაბიჯით მიუახლოვდა. "ვილიარეალის" არგენტინელ ვარსკვლავს ექვსთვიან საიჯარო კონტრაქტს სთავაზობენ. შეთანხმების შემთხვევაში ესპანურ კლუბს 1.8 მილიონ გირვანქას გადაუხდიან. "ტრანსფერი დამოკიდებულია რიკელმეზე. თუ მას "ბოკაში" დაბრუნება სურს, შეთანხმება ხვალვე გაფორმდება," - დასძინა მაკრიმ.

ტრეზეგე: ლიონი ფავორიტია

ძველი **დავიდ ტრეზეგე** "იუვენტუსიდან" წავა, "ლიონი" სარფიან კონტრაქტს შესთავაზებს. დავიდის მამამ, **ხორხემ**, დაინტერესებულ კლუბებს გააქტიურებისკენ მოუწოდა. ტრეზეგეს შეძენა "ბარსელონას", "ბაიერნსა" და "ლივერპულსაც" სურთ. 29 თავდამსხმელი ტურინში მეშვიდე სეზონს ატარებს. "იუვენტუსი" მას 10 მილიონ გირვანქად აფასებს. მიმომხილველთა ვარაუდით, "ლიონი" ფავორიტია. მოსალოდნელი ტრანსფერის დეტალები არ გახმაურებულა.

კარლოსი მადრიდიდან მიდის?

საქმეს ისეთი პირი უჭირავს, რომ **რობერტო კარლოსი** "რეალში" ბოლო სეზონს ატარებს. ბრაზილიელს კონტრაქტში 18 თვე აქვს დარჩენილი. მხარეებს თანამშრომლობის გაგრძელების სურვილი არ გამოუთქვამთ. ყოფილი პრეზიდენტი **ფლორენტინო პერესი** კარლოსს ახალ შეთანხმებას ჰპირდებოდა, მაგრამ მისი წასვლის შემდეგ დაპირება აღარავის გახსენებია. ესპანური საagენტოების ცნობით, კარლოსი "ფენერბაჰჩეს" მიაშურებს. თურქებს მისი შეძენა შარშანაც სურდათ. გამორიცხული არაა, ვეტერანი ბრაზილიაშიც დაბრუნდეს.

კლაუდიო პისარო

გაიერნი

პისარო იუვეში წასვლით იმუქრებაა

პერუელ ფორვარდს ბეგერი ძალბატონის სახით სერიოზული მთხოვნელი გამოუჩნდა

კლაუდიო პისაროს ხომ კარგად იცნობთ - ერთი თავზეხელაღებული ფეხბურთელია, რომლის დაშოშმინება დღემდე ვერავინ მოახერხა. როგორც იცით, 28 წლის პერუელს "ბაიერნთან" კონტრაქტი სეზონის ბოლოს უმთავრდება. რეკორდმაისტერის ხელმძღვანელებმა პისაროსთან ახალი ხელშეკრულების თაობაზე მოლაპარაკებები შემოდგომაზე გამართეს, მაგრამ მაშინ კლაუდიომ ხელფასის გაორმაგება მოითხოვა, რის გამოც საუბრები მასსა და მიუნხენური კლუბის მენეჯერ **ული ჰაინესს** შორის ჩიხში შევიდა. თუმცა მას მერე პისარომ ძალიან მოუმატა და გოლების გატანაც დაიწყო, რითაც ჰაინესი და კომპანია ზეწოლის ქვეშ მოაქცია. გარკვეულია, რომ ენაჭარტალა ული მას ამ დღეებში კიდევ ერთხელ გაესაუბრება და ალბათ ოდნავ გაუმჯობესებულ პირობებსაც შესთავაზებს. თუმცა ის კი ნაკლებად სავარაუდოა, რომ ჰაინესი კლაუდიოსთვის ხელფასის გაორმაგებაზე ვაიდეს.

"ბაიერნის" ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე უდისციპლინო ფორვარდი ბოსებს არაერთხელ დაემუქრა, თუ ჩემს პირობებს არ დათანხმდებით, ზაფხულში ახალი გუნდის პოვნა არ გამიჭირდებაო. იტალიური გამოცემის, "ტუტოსპორტის" გუშინდელ ნომერში პისაროს ინტერვიუ გამოქვეყნდა, სადაც ის შემდეგს ამბობს: *"ან მართლაც კარგ პირობებს შემომთავაზებენ, თუ არა და, სხვა გუნდს მოვძებნი. დასამალი არაფერია - "იუვენტუსის" ხელმძღვანელები უკვე დამიკავშირდნენ და "ბეგერ ქალბატონში" გადასვლა შემომთავაზეს."* აქვე ისიც უნდა შეგახსენოთ, რომ "ტუტოსპორტი" ტურინული გაზეთია. ცნობილია, რომ კლაუდიო "ბაიერნის" შეფებს წლიური გასამრჯელოს სახით 4 მილიონ ევროს სთხოვს. მაშინ, როცა მისი ამჟამინდელი ხელფასი მხოლოდ 2 მილიონია.

თუ სეზონის დასრულების შემდეგ პისარო "იუვენტუსში" გადავა, ის უკვე მეორე ფეხბურთელი იქნება (**ჰასან სალიჰამიჯიჩის** შემდეგ), რომელსაც ტურინული კლუბი ბავარიულ კლუბს უფასოდ წაართმევს...

უმდიდრესი კლუბები

რეალი ისევ პირველია

ოცეულის ნახევარი ბრიტანელებმა შეავსეს

"რეალი" ისევ მსოფლიოს უმდიდრესი კლუბია. მართალია, სამეფო კლუბს მეოთხე სეზონია, არაფერი მოუგია, მაგრამ ფულს მაინც სხვებზე მეტს შოულობს. 2005-06 წლების ფინანსური ანგარიშის შედეგი ასეთია: ესპანურმა გიგანტმა 292.2 მილიონი ევრო გააკეთა, რაც შარშანდელ მაჩვენებელს ექვსი პროცენტით აღემატება. უმდიდრესთა სიაში მეორე ადგილზე გადაინაცვლა "ბარსელონამ". მან იმავე პერიოდში 259.1 მილიონი ევრო გააკეთა და წინა წლის მაჩვენებელი მთელი 25 პროცენტით გაზარდა. "რეალისა" და "ბარსელონის" ფინანსური ანგარიშები ამოღებულია "ფუტბოლ მანი ლიგის" ბოლო ბიულეტენიდან, რომელიც საუდიტო კომპანია "დელოიტმა" გამოაქვეყნა.

მსოფლიოს 20-მა ყველაზე მდიდარმა კლუბმა 2005-06 წლების სეზონში დაახლოებით 3.5 მილიარდი ევრო გამოიმუშავა. შემოსავლის ლომის წილი ტელეუფლებების გაყიდვასა და სპონსორულ კონტრაქტებზე მოდის. უმდიდრესთა ოცეულიდან რვა ინგლისური კლუბია. მართალია, შოტლანდიის პრემიერლიგაში "რეინჯერსი" "სელტიკს" გვარიანად ჩამორჩება, მაგრამ ფინანსებში საგრძნობლად უსწრებს. რეინჯერებმა ოცეულში მე-8 ადგილი დაიკავეს. ამგვარად, ოცეულის თითქმის ნახევარი ბრიტანეთის წარმომადგენლებზე მოდის.

"დელოიტის" ბიულეტენში ნათქვამია, რომ გაუმჯობესებული სატელევიზიო კონტრაქტები კლუბების შემოსავლებს კიდევ გაზრდის და საგაისო რეიტინგში განსხვავებული ციფრები იქნება. დასასრულს, მსოფლიოს ოცი უმდიდრესი კლუბის სიას შევავლოთ თვალი (შემოსავლები მოცემულია მილიონ გირვანქებში):

კლუბი	შემოსავალი
1. რეალი	192.7
2. ბარსელონა	171.0
3. იუვენტუსი	165.8
4. მანჩესტერი	160.0
5. მილანი	157.5
6. ჩელსი	145.8
7. ინტერი	136.3
8. ბაიერნი	135.0
9. არსენალი	126.9
10. ლივერპული	116.1
11. ლიონი	84.2
12. რომა	83.8
13. ნიუკასლი	82.0
14. შალკე	81.1
15. ტოტენჰემი	70.7
16. ჯუვენტუსი	67.1
17. მანჩესტერ სიტი	59.0
18. რეინჯერსი	58.4
19. ვესტ ჰემი	57.3
20. ბენფიკა	56.1



ფერნანდო ტორესი

ამერიკული პრემიერლიგა

ბრძოლა ტორესის ხელში ჩასაგდებად

ლივერპული ტრანსფერებში 150 მილიონს დახარჯავს, იუნაიტედი პასიურობას არ აპირებს, ვილა ნაიკით შეიმოსება

"ლივერპულის" ახალმა ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, კლუბის შეძენა ხმაურიანი ტრანსფერით აღნიშნოს. "დეილი მეილის" ცნობით, მერსისაიდელები **ფერნანდო ტორესის** ყიდვას შეეცდებიან. სპეკულაციების თანახმად, **ჯორჯ ჯილეტი** და **ტომ ჰიკსი** შემადგენლობის გასაძლიერებლად 150 მილიონ გირვანქას დახარჯავენ. ამ თანხის ერთი ნაწილი "ატლეტიკოს" ვარსკვლავის ტრანსფერს მოხმარდება. ტორესს "მანჩესტერ იუნაიტედი" და "არსენალიც" აკვირდებიან. ფერნანდოს ხელში ჩავდება ესპანურ გრანდებს - "რეალსა" და "ბარსელონასაც" სურთ. იმავე "დეილი მეილში" ვკითხულობთ, რომ "იუნაიტედის" ბოსები "ლივერპულის" ჩრდილში მოხვედრას ვერ შეეგუებიან. ისინი ყველაფერს იღონებენ, რათა თანამემამულე ინვესტორებთან სატრანსფერო ომი არ წააგონ. "მანჩესტერსა" და "ლივერპულს" შორის მეორე შეტაკებასაც უნდა ველოდოთ - ბრძოლას ამერიკული ბაზრისთვისაც, რომლის დაპყრობა ორივე მხარისთვის პრიორიტეტული ამოცანაა.

აქვე კიდევ ერთი ინფორმაცია ინგლისურ ფეხბურთში დაბანდებული ამერიკული კაპიტალის შესახებ. "ასტონ ვილამ", რომლის მფლობელი ამერიკელი მილიარდერი **რენდი ლერნერია**, თავის ისტორიაში ყველაზე სარფიანი სპონსორული კონტრაქტი დადო. სპორტული ინვენტარის მწარმოებელი ამერიკული გიგანტი "ნაიკი" "ვილას" ხუთი სეზონის განმავლობაში შემოსავს და 25 მილიონ გირვანქას გადაუხდის. მთავარ მწვრთნელ **მარტინ ონილს** ამ თანხის რაღაც ნაწილი აუცილებლად შეხვდება, მით უფრო, რომ მისი გუნდი სხვა "ამერიკელებთან" შედარებით, ყველაზე მეტად საჭიროებს გაძლიერებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალჩოს ორი პრობლემა

ლეგენდარული სან სირო ევროფეხბურთის გარეშე?

მილანური არენა, შეიძლება, უეფამაც დახუროს, როსონერი ჩემპიონთა ლიგის მატჩების გადატანას საფრანგეთში აპირებს, ინტერი გენუაში თამაშის ვარიანტს განიხილავს...

იტალიაში ტრიბუნები დაცარიელდა

გადაწყდა: იტალიის სტადიონებზე ბურთის გორება ამ უქმეებიდანვე განახლდება, მაგრამ... არის უამრავი "მაგრამ". ტურის ყველა შეხვედრა ერთსა და იმავე დღესა (კვირას) და ერთსა და იმავე დროს (15 საათზე) ჩატარდება, ანუ აღარ იქნება შაბათისა და ღამის თამაშები. ამათგან ნახევარზე მეტი ცარიელი ტრიბუნების წინ გაიმართება, მაყურებელი დაიშვება მხოლოდ იმ სტადიონებზე, რომლებიც ე.წ. პიზანუს დეკრეტით გათვალისწინებულ უსაფრთხოების სტანდარტებს სრულად ან თითქმის სრულად აკმაყოფილებს. ასეთი კი ამ მომენტისთვის სერია A-ში ექვსია: რომში, ტურინში, კალიარიში, პალერმოში, გენუასა და სიენაში. სწორედ ამ ქალაქების სტადიონები მოინონა სპეციალურმა სამთავრობო კომისიამ ოთხშაბათს ჩატარებული შემოწმების შემდეგ. მესინის, პარმისა და რეჯო კალაბრიის სტადიონებს აღნიშნული კომისია ხელმეორე მონიტორინგს ჩაუტარებს და სავარაუდოდ მომდევნო კვირაში დართავს მაყურებლის დაშვების უფლებას, მას შემდეგ, რაც რამდენიმე სექტორს ნორმებთან შესამაბისობაში მოიყვანენ. ასკოლის, ვერონის, კატანიის, ბერგამოს, ემპოლის, ფლორენციის, ლივორნოსა და უდინეს სტადიონები თებერვლის ბოლომდე შეხვედრებს მაყურებლების გარეშე უმასპინძლებენ, დანარჩენი კი შემდეგ გადაწყდება.

სან სირო. განსაკუთრებულ საკითხად რჩება "სან სირო". მილანური არენა სამთავრობო კომისიამ განმეორებით უნდა შეისწავლოს, მაგრამ პრობლემა ისაა, რომ კომისიის შიგნით აზრი ორად იყოფა. იტალიური მედიის თანახმად, საბოლოო გადაწყვეტილების მიღება ალბათ მომავალი კვირისთვის გადაიდება, რათა სტადიონის დირექციასა და კლუბებს საშუალება მიეცეთ, რომ სულ ცოტა აბონემენტების მფლობელებისთვის მაინც მოაგვარონ ავტომატურ გამშვებ პუნქტებთან დაკავშირებული პრობლემები. "სან სიროზე" ჯერ კიდევ არ არის დამონტაჟებული ბილეთის ელექტრონული რეგისტრატორები, რომელიც ტრილა კარს ავტომატურად აღებს. ეს იმას ნიშნავს, რომ კვირას "მილანი"-"ლივორნო" მაყურებლების გარეშე ჩატარდება. მაგრამ ასეთ პერსპექტივას ძალიან ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავს, არა მხოლოდ "მილანის", "ინტერისა" და ჩვეულებრივი მილანელების, არამედ ქალაქის პრეფექტურისა და მერიის მხრიდანაც. გარდა ამისა, არის რისკი, რომ იტალიური მთავრობის კვალად "სან სიროზე" მაყურებლების დაშვება უეფამ ჩემპიონთა ლიგაშიც აკრძალოს. ამასთან დაკავშირებით, კლუბებმა უკვე დაიწყეს გამოსავლის ძებნა. პრესის ცნობით, "მილანი" თავისი თამაშების საფრანგეთში ან შვეიცარიაში გადატანაზე ფიქრობს. "ინტერი" უფრო ფრთხილ პოლიტიკას ირჩევს და ჯერჯერობით დუმილს ამჯობინებს, მაგრამ არის ინფორმაცია, რომ "ნერაძურის" ხელმძღვანელობა საჩემპიონთალიგო თამაშების გენუაში გამართვაზე მსჯელობს.

მილანელების გარანტიები. თუმცა, სანამ საბოლოო სიტყვა არ თქმულა, მილანური კლუბები ისევ ცდილობენ კომისიის დაყოლიებას და საამისოდ რიგ გარანტიებს იძლევიან. **ადრიანო გალიანი** და **მასიმო მორატი** პირობას დებენ, რომ მარტის ბოლომდე სტადიონის შესასვლელებში სულ ცოტა 40 ავტომატური კარი იქნება დამონტაჟებული (სექტემბერში კი მათი რიცხვი 130-მდე გაიზრდება). გარდა ამისა, გარანტიას იძლევიან, რომ წინასწარი გაფილტვრის ზონის გასაძლიერებლად დამატებით დაიქირავებენ უსაფრთხოების ოფიცრებს. ამასთან, ოფიცრები აღჭურვილნი იქნებიან ოპტიკური აპარატებით, რომლითაც ელექტრონულ სახელობით ბილეთებს შეამოწმებენ. დაბოლოს, ტრიბუნებზე დამონტაჟდება მოძრავი გამყოფები, რითაც საჭიროების შემთხვევაში, თავიდან აიცილებენ ტიფოზების სექტორებს შორის გადაადგილებას. ოთხაბათს, მილანის პრეფექტთან შეხვედრის წინ, ადრიანო გალიანმ ასეთი რამ თქვა: *"სან სიროზე" ცარიელი ტრიბუნების წინ თამაშს მირჩევნია ისეთი გამოსავალი ვნახო, რომლითაც აბონემენტების მფლობელთა უფლებები სრულად იქნება დაცული"*. აბონემენტების მფლობელთა საკითხი მართლაც ძალიან მწვავედ დგას. მთავრობასაც ესმის, რომ ამ ადამიანების უფლებები ირღვევა, მაგრამ პირობას აძლევს მათ, რომ ერთი თვის განმავლობაში ყველა მათგანი შეძლებს სტადიონებზე დაბრუნებას.

პროტესტი. მაყურებლებისთვის სტადიონებზე შესვლის აკრძალვას დიდი პროტესტი მოჰყვა პრეზიდენტებისა და მეპატრონეების მხრიდან - იმდენად, რომ ზოგიერთები გაფიცვაზეც კი ფიქრობენ, ჩვენს გუნდებს მოედანზე არ გავიყვანთო. ზოგიერთები კი, "ფიორენტინის" მესაკუთრის **დიეგო დელა ვალეს** მსგავსად, კომპრომისულ გზებს ეძებენ და მთავრობასთან მორიგების იმედი აქვთ. ოთშაბათს დელა ვალე ფლორენციის მერს შეხვდა და შეუთანხმდა, რომ შეძლებისდაგვარად მოკლე დროში ჩატარდეს ყველა სამუშაო "არტემიო ფრანკის" ნორმებთან შესაბამისობაში მოსაყვანად. ფლორენციის მერი თავის მხრივ შინაგან საქმეთა მინისტრს შეხვდა და ქალაქის სახელით უსაფრთხოების გარანტიები მისცა.

სიტუაცია მძიმეა სერია B-შიც. "ნაპოლის" პრეზიდენტმა **აურელიო დე ლაურენტისმა** მთავრობის გადაწყვეტილებებს "ფაშისტური მეთოდები" უწოდა. ცარიელი სტადიონების პრობლემა ერთია, მაგრამ პრეზიდენტებს შიში აქვთ, რომ აბონემენტების მფლობელები ქუჩაში გამოვლენ და საპროტესტო აქციებს კლუბების წინააღმდეგ მოაწყობენ. მათი მოთხოვნა ან სტადიონებზე დაშვება ან გადახდილი თანხების უკან დაბრუნება იქნება, რაც კლუბებში ფინანსურ სიტუაციას თავდაყირა დააყენებს. "ბრეშას" პრეზიდენტი **ჯინო კორიონი** ასეთი ინიციატივით გამოდის: *"ვიზიარებ მთავრობის მკაცრ პოლიტიკას, რადგან კატანიაში მომხდარი ფაქტები აღარ უნდა განმეორდეს, მაგრამ როგორ შეიძლება, სტადიონზე შესვლა აუკრძალო მათ, ვინც აბონემენტში ფული გადაიხდა? ჩემი აზრით, გამოსავალი ისაა, რომ სტადიონებზე მხოლოდ აბონემენტების მესაკუთრეები დავუშვათ"*. "უდინეზეს" მეპატრონე **ჯამპაოლო პოცომ** ასეთი კომენტარი გააკეთა: *"ყველაფერს გავაკეთებთ, რომ აბონემენტების მფლობელთა უფლებები დავიცვათ. გულშემატკივრებისთვის სტადიონების დახურვა აბსურდული გადაწყვეტილებაა. მაშინ დავაყენოთ "სქაის" კამერები ჩემს ბოსტანში და იქ ვითამაშოთ"*. ნაკლებად ირონიული იყო "ატალანტას" პრეზიდენტი **ივან რუჯერი**: *"გულშემატკივრის გარეშე ჩემპიონატი აზრს კარგავს, ეს უკვე ფარსია. აბონემენტების მფლობელებს რა ვუყოთ? გაფიცვა? რატომაც არა?"*

კვირას სერია A-ში კალენდრით გათვალისწინებული 23-ე ტური გაიმართება, გამოტოვებულ 22-ე ტურს კი აპრილში ჩაატარებენ. დღეისთვის არსებული სიტუაციის მიხედვით, საკვირაოდ ასეთი სურათი იქნება:

აგალანტა-ლაციო
(ცარიელი ტრიბუნები)

კიევო-ინტერი
(ცარიელი ტრიბუნები)

მილანი-ლივორნო
(ცარიელი ტრიბუნები)

უიორენტინა-ულინეზე
(ცარიელი ტრიბუნები)

მესინა-კატანია
(ცარიელი ტრიბუნები)

პორინო-რეჯინა
(მაყურებლები დაიშვებიან)

სამპდორია-ასკოლი
(მაყურებლები დაიშვებიან)

რომა-პარმა
(მაყურებლები დაიშვებიან)

კალიარი-სიენა
(მაყურებლები დაიშვებიან)

პალერმო-ვერონეზი
(მაყურებლები დაიშვებიან)

გოგა ახალაძე

ინტერვიუ ფილიპო ინძაგისთან

ტიფოზების გარეშე ფეხბურთი არ არსებობს

პიპო გავშვობაში პიაჩენცას ულტრასი იყო

ფილიპო ინძაგი

ფილიპო ინძაგი მხოლოდ ფეხბურთელი არ არის, ის ფეხბურთის დიდი ქომაგიცაა. თუ სახლშია, ტელევიზორში თითქმის ყოველთვის ფეხბურთს უყურებს – მნიშვნელობა არა აქვს, რომელი ჩემპიონატისა და რომელი ლიგის თამაში იქნება. შეიძლება, ამიტომაცაა, "მილანის" ტიფოზებს გამორჩეულად რომ უყვართ და რომ უმღერიან, "პიპო ჩვენი კაციაა". როცა ხანგრძლივი ტრავმა აწუხებდა, "ულტრასების" ტრიბუნაზე ადიოდა და "მილანის" თამაშებს მათთან ერთად უყურებდა. დღეს ტიფოზებს იტალიაში მძიმე დროება უდგათ და ინძაგისნაირი ფეხბურთელის აზრი განსაკუთრებულად საინტერესოა. ამ მიზნით იყო, რომ "გაძეტა დელო სპორტმა" ინტერვიუსთვის მილანელი ფორვარდი შეარჩია.

- ფილიპო, კვირას ფეხბურთი განახლდება. რა განწყობით იწყებთ?

- იოლი არ იქნება იმის დავიწყება, რაც კატანიაში მოხდა, მაგრამ ჩემპიონატის განახლება სწორი გადაწყვეტილებაა. არა იმიტომ, რომ სანახაობა ნებისმიერ ფასად უნდა გაგრძელდეს, არამედ იმიტომ, რომ საჭიროა ახალი ფურცლიდან დაწყება და სწორი დასკვნების გაკეთება განსხვავებული მომავლის შესაქმნელად.

- განსხვავებულ მომავალში რას გულისხმობთ?

- ფეხბურთთან დამოკიდებულებას. მართალია, ფეხბურთში ბიზნესს დიდი ადგილი უკავია, მაგრამ მაინც სპორტის სახეობაა, სპორტი კი იმისთვის არსებობს, რომ ემოცია მოუტანოს ყველას, კლუბის ხელმძღვანელებს, ფეხბურთელებს, ტიფოზებს.

- კვირას "მილანი"-"ლივორნო" შეიძლება, ცარიელი ტრიბუნების წინ გაიმართოს.

- ჩვენმა კაპიტანმა, პაოლო მალდინიმ უკვე თქვა და მის სიტყვებს სრულიად ვიზიარებ. ეს მართლაც ძალიან გულდასაწყვეტი ფაქტი იქნება, რადგან პატიოსანი და უდანაშაულო ხალხი ზარალდება. ცარიელი "სან სირო" ძალიან სევდიანი რამეა. დიდი იმედი მაქვს, რომ რაღაც გამოსავალი მოიძებნება, იმიტომ, რომ ფეხბურთი ტიფოზების გარეშე არ არსებობს.

- რაიმეს ხომ არ მოუწოდებდით ტიფოზებს?

- არა, ერთი მარტივი მიზეზის გამო: ჭეშმარიტი ტიფოზები არაფერ შუაში არიან იმასთან, რაც კატანიაში მოხდა. გულშემატკივრების ჯანსაღ ნაწილს ჩემგან რჩევები და ჭკუის სწვლება არ სჭირდება. მან კარგად იცის, როგორ უნდა მოიქცეს და, რომ საფეხბურთო შეხვედრა სისხლისღვრად არ უნდა გადააქციოს. მეორეს მხრივ, ის, ვინც სტადიონზე დანაშაულს ჩადის, ტიფოზი არ არის, ის ბანდიტია. მგონი, ამით ყველაფერია ნათქვამი.

- თქვენ თუ იყავით ოდესმე "ულტრასი"?

- რა თქმა უნდა, ბავშვობაში "პიაჩენცას" "ულტრასი" ვიყავი და ეს წლები ძალიან ლამაზად მახსოვს. მინდა, ყველამ გაიგოს, რომ "კურვა" (ჩრდილოეთი ან სამხრეთი ტრიბუნა, სადაც "ულტრასები" იკრიბებიან) ბანდიტების ადგილი არ არის, პირიქით, ეს ის ტრიბუნაა, სადაც ნამდვილი საფეხბურთო ვნებები ჩქეფს. იქ იმისთვის დადიან, რომ მეგობრებთან ერთად საყვარელ გუნდს უმღერონ და გაამხნევონ.

- რა უნდა ისწავლონ ახალგაზრდებმა, რომ მათი ქომაგობა ზღვარს არ გასცდეს?

- უნდა ისწავლონ სხვების პატივისცემა. ვფიქრობ, რომ ეს მთელი ჩვენი საზოგადოების პრობლემაა, ფეხბურთი მისი ერთ-ერთი ნაწილია. ჩვენში განსხვავებული აზრის მიღება ძალიან უჭირთ, სწორედ ეს ბადებს გაუგებრობას, შეურაცხყოფასა და ათასგვარ ინციდენტს. ვფიქრობ, რომ სკოლებში სამოქალაქო აღზრდის გაკვეთილები უნდა არსებობდეს. მე პატივისცემა ოჯახში, მშობლებისგან ვისწავლე.

- ფეხბურთელებსაც მიუძღვით ბრალი?

- არა მგონია. ის კი მართალია, რომ ყოველთვის კარგ მაგალითს არ ვიძლევით, ხანდახან მოედანზე ცუდი სცენების მომსწრენი ვხდებით, მაგრამ განსაკუთრებულად საგანგაშო მაინც არაფერი ხდება.

- ფეხბურთელები ერთმანეთს თუ სცემთ პატივს მოედანზე?

- საკითხს მთლიანობაში თუ შევხედავთ, კი. ხანდახან არასწორად ვიქცევით, მაგრამ საქმე მაინც ისეთ სიტუაციებს ეხება, რომლებიც ჩვეულებრივ რამდენიმე წუთში გვარდება. მე შემიძლია, რომ საკუთარ თავზე ვილაპარაკო: გოლის გატანის შემდეგ სიხარულს ისეთი ჟესტებით გამოვხატავ, რითაც მეტოქის ფეხბურთელებს შეურაცხყოფას არასდროს ვაყენებ, არასდროს ვიწყებ მათ დაცინვას. უბრალოდ "მილანის" ტიფოზებისკენ გავრბივარ და მათთან ერთად კორექტულობის ფარგლებში ვზეიმობ.

გოგა ახალაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

გერმანელთა დებიუტანტი მარიო გომესი

ამხანაგური მატჩი

იოგის ახალი, მრისხანე თავდასხმა!

გერმანია-შვეიცარია 3:1

გერმანია: ლემანი, ა. ფრიდრიხი, მერტეზაკერი, კ. მეცელდერი, ლამი, ფრინგსი (74. ჰიტცლშპერგერი), ბალაკი (46. ბროვსკი), კ. ფრიტცი, შვაინშტაიგერი (74. იანსენი), გომესი (58. ჰანკე), კურანი (83. შლაუდრაფი).

შვეიცარია: ბენალიო, ფ. დეგენი, სენდეროსი, გრიშტინგი, მანინი (59. ჯემაილი), ბეჰრამი, ფოგელი (57. შტრელერი), მარგაირაზი (78. ინლერი), ბარნეტა (70. დ. დეგენი), ჰ. იაკინი (57. ფონლანტენი), ფრაი (57. შპიხერი).

გოლები: 1:0 კურანი (7), 2:0 გომესი (30), 3:0 ფრინგსი (66), 3:1 შტრელერი (76)

მაყურებელი: 51333

გერმანიის ნაკრებისთვის 2007 წელი იდეალურად დაიწყო. შვეიცარია ბუნდესგუნდისთვის ყოველთვის სასურველ მეტოქედ ითვლებოდა და ამჯერადაც ყველაფერი ისე მოხდა, როგორც მოსალოდნელი იყო: ბოლო 50 წლის განმავლობაში გერმანელები შვეიცარიელებს მე-15-ედ დაუპირისპირდნენ და მე-13 თამაში მოუგეს (2 ფრე). დიუსელდორფში, 51 333-მა მაყურებელმა თითქმის იდეალური ბუნდესნაკრები იხილა და სიტყვა "თითქმის" მხოლოდ იმიტომ ვიხმარეთ, რომ როგორც ბუნდესლიგაში, სანაკრებო დონეზეც ცუდი შთაბეჭდილება დატოვეს ბაიერნელებმა **ბასტიან შვაინშტაიფერმა** და **ფილიპ ლამმა**. სხვა მხრივ კი, **იოახიმ ლიოვის** გუნდს არაფერი დაეწუნებოდა და რაც მთავარია, გერმანიამ შემტევი და აგრესიული (კარგი გაგებით) ფეხბურთი ითამაშა.

როგორც მოსალოდნელი იყო, ჩინებული დებიუტი გამოუვიდა "შტუტგარტის" ფორვარდს **მარიო გომესს**. 21 წლის თავდამსხმელმა, გარდა იმისა, რომ ბუნდესგუნდში პირველივე მატჩში გოლი გაიტანა, ძალიან ბევრი იმუშავა და ჩვენი გერმანელი კოლეგებისგან ქება-დიდება დაიმსახურა. იგივე ითქმის **კევინ კურანიზეც**, რომელმაც გერმანიის ნაკრებში დაბრუნება გოლით აღნიშნა და გომესის დარად, იგიც ერთ-ერთი საუკეთესო იყო მოედანზე. "შალკეს" 24 წლის თავდამსხმელს ნაკრებში ბოლო შეხვედრა 452 (!) დღის წინათ ჰქონდა ჩატარებული და არცაა გასაკვირი, წარმოუდგენლად მოტივირებული და მონდომებული რომ იყო. კურანისა და გომესს მოტივაციას ის ფაქტიც მატებდათ, რომ ლიოვმა ამ შეხვედრაში ძირითადი ფორვარდები, **მიროსლავ კლოზე** და **ლუკას პოდოლსკი** ვერ დაიხმარა. ბუნდესგუნდს მომდევნო თამაში ჩეხეთში ელის (ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე) და იმ შეხვედრაში კლოზე ულაპარაკოდ ითამაშებს (თუ ტრავმა არ მიიღო, რა თქმა უნდა), აი, პოდოლსკიზე კი რა მოგახსენოთ. კურანიმ და გომესმა შვეიცარიასთან იმდენად კარგი შთაბეჭდილება დატოვეს, რომ თუ ლიოვი სამართლიანად მოიქცევა, ჩეხეთთან კლოზეს მეწყვილე ერთ-ერთი მათგანი უნდა იყოს და არა "ბაიერნის" სათადარიგო და მართლაც არაფრის მაქნისი პოლდი.

მატჩის შემდეგ "შტუტგარტისა" და "შალკეს" თავდამსხმელები ლიოვმაც შეაქო: *"ორივეს თავიდანვე ეტყობოდა მონდომება. დარწმუნებული ვიყავი, რომ გომესი და კურანი კარიერის ერთ-ერთ საუკეთესო მატჩს ჩაატარებდნენ. რაც შეეხება მომდევნო თამაშს, საერთოდ, წესით ჩვენი ძირითადი თავდასხმა კლოზე-პოდოლსკის დუეტია..."* - წესით...

როგორც ხედავთ, იოგიმ არჩევანი კურანისა და გომესზე შეაჩერა, ასევე შესანიშნავ ფორმაში მყოფი **მაიკ ჰანკე** კი მაინც სკამზე დატოვა. თუმცა ვოლფსბურგელსაც მიეცა თავის გამოჩენის შანსი - ჰანკე თამაშში 58-ე წუთზე ჩაერთო. მართალია, გოლი არ გაუტანია, მაგრამ ორჯერ სახიფათოდ დაემუქრა შვეიცარიელთა კარს. ერთი სიტყვით, თავდამსხმელების თემაზე ბევრი რომ აღარ გავაგრძელოთ, გეტყვით, რომ ბუნდესმწვრთნელ იოგის ახლა უკვე ნამდვილად აქვს წინა ხაზში "პრობლემა", რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ ძალიან გაუჭირდება იმის გადაწყვეტა, თუ ვინ ათამაშოს ჩეხეთთან. ლიოვს წინა ხაზში უბრალოდ, ძალიან დიდი არჩევანი აქვს.

გოლებზეც ვთქვათ. ანგარიში მე-8 წუთზე გაიხსნა: **ფრინგსმა** ჯარიმა ჩააწოდა, საჰაერო ორთაბრძოლა კი **მიხაელ ბალაკმა** მოიგო და ბურთი კარისკენ გაგზავნა, თუმცა დარტყმა სრულყოფილი არ გამოუვიდა. შვეიცარიელთა კარის დარაჯმა **ბენალიომ** ბურთი მოიგერია და ხარიხისკენ გაგზავნა, იქ კი უცებ კურანი გაჩნდა, რომელმაც ჩინებულ ნახტომში, დაახლოებით ერთ მეტრამდე მანძილიდან თავით ჩააჭედა ბურთი კარში. მოგვიანებით "შალკეს" ფორვარდს წარბი გაუსკდა და სისხლი წასკდა. საინტერესოა ის, რომ დასისხლიანებული კურანი საკმაოდ დიდხანს არ ტოვებდა მოედანს - მოგვიანებით თქვა, არც კი შეიმჩნევია, სისხლი თუ მომდიოდაო. მეორე გოლი ალემანებმა 30-ე წუთზე გაიტანეს - **ფრიტციასა** და **არნე ფრიდრიხის** ჩინებულ კომბინაციას მეტოქის საჯარიმოში ჩაწოდება მოჰყვა, რომელსაც ტანმაღალი გომესი გამოეხმაურა, 6 მეტრიდან თავით ზუსტად დაჰკრა და 2:0. 66-ე წუთზე კი ფრინგსმა ანგარიში უკვე კატასტროფული გახადა: "ვერდერის" ნახევარმცველმა მახვილი კუთხიდან ჯარიმა გაიტანა.

როგორც გითხარით, დიუსელდორფელი გულშემატკივრები მხოლოდ შვაინშტაიგერისა და ლამის თამაშით დარჩებოდნენ უკმაყოფილოები. შვაინის, რომელიც მარცხენა ფლანგზე იყო გამწესებული, ისევ არაფერი გამოუვიდა. ლამმა კი რამდენიმე მოულოდნელი შეცდომა დაუშვა, რომელთაგანაც ერთერთს გერმანიის ნაკრების კარში გოლი მოჰყვა: 71-ე წუთზე "ბაიერნის" მარცხენა მცველმა უხეიროდ და ძალიან სუსტად დაუგორა ბურთი **მეტცელდერს**. ეს გადაცემა შვეიცარიელთა ფორვარდმა **მარკო შტრელერმა** ჩაჭრა, **მერტეზაკერიც** დაჯაბნა და ექვსი მეტრიდან **ლემანი** ხახამშრალი დატოვა. საბოლოოდ 3:1 - გერმანიამ 2007 წელი წარმატებით დაიწყო...

იოახიმ ლიოვი (გერმანიის მწვრთნელი): *"შესანიშნავი თამაში გამოვიდა. ჩემი გუნდით უზომოდ კმაყოფილი ვარ. მიხარია, რომ ბიჭებმა მოედანზე თავი არ დაზოგეს. დარწმუნებული ვიყავი, რომ ასეც იქნებოდა. პირველ 60 წუთში ყველაფერი იდეალურად გამოგვდიოდა. მერე კი ფეხბურთელებს დაღლა დაეტყოთ, რაც ნამდვილად არაა გასაკვირი. ამის გამო მათ ვერც ვუსაყვედურებ. კურანიმ და გომესმა ძალიან კარგად ითამაშეს, ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური იყო კლემენს ფრიტციც."*

კობი კუნი: (შვეიცარიის მწვრთნელი): *"ძალიან კარგი გუნდის წინააღმდეგ დავმარცხდით. ეს წაგება აბსოლუტურად ლოგიკურია. გერმანიამ ჩემი გუნდის ნამდვილი სახე დამანახა და მიმახვედრა, რომ ძალიან ბევრი სამუშაო გვაქვს."*

მარიო გომესი (გერმანიის ნაკრების დებიუტანტი): *"ნამდვილი ფანტასტიკა იყო. ეს დღე ცხოვრებაში არ დამავიწყდება. ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ სიამოვნება, რომელსაც ნაკრებში თამაში ჰქვია, კიდევ არაერთხელ გამოვცადო. გოლის გატანა და მწვრთნელზე შთაბეჭდილების მოხდენა ძალიან მინდოდა და მიხარია, რომ ეს მოვახერხე."*

მწვრთნელი

მაგათს ბაიერნიდან წასვლა ორჯერ უნდოდა!

რა უთხრა ვან გომელმა დესპოტ ფელიქსს გასაჯდელში, შალკესთან მატჩის შესვენებაზე...

"ბაიერნიდან" ფელიქს მაგათის გათავისუფლებამ გერმანიაში დიდი აურზაური გამოიწვია. მწვრთნელი, რომელიც გერმანიის რეკორდსმენს 2004 წლის 1 ივლისიდან 2007 წლის 31 იანვრამდე თავკაცობდა და რომელმაც მიუნხენურ გიგანტს ორ სეზონში 4 ტიტული მოაპოვებინა (2-ჯერ გერმანიის ჩემპიონობა, 2-ჯერ გერმანიის თასი), "ბაიერნის" მთავარი მწვრთნელის პოსტიდან მოულოდნელად გადააყენეს და ოტმარ ჰიტცფელდით შეცვალეს. 53 წლის სპეციალისტი ახლა უმუშევარია ("ჰამბურგის" გაწვრთნა იუარა) და მთელ დღეებს ოჯახთან ერთად ატარებს.

ამასობაში გამოცემა "შპორტ-ბილდმა" **მაგათის** ბავარიული ხანიდან ორი ისეთი ფაქტი გაახმაურა, რომლის შესახებაც აქამდე არავის არაფერი სმენოდა. ხსენებული გამოცემა ჟურნალ "შტერნთან" ერთად ამტკიცებს, რომ 2006 წელს "დესპოტ ფელიქსს" ორჯერ სურდა "ბაიერნიდან" წასვლა, მაგრამ კლუბის ხელმძღვანელებმა მისი მოთხოვნა არ შეასრულეს და თანამდებობიდან თვითნებურად გადადგომა გადააფიქრებინეს. პირველად ეს ზაფხულში მოხდა, სეზონის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე და როგორც ირკვევა, მიზეზი მაგათის უკმაყოფილება იყო. მწვრთნელი გადადგომას იმის გამო აპირებდა, რომ წინასწარ იცოდა, თუ როდენ რთული სეზონი ელოდა მის გუნდს იმის გამო, რომ ხელმძღვანელებმა რამდენიმე სასურველი მოთამაშე არ უყიდეს. მეორეჯერ კი, გადადგომა ნოემბერში, "შალკესთან" თამაშის შემდეგ მოითხოვა.

აი, რა მოხდა 5 ნოემბერს: "ბაიერნი" "შალკეს" სტუმრობდა და როგორც გახსოვთ, ის თამაში 2:2 დასრულდა. გელზენკირხენელები 2:0-ს იგებდნენ, მაგრამ ბავარიელებმა პირველი ტაიმის მიწურულს ანგარიშის შემცირება მოახერხეს - **როი მაკაიმ** გოლი ფაქტობრივად, არაფრისგან გაიტანა. მაგათი შესვენებაზე გასახდელში აფეთქდა და ფეხბურთელების ლანძღვას მოჰყვა. "შპორტ-ბილდის" ვერსით, ფელიქსი ფეხბურთელებს უყვიროდა, ოდნავადაც არ გეტყობათ, რომ ამ შეხვედრის მოგება გინდათ, ჩემს დავალებებს საერთოდ არ ასრულებთ და სულაც არ თამაშობთ იმ ტაქტიკით, რომელიც თამაშის წინ შევიმუშავეთო. ამ დროს ერთ-ერთი ფეხბურთელი წამომდგარა და მწვრთნელისთვის უთქვამს, რომელ ტაქტიკაზე გველაპარაკებიო. "ბილდი" იტყობინება, რომ მოთამაშე, რომელმაც მაგათს ასეთი რამ შეჰკადრა, ჰოლანდიელი ნახევარმცველი **მარკ ვან ბომელი** იყო. ამ ფაქტის შემდეგ მაგათს ენა ჩაუვარდა და ფეხბურთელებისთვის აღარაფერი უთქვამს. მოთამაშეები მოედანზე გავიდნენ და მწვრთნელი გასახდელში გაოგნებული დატოვეს. იმ მატჩში "ბაიერნმა" ფრეს მაინც მიაღწია და გელზენკირხენიდან ქულა წაიღო. საღამოს "დესპოტმა ფელიქსმა" **ული ჰოინესს** უთხრა, რომ მუშაობის გაგრძელება აღარ სურდა, მაგრამ ამ უკანასკნელმა გადაწყვეტილება ისევ გადააფიქრებინა და სრული მხარდაჭერა აღუთქვა.

მაგათს ამ საკითხთან დაკავშირებით საუბარი არ სურს. *"ის, რაც გელზენკირხენული მატჩის დროს გასახდელში მოხდა, საიდუმლოა და ამას ვერავინ გაიგებს. არაფერს ვიტყვი,"* - უთხრა ფელიქსმა "ბილდს". აქვე გთავაზობთ ბლიც-ინტერვიუს, რომელიც ხსენებულმა გამოცემამ რეკორდმაისტერის ყოფილ მწვრთნელს ჩამოართვა.

- ჰერ მაგათ, ზაფხულში წასვლა მართლა გინდოდათ?

- დიახ, აქ დასამალი არაფერია. ჩემს მიმართ კრიტიკა არ წყდებოდა და ველოდი, რომ ეს სეზონი "ბაიერნისთვის" ძალიან რთული იქნებოდა. მაგრამ ჰიონესს ჩემი გადადგომის შესახებ ერთი სიტყვის მოსმენაც არ სურდა.

- "შტერნი" წერს, რომ თქვენ კმაყოფილიც კი ხართ იმით, რომ გაგათავისუფლეს და ამით ტანჯვა შეგიმსუბუქეს. ხსენებული გაზეთი გვარწმუნებს, რომ "ბაიერნის" მწვრთნელად მუშაობა თქვენთვის ბოლო დროს მხოლოდ ტანჯვა იყო...

- ნაწილობრივ მართალია. მიზეზი კი ის გახლავთ, რომ კრიტიკა მხოლოდ მე მეხებოდა, პირადად მე და არა მთელ გუნდს. და ეს ყველაფერი მიუხედავად იმისა, რომ წინა ორ სეზონში 4 ტიტული მოვიგეთ. ბოლო დროს კრიტიკა მართლაც აუტანელი და ამაზრზენი გახდა. ნამდვილად არ მინდოდა, რომ ჩემს შვილებს ასეთი სტატიები ეკითხათ.

- რომელ კრიტიკას გულისხმობთ?

- ჯერ იყო და წერდნენ, სწორ ტაქტიკას არ ირჩევსო. ამას ისიც ემატებოდა, რომ ჩემზე ამბობდნენ, ძალიან ცოტას ლაპარაკობს, გუნდს კი ვარჯიშით კლავსო. კონკრეტულად არაფერს წერდნენ, რაღაცეებს მიედ-მოედებოდნენ. არაარგუმენტირებული კრიტიკა კი უკვე შეურაცხყოფაა. როცა მწვრთნელი წარმატებებს აღწევს და მაინც აკრიტიკებენ, მაშინ აშკარად რაღაც ვერაა წესრიგში. ბოლო დროს უკვე ყოველ ნაბიჯზე ვამჩნევდი, რომ ძალიან ბევრი რამ არ იყო კარგად. ხელმძღვანელებიც იშვიათად მეკონტაქტებოდნენ. მიუხედავად ამისა, მაინც გამიკვირდა, როცა მითხრეს, რომ პოსტი უნდა დამეტოვებინა.



ფელიქს მაგათი უმუშევარია

- რუმენიგესა და ჰიონესს ემდურით?

- არავის ვემდური. პირიქით, ულისა და კალეს ძალიან კარგად ვუგებ, რადგან ვხვდები, რომ ტოპკლუბის მართვა წარმოუდგენლად ძნელია. ისინი მუდმივად წნეხის ქვეშ არიან მოქცეულები.

- ახლა რითი ხართ დაკავებული?

- არანაირი გეგმა არა მაქვს. სულ სახლში ვარ და ბავშვებს ვეთამაშები.

- თქვენს ბავშვებს ძალიან გაუხარდებოდათ, "ჰამბურგის" წინადადებაზე უარი რომ თქვით...

- ჰო. ისე, ბიჭმა მაშინვე მოისროლა "ბაიერნის" კეპი და ახლის ყიდვა მომთხოვა. მეუბნებოდნენ, ოღონდ "ჰამბურგში" ნუ წახვალ, უმჯობესია "მიუნხენ 1860"-ის ან "უნტერჰახინგის" მწვრთნელი გახდეო. ხომ ხვდებით, ეს გუნდები "ბაიერნის" მტრებად ითვლებიან.

- ე.ი. "ბაიერნსა" ან "ჰამბურგს" აღარასოდეს უთავკაცებთ?

- მე ეს არ მითქვამს. HSV ჩემთვის ყოველთვის იყო, არის და იქნება ერთ-ერთი უსაყვარლესი გუნდი. რა თქმა უნდა, "ბაიერნთან" ერთად. არაფრის გამორიცხვა არ შეიძლება. ვნახოთ, რა და როგორ იქნება.

გოტფრიდ ლენცი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ესპანელებმა ბენ ფოსტერს დებიუტი ჩაუშხამეს

ამხანაგური მატჩები

დამშვიდობება ოლდ ტრეფორდთან

ინგლისის ნაკრები უემბლიზე ბრუნდება

ინგლისი–ესპანეთი 0:1

ინგლისი: ფოსტერი, ფერდინანდი. ფ. ნევილი (74. დაუნინგი), გ. ნევილი (64. რიჩარდსი), ვუდგეიტი (64. კარაგერი), ქერიქი, დაიერი, ჯერარდი (46. ბერი), ლემპარდი (78. ბარტონი), რაიტ-ფილიპსი (70. დეფო), კრაუჩი.

ესპანეთი: კასილიასი, კაპდევილა, პაბლო იბანიესი, პუიოლი (46. ხავი ნავარო), სერხიო რამოსი (46. ანხელი), ალბელდა, დავიდ სილვა (65. არისმენდი), ჩავი, ანგულო (56. ინიესტა), მორიენტესი (46. ფერნანდო ტორესი), ვილია (74. ფაბრეგასი).

გოლი: 0:1 ინიესტა (63)

მაყურებელი: 58 247

მანჩესტერელმა ქომაგებმა თავიანთი ნაკრები სტვენით გააცილეს. ინგლისი ესპანეთთან ამხანაგურ მატჩში მინიმალურად დამარცხდა. ერთადერთი გოლი შეცვლაზე შესულმა **ანდრეს ინიესტამ** შეაგდო. მან 63-ე წუთზე გამოიჩინა თავი. **სტივ მაკლარენის** შეგირდები საკვალიფიკაციო მატჩებს უფერულად ატარებენ. მაკედონიასთან 0:0-სა (შინ) და ხორვატიასთან 0:2-ის (სტუმრად) გამო, მათ E ჯგუფში მესამე ადგილი უკავიათ. ჰოლანდიასთან ბოლო საკონტროლო მატჩი 1:1 დასრულდა. წარუმატებელი სერია გრძელდება. 60 ათასამდე მაყურებელსაც სტვენის მეტი არაფერი დარჩენოდა.

მაკლარენი: *"სამწუხაროა, რომ დავმარცხდით. გულშემატკივართა რეაქცია ოდნავადაც ამ მაკვირვებს. მათ არ უყვართ, როცა ნაკრები აგებს. განსაკუთრებით არ უნდოდათ ამ თამაშის წაგება, რადგან ეს ბოლო მატჩი იყო, რომელიც "ოლდ ტრეფორდზე" ჩავატარეთ (ინგლისელთა მომდევნო საშინაო შეხვედრა "უემბლიზე" გაიმართება)."*

მწვრთნელს თავის გამართლება იმით შეუძლია, რომ საგრძნობლად შესუსტებული შემადგენლობა ჰყავდა. ტრავმების გამო ვერ ითამაშეს **ეშლი კოულმა, ჯონ ტერიმ, ოუენ ჰარგრივსმა, ჯო კოულმა, აარონ ლენონმა და უეინ რუნიმ**. ალარაფერს ვამბობთ **მაიკლ ოუენზე**. მაკლარენი: *"ისინი ძირითად შემადგენლობაში უნდა ყოფილიყვნენ. მათი არყოფნის გამო ექსპერიმენტების ჩატარება მოგვიხდა. გუნდს შეთამაშება აკლდა, რამაც ჩვენს თამაშზე იმოქმედა."*

ინგლისს განსაკუთრებული პრობლემა აქვს წინა ხაზში. გუნდმა ბოლო ოთხ შეხვედრაში მხოლოდ ერთი გოლი შეაგდო. ესპანელთა მეკარე **იკერ კასილიასს** საქმე თითქმის არ ჰქონია: *"ბრმა არავინაა. ჩვენც ვხედავთ, რომ მოედნის ბოლო მესამედში უხარისხოდ ვთამაშობთ. ვერ ვახერხებთ ბოლო პასის, ბოლო ჩაწოდების და რაც ყველაზე სავალალოა, გადამწყვეტი დარტყმის შესრულებას. არადა, თამაშების მოსაგებად ეს კომპონენტებია საჭირო. ცალკეულ მომენტებში არა გვიშავდა, მაგრამ როცა ბურთი მეტოქის საჯარიმოსთან მიგვქონდა, ვერაფერს ვახერხებდით."*

ინგლისელთა ძირითადში შეუცვლელად ითამაშა დებიუტანტმა მეკარე **ბენ ფოსტერმა.** ის "მანჩესტერ იუნაიტედის" საკუთრებაა, მაგრამ იჯარით "უოტფორდში" თამაშობს. "უოტფორდი" კი, მოგეხსენებათ, პრემიერლიგის უიმედო აუტსაიდერია. 23 წლის ფოსტერი საკმაოდ დამაჯერებლად გამოიყურებოდა. მას იმედი აქვს, რომ მომდევნო საკვალიფიკაციო თამაშებში ისრაელსა და ანდორასთან შემადგენლობაში დააყენებენ: *"ოლდ ტრეფორდზე" პირველად ვითამაშე და თანაც ინგლისის ნაკრების მაისურით. უცნაურია, მაგრამ ძალიან კმაყოფილი ვარ."*

გადავინაცვლოთ ესპანელთა ბანაკში. **ლუის არაგონესი** შესანიშნავ ხასიათზე იყო: *"ინგლისთან თამაში ყოველთვის ძნელია. მას შესანიშნავი გუნდი ჰყავს, მაგრამ დღეს ჩვენ უფრო სწრაფად ვაზროვნებდით. ბურთს ერთი წუთითაც კი არ ვაყოვნებდით, როგორც კი ფეხბურთელები პასს იღებდნენ, მაშინვე თავისუფალი პარტნიორის ძებნას იწყებდნენ. ჩემი აზრით, განსხვავება სწორედ ეს იყო."*

ინგლისის არ იყოს, ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში ესპანეთსაც სერიოზული პრობლემები აქვს. არაგონესის შეგირდებს ერთი მოგება და ორი წაგება აქვთ და F ჯგუფში მეხუთე ადგილზე იმყოფებიან. არაგონესი: *"მართალია, გავიმარჯვეთ, მაგრამ არა მგონია, იმაზე უკეთ გვეთამაშა, ვიდრე ჩრდილოეთ ირლანდიასთან 2:3-ზე წაგებულ შეხვედრაში. როგორც გახსოვთ, იმ თამაშსაც ვიგებდით, 2:1, ძელსაც გავარტყით ბურთი, მაგრამ დაცვაში ორი შეცდომა წაგების ფასად დაგვიჯდა."*

არაგონესზე საუბარს ამ ინფორმაციით დავასრულებთ: ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციის სააპელაციო კომისიამ სენიორ ლუისის საჩივარი განიხილა და სადისციპლინო კომიტეტის განაჩენი უსაფუძვლოდ სცნო. საქმე ეხება 2004 წლის ცნობილ ინციდენტს, რომლის დროსაც არაგონესმა საფრანგეთის ნაკრების თავდამსხმელს **ტიერი ანრის** "შავი უკანალი" უწოდა. არაგონესს რასიზმში დასდეს ბრალი და 3 ათასი ევროს გადახდა დააკისრეს. მწვრთნელი საქმეს ბოლომდე მიჰყვა და გუშინ გამამართლებელი განაჩენი მიიღო.

ჰოლანდიამ ჰიდინკი მტრულად მიიღო

ჰოლანდია–რუსეთი 4:1

ჰოლანდია: სტეკელენბურგი, ბუმა, იალიენსი, მატიისენი, ვან ბრონკჰორსტი, დე იონგი (63. მენდეში), ლანდზაატი (46. სნეიდერი), ზეედორფი (78. დე კლერი), ვან დერ ვაარტი, კუიტი (46. ბაბელი), ვენეგოორ ოფ ჰესელინკი (78. ჰუნტელაარი).

რუსეთი: აკინფეევი, ანიუკოვი, ა. ბერეზუცკი (69. ვ. ბერეზუცკი), კოლოდინი, ბილიალეტდინოვი (46. სიჩოვი), ბისტროვი, სემშოვი, ტიტოვი (58. ალდონინი), ჟირკოვი, არშავინი (72. პავლიუჩენკო), საენკო.

გოლები: 1:0 ბაბელი (68), 2:0 სნეიდერი (71), 2:1 ბისტროვი (76), 3:1 მატიისენი (80), 4:1 ვან დერ ვაარტი (89-პენ)

მაყურებელი: 22 000

გუუს ჰიდინკს შინ დაბრუნება ძვირად დაუჯდა. ჰოლანდიის პროკურატურამ გადასახადების დამალვის ბრალდებით მისი ათი თვით დაპატიმრება მოითხოვა. ჰოლანდიის ნაკრებმა კი მის დღევანდელ გუნდს განკითხვის დღე მოუწყო.

4:1 - ასეთი ანგარიშით გაძუყნეს რუსეთის ნაკრები. 68-ე წუთამდე ანგარიში 0:0 იყო. რუსების მეკარე **იგორ აკინფეევმა** რამდენიმე საუცხოო სეივი გააკეთა, მაგრამ თამაშის დასკვნით ნაწილში ისიც უძლური იყო. ჰიდინკი: *"დიდი ანგარიშით დამარცხების მიუხედავად, კმაყოფილი ვარ, რომ ეს თამაში შედგა. მნიშვნელოვანი იყო გამოცდილების შეძენა და რიტმის შეგრძნება. ჩვენს გუნდს არ აღმოაჩნდა ძალა, რათა ჰოლანდიისთვის პრობლემები შეექმნა, მაგრამ რუსეთის ნაკრებს ძალიან სჭირდებოდა პრაქტიკა. მოგეხსენებათ, ქვეყნის ჩემპიონატი არ განახლებულა. ნოემბრიდან მარტამდე შესვენებაა და ფეხბურთელები ინტენსიურ ვარჯიშს მხოლოდ ორი კვირის შემდეგ დაიწყებენ."*

რაიან ბაბელმა ანგარიში 69-ე წუთზე გახსნა. მან 20 მეტრიდან გაიტანა. **ვესლი სნეიდერმა** უპირატესობა მალე გაზარდა, მაგრამ ხუთ წუთში **პიოტრ ბისტროვმა** ერთი ბურთი გაქვითა. გავიდა კიდევ ხუთი წუთი და **იორის მატიისენმა** კუთხურის გათამაშებისას თავით გაიტანა. 89-ე წუთზე კი **რაფაელ ვან დერ ვაარტმა** მატჩს პენალტით დაესვა წერტილი.

მარკო ვან ბასტენს 10 წამყვანი ფეხბურთელი აკლდა, მათ შორის, **რობინ ვან პერსი** და **არიენ რობენი**: *"ეს გამარჯვება ფსიქოლოგიური თვალსაზრისითაც მნიშვნელოვანია. გასათვალისწინებელია, რომ მეტოქეს ფიზიკური გამძლეობა არ ეყო. თამაშის მიწურულს გავრისკეთ და სასურველ შედეგს მივაღწიეთ."*

ინტერვიუ მარკო ვან ბასტენთან

ნიჭი თუ გაქვს, არ დაგეკარგება

მილანის ჰოლანდიელ ლეგენდას რონალდოს იმედი აქვს. ბრაზილიელმა ვარჯიშზე ისეთი გოლი გაიტანა, რომ მილანში ვან ბასტენი გაახსენდათ

რუსეთთან ამხანაგური შეხვედრის წინა დღეს „გაძეტა დელო სპორტის“ კორესპონდენტი ამსტერდამში მარკო ვან ბასტენს შეხვდა. საუბრის მიზანი და მთავარი თემა რონალდო იყო. ვან ბასტენის, როგორც „მილანის“ ერთ-ერთი სიმბოლოს აზრი, „ფენომენის“ შეძენაზე ყველა მილანისტასთვის ავტორიტეტული და საინტერესოა. აი, რას წერდა „გაძეტა“ ინტერვიუს შესავალში: „მარკო ვან ბასტენი რუსეთის წინააღმდეგ - მართალია, ამჯერად მწვრთნელის რანგში, მაგრამ პირველი ასოციაცია, რომელიც ამ ორი სახელის ერთად გაგონებაზე ჩნდება, მაინც ის საოცარი გოლია, რომელიც 1988 წელს ევროპის ჩემპიონატის ფინალში საბჭოთა კავშირს გაუტანა და რომელმაც ჰოლანდიას ისტორიაში პირველი და ჯერჯერობით ერთადერთი ტიტული მოუტანა. თუ ის გოლი ერთხელ გინახავს, შეუძლებელია, ოდესმე დაგავიწყდეს, იმდენად დიდი იყო მისი ესთეტური ღირებულება. ხოლო ის გოლი, რომელიც რონალდომ სამშაბათს ვარჯიშზე გაიტანა, ასეთი სამახსოვრო არ არის და არც ქულებსა და თასებს უდრის, მაგრამ თანაგუნდელებში დიდი აღტაცება კი გამოიწვია: „ფენომენი“ კარიდან 25 მეტრის მოშორებით იდგა, როცა მოულოდნელად დატრიალდა და მეხივით გასროლილი ბურთი „ცხრიანში“ გაარჭო. გოლმა დიდი ეფექტი მოახდინა, რადგან ყველას საუკეთესო რონალდო გაახსენა, თუმცა სიმართლე ითქვას, სამწვრთნელო შტაბი ყველაზე მეტად მაინც ბრაზილიელის მონდომებამ და გამძლეობამ მოხიბლა. „თუ რონალდოს სურვილი ექნება, შეუძლია, რომ გადამწყვეტი ფიგურა გახდეს“ – ამბობს ბევრი და მათ რიცხვს მარკო ვან ბასტენიც ემატება. „მილანის“ ლეგენდარული ფორვარდი, დღეს კი „ნარინჯისფერთა“ თავკაცი გუუს ჰიდინკის წინააღმდეგ დერბისთვის ემზადება – მშვიდად, აუღელვებლად, როგორც ყოველთვის. პოსტმუნდიალური უსიამოვნებები წარსულს ჩაბარდა, ვან ბასტენი ისევ კომფორტულად გრძნობს თავს ჰოლანდიის ნაკრების სამწვრთნელო სკამზე და ევრო 2008-სთვის ემზადება. თუმცა მანამდე საკმარისი დროა, რომ სხვა თემებზეც ილაპარაკოს, მათ შორის იტალიურ ფეხბურთზე, „მილანსა“ და რონალდოზე.

მარკო ვან ბასტენი

- მარკო, რა აზრი შეგექმნათ კატანიაში მომხდარი შეტაკების შემდეგ?

- ეს საკმაოდ რთული პერიოდია, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ იტალიური ფეხბურთი ამის დაძლევასაც შეძლებს.

- დღესაც ფეხბურთელი რომ იყოთ, შეგეშინდებოდათ კარიერის გასაგრძელებლად იტალიაში გადასვლა?

- რატომ? ის, რაც ხდება, საფრთხეს ფეხბურთელებისა და მწვრთნელებისთვის არ წარმოადგენს. საშიშროება მოედნის მიღმაა და ეხება მათ, ვინც სტადიონის გარშემო მუშაობს და იმ ტიფოზებს, რომლებიც სტადიონზე დადიან.

- ძალადობის პრობლემები ჰოლანდიაშიც გქონდათ, კერძოდ „ფეიენოორდთან“ დაკავშირებით. თქვენი აზრით, იტალიამ პრობლემები როგორ უნდა მოაგვაროს?

- ერთადერთი საშუალება არსებობს: მიბაძოს ინგლისს. 15 წლის წინ ინგლისელებს უმძიმესი სიტუაცია ჰქონდათ, მაგრამ კანონები მიიღეს, გაატარეს კონკრეტული ზომები და ვიტყოდი, რომ პრობლემა სადღეისოდ თითქმის მოგვარებულია. რატომ ვერ უნდა შეძლოს იმავეს გაკეთება იტალიამ? მაგრამ საჭიროა დიდი სიმტკიცე მოძალადეების შესაჩერებლად, ხალხმა უნდა განაგრძოს სტადიონებზე მშვიდად სიარული და საყვარელი გუნდის გულშემატკივრობა.

- რაც შეეხება საყვარელ გუნდებსა და საყვარელ ფეხბურთელებს: იტალიაში რონალდო დაბრუნდა...

- ლამაზი ისტორიაა. ძალიან მაინტერესებს, რა გაგრძელება ექნება.

- არიგო საკი ამბობს, რომ რონალდოს შეძენა „მილანის“ მხრიდან შეცდომა იყო, რადგან ბრაზილიელს, დიდი ტალანტის მიუხედავად, მუშაობის კულტურა არ გააჩნია (პასუხის გაცემამდე ვან ბასტენმა ორაზროვნად გაიღიმა: ფეხბურთელობისას საკისთან უთანხმოება ჰქონდა, მწვრთნელობისას კი არიგოზე უფრო დიდი საკიანელი გახდა).

- რონალდოს ნიჭთან დაკავშირებით ეჭვები ვერავის ექნება. მეორე მხრივ, იმის თქმაც შეიძლება, რომ დღესაც ძველებურად ძლიერი რომ ყოფილიყო, „რეალი“ არსად გაუშვებდა. ერთი სიტყვით, ყველაფერს დრო გვიჩვენებს. ჩემი სურვილია, რომ რონალდომ ის ფორმა დაიბრუნოს, როგორშიც რვა წლის წინ იყო და „მილანისთვისაც“ დიდი საქმეები გააკეთოს.

- რა არის აუცილებელი იმისთვის, რომ რონალდომ საუკეთესო ფორმა დაიბრუნოს?

- გააჩნია, კლუბში როგორი ურთიერთობები ჩამოუყალიბდება. თუ „მილანი“ კარგად მოექცევა, თუ რონალდო ნდობასა და სიყვარულს იგრძნობს, ვფიქრობ, ამას კარგი შედეგებიც მოჰყვება. კლასი და ნიჭი თუ გაქვს, არასდროს დაგეკარგება, მიუხედავად იმისა, რომ წლები გადის.

- რონალდო მაშინ გრძნობდა თავს კარგად, როცა რბილ, დიალოგის მომხრე მწვრთნელებთან მუშაობდა. როგორ ფიქრობთ, ანჩელოტი შესაფერისი მწვრთნელია?

- კარლოს მუშაობის სტილი ოპტიმიზმის საფუძველს მაძლევს, როგორც საერთოდ, ისე ამ კონკრეტულ შემთხვევაში. დიდი ფეხბურთელის ფორმის პიკზე აყვანა საინტერესო გამოწვევაა და იმედი მაქვს, რომ ამ გამოწვევას კარლო მოიგებს.

- თქვენ, როგორც მწვრთნელი, რონალდოს აიყვანდით?

- ალბათ ავიყვანდი. როგორც გითხარით, მწვრთნელისთვის ასეთ ფეხბურთელთან მუშაობა ისეთი გამოწვევაა, რომელიც დიდ სტიმულს გაძლევს.

- ბევრი დიდი, მაგრამ ასაკოვანი ფეხბურთელი დაემშვიდობა ჰოლანდიის ნაკრებს, მას შემდეგ, რაც თქვენ მისი მწვრთნელი გახდით, მაგრამ ერთი უკან დაბრუნდა – ზეედორფი. რას უნდა ელოდეს ზეედორფი ჰოლანდიის ნაკრებისგან?

- პირველ გამოძახებაზე ძალიან კარგად იმუშავა, ამიტომ ახლა ხელმეორედ გამოვიძახეთ. ვნახოთ.

- ვან ბასტენ, რუსებს კიდევ ერთხელ გაახსენდებათ ის გოლი, რომელიც 1988 წელს ფინალში გაუტანეთ.

- ასეთი ლამაზი გოლი მას შემდეგ მგონი აღარც გამიტანია.

გოგა ახალაძე

ჰოლანდიელთა თავკაცი რონალდოს მილანურ წარმატებაში დარწმუნებულია

ინტერვიუ დევიდ ბექჰემთან

კვირაში ერთ მატჩს თავისუფლად ვითამაშებ

ერთი გალაქტიკიდან მეორეში გადასულ ფეხბურთელს მიაჩნია, რომ რეალში მისი ყოფნა სამეფო კლუბის ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე წარუმატებელ პერიოდს დაემთხვა...

კაპელო ბექჰემს რეალის ნაწილად აღარ აღიქვამს

მსოფლიოში არცერთ ტრანსფერს არ გამოუწვევია ისეთი რეზონანსი, როგორიც დევიდ ბექჰემის "ლოს ანჯელეს გალაქსიში" გადასვლას ჰქონდა. ინგლისის ნაკრების კაპიტანმა არ ისურთა "რეალთან" კონტრაქტის გაგრძელება და საფეხბურთო გაგებით მიყრუებულ "ლოს ანჯელესში" გადაბარგდა, სადაც 5 წლის განმავლობაში 250 მილიონ დოლარს გამოიმუშავებს. ეს ისტორია ყველასთვის კარგად არის ცნობილი და მასზე დიდხანს შეჩერებას არ ვაპირებთ. სჯობს თავად ფეხბურთელის აზრი გავიგოთ, ბოლო დროს მის თავზე დატრიალებული მოვლენების შესახებ.

- ისეთი დონის ფეხბურთელისთვის, როგორიც თქვენ ხართ, ამერიკაში გადასვლა კაპიტულაციას ნიშნავს. ისე ტოვებთ მსოფლიო ფეხბურთს, რომ მთავარი ტიტულები მოუგებელი გრჩებათ. მაგალითად, MLS-ში შეუძლებელია "ოქროს ბურთის" მოპოვება. რატომ გადაწყვიტეთ, რომ თქვენი კარიერის მწვერვალი უკან დარჩა?

- MLS-ში გადასვლას, კარიერაში უკან გადადგმულ ნაბიჯად არ მივიჩნევ. ეს საინტერესო წინადადებაა და თან, ყველას შეეძლება ჩემს თამაშს თვალი მიადევნოს. არ ვეთანხმები იმ ადამიანებს, რომლებიც ამბობენ - ბექჰემმა საოცნებო პენსია დაინიშნაო.

- ერთხელ განაცხადეთ, რომ ამერიკაში თქვენი მისია ფეხბურთის პოპულარიზაცია იქნება. მაგრამ, თავის დროზე, ამის გაკეთება ვერც პელემ და ვერც კრუიფმა ვერ შეძლეს. რა შეგიძლიათ შესთავაზოთ ამერიკელებს ისეთი, რაც თქვენმა წინამორბედებმა ვერ მოახერხეს?

- პელესა და კრუიფს საკუთარ თავს ვერ შევადარებ. როგორც მინიმუმ, ისინი უფრო დაფასებული მოთამაშეები არიან, ვიდრე მე. მაგრამ, როცა ეს ლეგენდარული ფეხბურთელები ამერიკაში ჩადიოდნენ, სამყარო სხვაგვარი იყო - რეკლამა და ტელევიზია ისეთ როლს არ თამაშობდა, როგორც ეს დღეს. ახლა, პირის აგორებით ბევრი რამის მიღწევა შეიძლება. კმაყოფილი დავრჩები ჩემს მიერ გაწეული სამუშაოთი, თუ დავინახავ, რომ სტადიონებზე უფრო მეტი მაყურებელი ივლის, გაიზრდება მატჩების ტელეაუდიტორია, ამერიკელი ბავშვები კი, ევროპულ ფეხბურთში ვარჯიშს დაიწყებენ.

- მოკლედ, თქვენ დაყინებით ამტკიცებთ, რომ ლოს ანჯელესში გადაბარგების მთავარი მოტივი ფული არ არის?

- დიახ, ამას კატეგორიულად ვაცხადებ! ჩემს ცხოვრებაში ფულისთვის მთავარი მნიშვნელობა არასოდეს მიმინიჭებია. თანახმა ვიქნებოდი "რეალში" ნაკლები ხელფასი მქონოდა და მეტი ტიტულები მომეგო. ლოს ანჯელესში განსაკუთრებული კონტრაქტით მივდივარ. შესაძლოა, ეს უკანასკნელი გარიგებაც კი იყოს ცხოვრებაში. და ეს ყველაფერი ძალიან მახარებს.

- მთავარი კითხვა, რომელიც გულშემატკივრებს აწუხებთ: "რაში უნდა დახარჯოთ 50 მილიონი წელიწადში?" თქვენს ოჯახს დიდი დანახარჯები აქვს?

- არავისთან არ განვიხილავ ჩემს შემოსავლებსა და დანახარჯებს. ეს ჩემი პირადი საქმეა.

- მორალურად თუ ხართ მზად იმისთვის, რომ ახალ კლუბში, თქვენსა და დანარჩენ მოთამაშეებს შორის გარკვეული ბარიერი იარსებებს - მათ ხომ ასეთი ხელფასი ძილშიც არ დასიზმრებიათ?

- მოკრძალებული ადამიანი ვარ და არ ვაპირებ, ამერიკაში ისე ვიცხოვრო, როგორც ვარსკვლავი, რომელსაც მინდორზე ყველა ღმერთივით უყურებს. იმედი მაქვს, გუნდსა და ახალ თანაგუნდელებს მაქსიმალურ დახმარებას გავუწევ. მინდა, რომ ფეხბურთი ამერიკაშიც ისეთივე პროფესიული იყოს, როგორც ევროპაში. სხვათა შორის, ამერიკაში ბევრი კარგი მოთამაშეა - ეს ბოლო მსოფლიო ჩემპიონატმაც ნათლად დაგვანახა. როცა აშშ-ში გადასვლის ვარიანტს განვიხილავდით, მითხრეს, რომ ლოს ანჯელესში განსაკუთრებული გუნდის შექმნა სურთ - ახალგაზრდების გვერდით გამოცდილი მოთამაშეების დაყენება და ევროპიდან პროფესიონალების მოზიდვა აქვთ განზრახული. ხოლო რას ფიქრობენ სხვა მოთამაშეები ჩემი ხელფასის შესახებ, ეს ნაკლებად მაინტერესებს. თუ მათ მსგავსი კითხვები გაუჩნდებათ, ეს არა ჟურნალისტებისგან, არამედ მათგან უნდა გავიგო.

- თქვენგან ძალიან ბევრს ელიან და კონტრაქტიც გავალდებულებთ გაცემული ავანსების გამართლებას. არ გეშინიათ ამ გამოწვევის?

- არა. ჩემგან ბევრს ელოდნენ "მანჩესტერში", ინგლისის ნაკრებში, "რეალში"... ყველაფერი ამის შემდეგ, სისულელეა მსგავსი რაღაცეების გამო შიში ვიგრძნო.

- რა გრძნობით ტოვებთ "რეალს"? და როგორ აფასებთ თავის დროზე, "მანჩესტერიდან" ამ კლუბში გადასვლის გადაწყვეტილებას?

- "რეალს" ვტოვებ იმ შეგრძნებით, რომ შემეძლო, ამ კლუბთან ერთად უფრო მეტისთვის მიმეღწია და მეტი ტიტული მომეგო. მაგრამ არასოდეს ვნანობ იმაზე, რაც გავაკეთე, ვინაიდან შემთხვევითი გადაწყვეტილებების მიღებას ნაჩვევი არ ვარ - ყველა საკითხს სერიოზულად ვუდგები. "მანჩესტერიდან" იმიტომ წავედი, რომ როგორც ფეხბურთელსა და როგორც პიროვნებას, პროგრესის მიღწევა მსურდა. მადრიდში ბევრი რამ ვისწავლე, ბევრი განვიცადე, თუმცა, ვერაფერი მოვიგე. მაგრამ, ვცდილობ ნებისმიერი გამოცდილებიდან მაქსიმალური სარგებელი ვნახო.

- ოთხი წლის წინათ, არჩევანის საშუალება გქონდათ - ან "რეალი" ან "ბარსელონა". არასოდეს გინანიათ, რომ მადრიდი აირჩიეთ?

- როცა ვამბობ, რომ სერიოზულად ვფიქრობ ყველა გადაწყვეტილებაზე, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ფიქრი თვეობით გრძელდება. როცა გავიგე, რომ "მანჩესტერი" ჩემს გაშვებას აპირებდა, ორ დღეში მომინია გადაწყვეტილების მიღება. ბოლო სიტყვა მე მეკუთვნოდა და მადრიდი ავირჩიე. არსებობენ ადამიანები, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ ეს შეცდომა იყო. მაგრამ უკან მოხედვა არ მიყვარს. დროს უკან მაინც ვერ დააბრუნებ და ამიტომაც, არაფერზე ვნანობ. რა თქმა უნდა, "ბარსელონამ" უამრავი ტიტული მოიპოვა, მაგრამ მთლიანობაში, "რეალში" მიღებული გამოცდილება ძალიან პოზიტიური გამოდგა.

- რაში გამოიხატება ეს პოზიტიურობა?

- ყველაზე კარგი, რაც "რეალში" ყოფნისას თავს გადამხდა, ზინედინ ზიდანის გვერდით თამაში იყო. ის საოცარი ადამიანია, ადამიანი მოვლენა.

- ე.ი. ზიდანისა და მატერაცის ისტორიაში ფრანგის მხარეს იჭერთ?

- აი, "ზიდანი-მატერაცის" თემის გარშემო არაფერს ვიტყვი. მინდორზე ყველა თავისებურად იქცევა და რეაგირებს. ჩვენ არ გვაქვს არავის განსჯის უფლება.

- ისევ თქვენზე ვისაუბროთ. მადრიდში ვარსკვლავის სტატუსით ჩახვედით, კარიერის პიკი ჯერ გასავლელი გქონდათ. ახლა კი, აქედან მიდიხართ ისე, რომ ბოლომდე ვერ გამოავლინეთ საკუთარი პოტენციალი. რამ შეგიშალათ ხელი "რეალის" ლიდერი გამხდარიყავით - მწვრთნელებისა და პრეზიდენტების ხშირმა ცვლამ, დაცვის მოთამაშეების დაბალმა კლასმა, ფორვარდების დეფიციტმა თუ კიდევ სხვა მიზეზი არსებობდა?

- ყველა ამბობს, რომ კლუბში ჩემი მისვლა, "რეალის" არსებობის არც ისე წარმატებულ პერიოდს დაემთხვა. მაგრამ ამაში დამნაშავე არ ვარ. ვერავის დავადანაშაულებ იმაში, რომ არ გამიმართლა. ყველაფრით კმაყოფილი ვარ, მათ შორის, ჩემი თამაშითაც, თუმცა, ვალიარებ: ოთხი წლის განმავლობაში ამდენი მწვრთნელის ხელში მუშაობა - ეს არც ისე სასიამოვნო მომენტია. ინგლისურ ფეხბურთს კარგად ვიცნობ და ასეთი რამ, იქ თითქმის არ ხდება.

- ისეთი აზრიც არსებობს, რომ "რეალში" ბექჰემის კარიერა იმის გამო არ აეწყო, რომ მას მინდორზე არასწორად იყენებდნენ. სინამდვილეში, ამ მხრივ მართლა გრძნობდით დისკომფორტს?

- როცა "რეალმა" კონტრაქტი შემომთავაზა, ყველა კარგად ხედავდა, როგორ ვთამაშობდი "მანჩესტერში". ყოველთვის იმ პოზიციაზე ვმოქმედებდი, რომელზეც მწვრთნელი მიმითითებდა და მათი ნდობის გასამართლებლად მონდომებას არ ვიშურებდი. მაგრამ, უნდა ვალიარო, რომ ინგლისში უფრო მეტ თავისუფლებას მაძლევდნენ.

- რატომ არ დაბრუნდით სამშობლოში? მაგალითად, "ჩელსიში"? ერთი პერიოდი ხშირად წერდნენ იმის შესახებ, აბრამოვიჩი და კენიონი კონტრაქტს გთავაზობდნენ, მაგრამ თქვენ მაინც მადრიდში დარჩენა გადაწყვიტეთ. ეს სიმართლეა?

- ჩემს სპორტულ კარიერას ცალკე კომპანია აკონტროლებს და ვიცი, რომ რამდენიმე ინგლისური კლუბი მართლაც იყო ჩემი შეძენით დაინტერესებული. დარწმუნებული არ ვარ, რომ ამ სიაში "ჩელსიც" ფიგურირებდა. ყოველ შემთხვევაში, პირადად ჩემთან აბრამოვიჩის კლუბიდან არავის უსაუბრია.

- როგორი იყო თქვენი რეაქცია, როცა გაიგეთ, რომ ფაბიო კაპელო სეზონის ბოლომდე აღარ დაგაყენებდათ შემადგენლობაში?

- პროფესიონალი ვარ და ყოველთვის მშვიდად ვიღებდი იმას, რასაც ჩემთან დაკავშირებით მწვრთნელები გადაწყვეტდნენ ხოლმე. ამ შემთხვევაში, კაპელოს გადაწყვეტილება ვერ გავიგე, მაგრამ უხმოდ მივიღე. "რეალთან" კონტრაქტი ივნისამდე მაქვს და ისევე როგორც გასულ ზაფხულს, როცა კაპელო "რეალში" მოვიდა, ყოველდღე თავდაუზოგავად ვმუშაობ, რათა მწვრთნელმა შემამჩნიოს. ახლა კარგ ფიზიკურ ფორმაში ვარ და თავისუფლად შემიძლია ყოველ კვირა თითო მატჩი ვითამაშო. მაგრამ გადაწყვეტილებებს კაპელო იღებს. მე არაფრის გაკეთება არ შემიძლია.

- ფერგიუსონის მიერ ნასროლი ბუცი, კაპელოს მხრიდან სასტიკი მოპყრობა - იქნებ დიდი მწვრთნელები ვერ ეწყობიან დევიდ ბექჰემს?

- ამ ისტორიებში არანაირი მსგავსება არ არსებობს! ფერგიუსონთან კარგი ურთიერთობა მქონდა, ძალიან ახლოს ვიყავით ერთმანეთთან. და ჩვენ იმაზე უკეთესად დავშორდით ერთმანეთს, ვიდრე ეს ხალხს ჰგონია. საერთოდ, ადამიანებს შორის ურთიერთობა ციკლურად მიმდინარეობს. გაიხსენეთ მაგალითად, იმავე "მანჩესტერში" როგორ განვითარდა როი კინის ან რუუდ ვან ნისტელროის კარიერა. მე, როი და რუუდი ნაკლებად ვგავართ ერთმანეთს, მაგრამ ფერგიუსონი სამივეს დაგვემშვიდობა. ასე რომ, საქმე ჩემში და ჩემს ხასიათში არაა. რაც შეეხება კაპელოს, ის არ მენდობა და რატომ, არ ვიცი. მე არ მიკითხავს და მასაც არაფერი უთქვამს.

- როგორ ფიქრობთ, როცა კარიერას დაასრულებთ, შთამომავლობა დიდ ფეხბურთელად ჩაგთვლით?

- ჩემთვის ისიც საკმარისი იქნება, თუ ისინი იტყვიან, რომ მე პატიოსანი და პროფესიონალი ფეხბურთელი ვიყავი. ამას გულწრფელად გეუბნებით.

- რამდენად გხიბლავთ უდიდესი პოპულარობა და პლანეტის ყველაზე ცნობილი ფეხბურთელის სტატუსი?

- ვცდილობ, სპორტის მიღმა, რაც შეიძლება შეუმჩნეველი პიროვნება ვიყო, მაგრამ ეს ძალიან ძნელია. ვშიშობ, ლოს ანჯელესშიც ყველაფერი სწორედ ასე იქნება.

- რა თქმა უნდა, ასე იქნება. ადგილობრივმა ფანებმა უკვე შექმნეს ვებგვერდი, რომელიც თქვენს ამერიკაში ჩასვლას ეხება. უნდა ნახოთ, როგორი აღფრთოვანებით წერენ ისინი ამ მოვლენის შესახებ. არ წაგიკითხავთ ეს წერილები?

- ინტერნეტის აქტიური მომხმარებელი არ ვარ, უფრო ხშირად ტელევიზორს ვუყურებ.

- ცნობილია, რომ ანდრეი შევჩენკომ ლონდონში გადაბარგებისას, მეუღლის რჩევებით იხელმძღვანელა. რა როლი ითამაშა ამერიკაში გადასვლაზე ვიქტორიამ?

- ჩვენს სახლში, ჩემს კარიერასთან დაკავშირებით ნებისმიერ გადაწყვეტილებას ვიღებ მე და არა ჩემი ცოლი. თუმცა, არ დავმალავ - ვიქტორიას ძალიან მოსწონს ის ადგილი, სადაც უნდა გადავიდეთ. და სხვათა შორის, თავის დროზე, ის მანჩესტერიდან მადრიდში გადასვლის წინააღმდეგიც არ ყოფილა.

- ტომ კრუზთან მეგობრობთ. მასთან ურთიერთობამ თუ იქონია თქვენს გადაწყვეტილებაზე გავლენა?

- ეს მართალია, ტომთან უკვე დიდი ხანია ვმეგობრობ და ისიც მირჩევდა, რომ ამ კონტრაქტისთვის ხელი მომეწერა. მაგრამ ვიმეორებ, რომ ლოს ანჯელესი სხვა მიზეზით ავირჩიე - მაინტერესებს გუნდი და მისი ხელმძღვანელობის ახალი პროექტი. მხოლოდ და მხოლოდ სპორტზე ვფიქრობდი და სხვაზე არაფერზე. და თუ მომავალ სეზონში, ჰოლივუდის ვარსკვლავები ჩემს მატჩებზე ივლიან, რა არის ამაში ცუდი? თუ გუნდში ჩემი ყოფნა, ამერიკაში ფეხბურთის იმიჯის შეცვლას შეუწყობს ხელს, ბედნიერი ვიქნები - ეს არის ჩვენი მთავარი მიზანი.

- კრუზს თქვენთვის არ შეუთავაზებია ჰოლივუდური კარიერის დაწყება? ფილმებში გადასაღებად ხომ არ გიწვევენ?

- ამერიკაში მხოლოდ ფეხბურთის სათამაშოდ მივდივარ. რაც შეეხება სამსახიობო კარიერას, ეს საკმაოდ რთულია. ამაზე მსჯელობა იმ სარეკლამო რგოლების მიხედვითაც შეიძლება, რომლებშიც ხშირად მიღებენ ხოლმე. ამ მომენტისთვის, მსგავსს არაფერს ვგეგმავ. და ნამდვილად არ მივბაძავ ერიკ კანტონას, რომელიც სხვადასხვა ჟანრის ფილმებში მონაწილეობს.

- კარიერის დასრულების შემდეგ რა პროფესიას აირჩევთ?

- არ ვიცი. ამაზე ჯერ არ მიფიქრია.

დაპირისპირება

გუტი ბექჰემს გამოეჭომაგა

დევიდის ამერიკული დებიუტი 5 აგვისტოს, ტორონტოში შედგება

დევიდ ბექჰემი ძირითად შემადგენლობაში უნდა თამაშობდეს და "რეალის" მატჩებს ტრიბუნიდან არ უნდა ადევნებდეს თვალს - ეს განცხადება მადრიდელთა ვიცე-კაპიტანმა ხოსე მარია გუტიერესმა გააკეთა და ამით კიდევ ერთხელ დაუპირისპირდა მთავარ მწვრთნელ ფაბიო კაპელოს. ბექჰემს "რეალის" მაისურა 7 იანვრის შემდეგ არ ჩაუცვამს. იმ დღეს სამეფო კლუბმა "დეპორტივოსთან" 0:2 წააგო. ცოტა ხანში დევიდმა გამოაცხადა, რომ "ლოს ანჯელეს გალაქსისთან" აფორმებდა კონტრაქტს. კაპელო ემოციას აჰყვა და დაიქადნა, ის ჩემს გუნდში აღარ ითამაშებსო. მწვრთნელის კომენტარი უცნაური იყო, რადგან ბექჰს "რეალთან" კონტრაქტში ჯერ კიდევ ექვსი თვე ჰქონდა დარჩენილი. დონ ფაბიომ ტონი მალე შეარბილა, მაგრამ ბექჰემისთვის შანსი აღარ მიუცია. დევიდი არათუ შემადგენლობაში, ბოლო ექვსი მატჩია, განაცხადშიც კი ვეღარ ხვდება და ერთთავად საპატიო სტუმრების ლოჟაში ზის. გუტი ინგლისელ გალაქტიკოს საჯაროდ გამოექომაგა: *"დავიწყოთ იმით, რომ დევიდი ჩემი მეგობარია და თანაც შესანიშნავი ფეხბურთელი. მან კარიერის სხვა კლუბში გაგრძელება არჩია. მის არჩევანს პატივს ვცემთ. გვინდა, მან არა მხოლოდ ივარჯიშოს "რეალში", არამედ ითამაშოს კიდეც. დევიდი ძალიან მნიშვნელოვანი ფიგურაა."* კაპელო ბექჰემის უთამაშებლობას იმით ხსნის, რომ სურს, ახალგაზრდები გამოსცადოს. საგაისოდ (თუ კაპელო მადრიდში დარჩება) მადრიდელებს საგრძნობლად გაახალგაზრდავებული შემადგენლობა უნდა ჰყავდეთ. მომავალ სეზონში დევიდი უკვე ამერიკაში იქნება. MLS-ში მისი დებიუტი, სავარაუდოდ, 5 აგვისტოს, "ტორონტოსთან" მატჩში შედგება. ივლისის მინურულს "გალაქსი" დალასში უნდა ჩავიდეს. თუ ფორმალობები დროულად მოგვარდება და ბექჰემიც შედარებით ხანმოკლე შვებულებას იკმარებს, შეიძლება, დალასელ ქომაგებსაც გაუმართლოს. MLS-ის სეზონი 7 აპრილს დაიწყება.

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ჩოგბურთი

დონიანი დევისი

გუშინ, საქართველოს სპორტის დეპარტამენტის სააქტო დარბაზში, დევისის თასის მატჩის წილისყრა და პრესკონფერენცია გაიმართა.

სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარემ **დავით ნამგალაურმა** მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა და ორივე გუნდს წარმატება უსურვა, წილისყრა კი მატჩის მთავარმა არბიტრმა **კარმელო დი დიომ** გამართა. ბატონმა დი დიომ დიდი დრო არ მოანდომა იმის გარკვევას, თუ ვინ დაიწყებდა დღეს მატჩს. ეს პატივი ქართველთაგან **ირაკლი ლაბაძეს** ერგო, პორტუგალიელთაგან კი მეორე ნომერი, **რუი მაჩადო** გამოვა კორტზე. მეორე შეხვედრაში **ლადო ჩიხლაძე** და სტუმართა ლიდერი, **ფრედერიკო ჟილი** ითამაშებენ. პირველი თამაში 13 საათზე დაიწყება.

შაბათს, 16 საათზე, წყვილთა ორთაბრძოლაა, ნახევარი საათით ადრე კი მატჩის საზეიმო გახსნის ცერემონიალი ჩატარდება.

პრესკონფერენციის შემდეგ სტუმარ-მასპინძელი დეპარტამენტის სპორტულ მუზეუმს ეწვია და დიდი ინტერესით დაათვალიერა ქართული სპორტის ფონაგარი.

ჩვენი ნაკრები მსოფლიოს გუნდური ჩემპიონატის, დევისის თასის ამ დონეზე პირველად თამაშობს. საქართველო-პორტუგალიას შორის გამარჯვებული ჯგუფში ადგილს გაინაღდებს და მეორე წრეში სერბეთის ნაკრებს ესტუმრება, აქ მოგების შემთხვევაში კი მსოფლიო ჯგუფში თამაშის შანსიც მიეცემა.

გულშემატკივარს შევახსენებთ, რომ ერთდღიანი ბილეთი 5 ლარი ღირს, სამდღიანი - 12.

ზვიად შათირიშვილი



სამბო

ნუგზარ სურმანიძის ფოტო

გიორგი გოგუაძე. მილოცვა და დარიგება ლევან თედიაშვილისგან

ფედერაციის ყრილობა

ახალი პრეზიდენტი ახალი იდეით

ჩავაბათ სპორტში გავშვთასახლელები!

გუშინ გაიმართა სამბოს ფედერაციის VI, რიგგარეშე ყრილობა, რომელზეც ახალ პრეზიდენტად „სახალხო ბანკის" გენერალური დირექტორი **გიორგი გოგუაძე** აირჩიეს.

შეგახსენებთ, რომ პრეზიდენტის პოსტი ვაკანტური მას შემდეგ გახდა, რაც იანვარში პოსტიდან ძველი მესაჭე, საზღვრის დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარე **ბადრი ბიწაძე** გადადგა. მასთან ერთად თანამდებობა დატოვა ვიცე-პრეზიდენტმა **კობა კურდღელაშვილმაც**, რომელიც ფედერაციაში ბიწაძემ მოიყვანა. გუშინდელმა ყრილობამ ახალ ვიცე-პრეზიდენტად ეროვნული ნაკრების თავკაცი **ოლეგ იაძე** აირჩია.

ყრილობას 135 დელეგატიდან 103 ესწრებოდა და დეპარტამენტის სააქტო დარბაზი პირთამდე გაივსო. აღნიშნავდნენ კიდეც გამომსვლელები, ამდენი ხალხი არც ერთი ფედერაციის შეკრებაზე არ მოდისო და მართლებიც იყვნენ. ყრილობის მთავარი საკითხი არჩევნები იყო, რომელშიც არც გოგუაძეს ჰყოლია კონკურენტი და არც - იაძეს. ამიტომ წინააღმდეგობა არც იყო მოსალოდნელი და მართლაც - ორივეს ერთხმად დაუჭირეს მხარი.

გოგუაძესთან წინასწარი კონსულტაციები კარგა ხნის წინ დაიწყო და სამბოს წარსულსა თუ დღევანდელობაზე წარმოდგენა გააჩნდა, მაგრამ ამ სფეროში მაინც ახალი კაცია და შეხვედრის დასაწყისში მასპინძლებმა პატარა ისტორიული ექსკურსი მაინც საჭიროდ ჩათვალეს. თუმცა არა მარტო გოგუაძის, ახალგაზრდა თაობისთვისაც სასიამოვნოა იმის შეხსენება, რომ 1939 წელს ჩატარებულ პირველ საკავშირო ჩემპიონატში ქართველმაც გაიმარჯვა - **კონსტანტინე კობერიძემ** აბსოლუტურში. მართალია, იგი მაშინ მოსკოვის სახელით ჭიდაობდა, მაგრამ ამით მის ქართველობას არაფერი აკლდება. ასევე აღსანიშნავია, რომ ქართველებს გაუმარჯვიათ ევროპის პირველ ჩემპიონატში, ხოლო პირველი მსოფლიო ჩემპიონი სულაც ქართველია - **გენადი გიორგაძე**, რომელმაც 1973 წელს 48 კილოგრამ წონით კატეგორიაში გაიმარჯვა. ყრილობაზე ლეგენდარულმა **ლევან თედიაშვილმა**, რომელმაც იმ ჩემპიონატზე თვითონაც გაიმარჯვა, ეს ფაქტი ხუმრობის თემად აქცია - ჩემპიონი მეც გავხდი და რატომ მიიჩნევთ გიორგაძეს პირველადო. არადა, თედიაშვილი 90 კილოში გამოდიოდა და გიორგაძეზე გვიან იზეიმა გამარჯვება.

აქვე შეგახსენებთ, რომ 1973-ის იმ ღირსშესანიშნავ მსოფლიო პირველობაზე, თეირანში, თედიაშვილმა სამბოში მოგებამდე თავისუფალ ჭიდაობაშიც იმარჯვა და მეორედ გახდა მსოფლიო ჩემპიონი.

სამბოს ფედერაციის ხელმძღვანელობამ ისტორიულ ექსკურსს სტატისტიკაც მოაყოლა. თურმე, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, ქართველ სამბისტებს ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებზე, როგორც დიდებში, ასევე ახალგაზრდებსა და ჭაბუკებში, 457 სხვადასხვა სინჯის მედალი მოუპოვებიათ.

თავის გამოსვლაში ახალმა პრეზიდენტმა წლევანდელი სეზონის ძირითად პრიორიტეტებზე ისაუბრა: წარმატებით გამოსვლა და, მინიმუმ, თითო ოქროს მედლის მოპოვება ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებზე; ახალგაზრდა, ნიჭიერი თაობის მოძიება როგორც დედაქალაქში, ასევე რეგიონებში; „სახალხო ბანკის" ეგიდით - საქართველოს თასის გუნდური გათამაშების კიდევ უფრო პოპულარიზაცია; სპორტსმენთა ხელფას-პრემიების მტკივნეული საკითხის მოგვარება, რომელსაც ყველა დამსახურებისამებრ მიიღებს; ზრუნვა ვეტერანებზე.

გოგუაძემ ახალგაზრდებზე საუბრისას ერთი საინტერესო იდეაც წამოაყენა - სამბოში ბავშვთა სახლების აღსაზრდელთა ჩაბმა, რაც ძალიან მნიშვნელოვანია რამდენიმე თვალსაზრისით - ის ბავშვები სპორტში ჩაებმებიან და გაჯანსაღდებიან, წარმატებულ სპორტსმენებად ჩამოყალიბების შემთხვევაში კი საზოგადოებაში გაცილებით იოლად დამკვიდრების შანსი მიეცემათ.

წლეულს სახელოვან მწვრთნელ **ლავრენტი კაციაშვილს** 80 წლის იუბილე უსრულდება და გოგუაძე ამ თარიღის სათანადოდ აღნიშვნასაც გეგმავს. ამ ჭარმაგ კაცს, რომელიც ჯერ ისევ მწვრთნელად მუშაობს და 80 წლისას არაფერი ეტყობა, ჩვენც დიდხანს სიცოცხლეს ვუსურვებთ.

გოგუაძემ ცხრა კაცს დარბაზშივე გადასცა „სახალხო ბანკის" პლასტიკური ბარათები, რომლითაც ისინი ყოველთვიურ დახმარებას მიიღებენ. მადლიერების გრძნობით აღვნიშნავთ, რომ მათ შორის ორი ხეიბარია - სავარძელს მიჯაჭვული სრულიად ახალგაზრდა **ბადრი ყვავილაშვილი** და ამაგდარი მწვრთნელი **გმირო ხაჩიძე**.

ირაკლი თავაძე

ჭრელფესიული ჭრიჟი

სარეიტინგო ორთაბრძოლები

კანდელაკი II



ნუგზარ სურმანიძის ფოტო

რინგზეა სიდნეის ოლიმპიადის პრიზიორი ვლადიმერ ჭანტურია

ზამთრის არდადეგების შემდეგ, ვერის ბაღში, საქართველოს პროფესიული კრივის ფედერაციის დარბაზში გუშინ გახსნილა სარეიტინგო ორთაბრძოლები.

გუშინდელი საღამო წინამორბედებისაგან იმით იყო გამორჩეული, რომ ამჯერად უცხოელებიც გვესტუმრნენ. კერძოდ, ორი აზარბაიჯანელი, რომელთაც უმალ დაუწყვილეს ქართველები. ჩვენებურთა სახახელოდ უნდა ითქვას, რომ სტუმრები თავიაღუნულები გაუშვეს უკან. **ანარ შირინოვი** ექვს რაუნდში გაიალახა, **ხალილ ჯავადოვმა** კი სულ რაღაც ნახევარ რაუნდში ისეთი სირცხვილი ჭამა, ალბათ მთელი ცხოვრება ემახსოვრება. თუმცა, მოდით, მივყვეთ თანმიმდევრულად.

62 კგ. ამ წონის და გუშინდელი დღის პირველი შეხვედრა შედგა **გარი აბაჯიანსა** და **გიორგი გოგებაშვილს** შორის. ახალგაზრდა გოგებაშვილმა გამოცდილ მეტოქესთან მხოლოდ საწყის ორ რაუნდში გაიქნია ხეირიანად ხელები. მერე კი აშკარად დაეტყო დაღლა, ძირითადად, თავდაცვით იყო დაკავებული. შესაბამისად, მართალია, ქულებით, მაგრამ საკმაოდ იოლად აბაჯიანმა იმარჯვა.

ამავე წონაში, ჩვენი პროფესიული კრივის პრეზიდენტის სეხნია და მოგვარე **გიორგი კანდელაკი** აზერბაიჯანელ ანარ შირინოვს გადაეყარა. შირინოვი ახალი გადმოსულია მოყვარულებიდან პროფესიონალებში და ნათლად ჩანდა, რომ გამოცდილება აკლია. იგი საკმაოდ ღიად ჩხუბობდა, რითაც კარგად სარგებლობდა კანდელაკი და დარტყმას დარტყმაზე აყენებდა. ორჯერ ნოკდაუნშიც გაუშვა და თითქოს ნოკაუტიც გარდაუვალი იყო. მართალია, სტუმარმა ექვსივე რაუნდი გაძლო, მაგრამ გამარჯვება, რაღა თქმა უნდა, ქართველს დარჩა.

66 კგ. დღის ყველაზე დაძაბული ორთაბრძოლა აქ გაიმართა. **ალექსანდრე ბენიძე** თავიდან საკმაოდ კი გაუძალიანდა **კობა ქარქაშაძეს**, მაგრამ ამ უკანასკნელის კლასმა მაინც თავისი გაიტანა და 6 რაუნდში, ქულებით გამარჯვებაც კობას დარჩა.

72 კგ. ყველაზე ხანმოკლე ორთაბრძოლები ამ წონაში იყო. თავდაპირველად ორი გიორგი გამოვიდა რინგზე - **უნგიაძე** და **ხალკალიანი**. პირველ რაუნდში უნგიაძემ დაანოკდაუნა მეტოქე, რომელსაც პირდაპირ სულზე მოუსწრო გონგმა. იგივე განმეორდა მეორე რაუნდშიც და რეფერიმ ბრძოლა შეაჩერა უნგიაძის აშკარა უპირატესობის გამო.

ამავე წონაში, ჩვენი უძლიერესი მოკრივე **შალვა ჯომარდაშვილი** აზერბაიჯანელ ხალილ ჯავადოვს დაუხვდა. სასტარტო კბილის მოსინჯვის შემდეგ, "შაკა" (ჯომარდაშვილის საკრივო მეტსახელია) გამალებით ეკვეთა მეტოქეს, ჯერ მუცელში მისცხო, მერე სახეში და ნოკასწორობადაკარგულს მესამედაც დაუნაცვლა, რითაც ჯავადოვი პირველსავე რაუნდში ნოკაუტში აღმოჩნდა. ამრიგად, ჯომარდაშვილს პროფესიულ რინგზე ზედიზედ 23-ე მოგება დაუგროვდა (14 ნოკაუტი) და უკვე დროა, ამ ნიჭიერმა კაცმა საზღვარგარეთაც ცადოს ბედი. სხვათა შორის, კრივის ფედერაციაშიც ამჩნევენ, რომ აქ გასაჩერებლად ცოდვაა და როგორც გავიგეთ, ჯომარდაშვილი მალე ამერიკის შეერთებულ შტატებში გააგრძელებს კარიერას. რა თქმა უნდა, იგი ამერიკაშიც საქართველოს სახელით იკრივებს.

+96 კგ. მძიმეწონოსანთა ბრძოლა ყველაზე ხანმოკლე, ოთხრაუნდიანი იყო. სიდნეის ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორი **ვლადიმერ ჭანტურია** სამოყვარულო კარიერის დასრულების შემდეგ პროფესიულ რინგზე აღმოჩნდა, სადაც გუშინდლამდე ზედიზედ ოთხჯერ მოეგო, გუშინ კი მორიგ მეტოქეს მოუგო საკმაოდ იოლად - **პაატა ბერიკაშვილს**.

მორიგი ორთაბრძოლები შემდეგ ხუთშაბათს გაიმართება, ამჯერად იქვე, ვერის ბაღის კალათბურთის სასახლეში.

კობა ხატისაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მემკვიდრეობა

აფხაზი სპორტსმენები და სპორტსმენები აფხაზეთიდან

რუბრიკას უძღვება მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში, სპორტის დამსახურებული ოსტატი **გურამ საღარაძე**

უფალი ამბობს: "ყოველთა, რომელთა აღიღონ მახვილი, მახვილითა წარწყმდნენ". აფხაზეთი ათასეულობით ქართველის ნოსტალგიაა, ჩვენი სევდა და გულისტკივილია. ძნელი წარმოსადგენი არ არის იმ ასეულ ათასობით ადამიანის განცდა, რომელსაც იძულებით დაატოვებინეს მშობლიური კუთხე, სადაც დაირწა მათი აკვანი. ეს ტკივილი ჯერ კიდევ მოუშუშებელია და ღმერთმა უწყის, როდის დაობებება მათი გულები. ოდითგან ჩვენი სისხლხორცეული, დედასაქართველოს განუყოფელი ისტორიული მხარე - აფხაზეთი, დღეს ექსტრემალურ მდგომარეობაშია. ტოლერანტ ქართველ ერს კარგად ესმის და შესისხლხორცებული აქვს მისი დღევანდელი ვითარება და ყოველმხრივ უთანაგრძნობს კიდეც. მენატრება სოხუმი, გაგრა, ლესელიძე, რომლის სპორტულ ბაზაზე ხშირად ვატარებდით შეკრებებს. მენატრება ულამაზესი რინა, კაშკაშა მზით განათებული ცა და ლურჯად მოლივლივე, კამკამა ზღვა, თითოეულ კენჭს რომ დაითვლიდი. მენატრება უმშვენიერესი სოფელი განახლება მდინარე კოდორით, რომლის ტალღებშიც გვიდქაფუნია. ილორის წმ. გიორგის სახელობის ეკლესია ხომ ჩვენი ისტორიული სალოცავია. ემხვარების, შერვაშიძეების, ანჩაბაძეების, მარშანიების სამშობლოს ვერავინ წაგვართმევს, იმედის თვალით ვუყურებთ მომავალს...

აფხაზეთის სპორტსმენებზე და აფხაზ სპორტსმენებზე სია ავტონომიური რესპუბლიკის სპორტის დეპარტამენტის ყოფილმა თავმჯდომარემ **ამირან ზუხბაიამ** მოგვაწოდა. თან მთხოვა, მკითხველისთვის გამეზიარებინა მისი აზრი, რომელსაც, ვფიქრობ, ყველა ჩვენგანი გაითავისებს. აი, რას ამბობს ის: "დადგა დრო, მაქსიმალურად დავუჭიროთ მხარი და მივაპყროთ ჯეროვანი ყურადღება აფხაზეთის თემას. პოლიტიკური დაძაბულობისა და არსებულ მაზუთა გამო, სამართლიანად, განსაკუთრებული ყურადღებითა და სითბოთი უნდა მივუდგეთ აფხაზი ხალხის, კერძოდ, სპორტის დარგში მოღვაწე მწვრთნელთა, სხვადასხვა დროის გამოჩენილ სპორტსმენთა და მოღვაწეთა დამსახურებასა და ამაგს ჩვენი ქვეყნის წინაშე. ამიტომაც, ჩავთვალეთ, ჭიდაობის დიდ ოჯახთან ერთად, მოვიგონოთ სპორტის სხვა სახეობების წარმომადგენლები, რომლებმაც სახელი გაითქვეს, როგორც საქართველოში, ისე სსრკ-ში, ევროპასა და მსოფლიოში. ეს ინფორმაცია მისცემს საშუალებას სპორტის მოყვარულებს, კიდევ ერთხელ გაიხსენონ თავიანთი კერპები აფხაზეთიდან".

აფხაზეთში უძველესი დროიდან იყო გავრცელებული სპორტის ისეთი სახეობები, როგორიცაა სირბილი, ხტომა, ცურვა, ნიჩბოსნობა, სიმძიმეების აწევა, ჭიდაობა. აგრეთვე, ქართული სპორტული თამაშობანი - ყაბახი, ისინდი, ცხენბურთი, ლელო და სხვა. განსაკუთრებით პოპულარული იყო მარულა, ჩარაზი, ათარჩეი, დაბრკოლებათა გადალახვა, ყალყზე შემდგარი ცხენებით ბრძოლა - ჩიწხილა აისრა, ჭიდაობა - აიქუფარა, მოძრავი თამაშობანი - ახილფახსი, აშაქუსრა, ალაბაქურსი, აკეაბროუ და სხვა. XX საუკუნის დამდეგს დაიწყო სპორტის თანამედროვე სახეობების - ფეხბურთის, ველოსპორტის, ტანვარჯიშის, თავისუფალი ჭიდაობისა და სხვათა გავრცელება-განვითარება. აფხაზეთში აღიზარდნენ საქვეყნოდ ცნობილი სპორტსმენები: **ა. ტყებუჩავა, ნ. სიმონიანი, ვ. სანაია, ა. ლოლობერიძე, ნ. ძიაფშიპა, ვ. მარღანია, ი. გრამატიკოპულო, ვ. დარასელია** (ფეხბურთი); **ს. ჯაიანი** (ტანვარჯიში); **ვ. მაჩკალიანი, ვ. მარშანია, რ. ხუტაბა** (ჭიდაობა); **რ. ტარკილი** (ძალოსნობა); **მ. პაპავა** (ტყვიით სროლა); **კ. დარასელია** (სასტენდო სროლა); **ზ. ანშბა** (ცხენოსნობა); **მ. ჩაჩბა** (წყალში ხტომა); **ს. გუმბა** (შუბის ტყორცნა); **ვ. სანეევი** (სამხტომი) და სხვა.

ახლა კი მივყვეთ თანმიმდევრობით. დავიწყებ ჭიდაობით. ვინ, თუ არა, უპირველესად უნდა ვახსენო **ელდარ (ლუკა) კურტანიძე** - მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი (2002, 2003), ევროპის ოთხგზის ჩემპიონი (1996, 1997, 1998, 2001), ატლანტისა (1996) და სიდნეის (2000) ოლიმპიადების მესამე პრიზიორი; ევროპისა (1999) და მსოფლიოს (1997) ჩემპიონატების ბრინჯაოს მედლის მფლობელი. კრასნოიარსკის საერთაშორისო ტურნირის ორგზის ლაურეატი, ვახტანგ ბალავაძის სახ. თბილისის საერთაშორისო ტურნირის რვაგზის (1993, 1994, 1995, 1996, 1997, 1998, 1999, 2005) გამარჯვებული. ის ამ ტურნირის რეკორდსმენიცაა - მოიგო ყველაზე მეტი შეხვედრა; **რაშ ხუტაბა** - ევროპის ჩემპიონი (1982) და სსრკ-ს ჩემპიონი (1981). ეს ის ხუტაბაა, რომელსაც აკადემიკოს სიმონ ხეჩინაშვილის მადლიანმა ხელმა შვილი გადაურჩინა. ეს ახალგაზრდა ახლა რუსეთის სახელით გამოდის საერთაშორისო არბიელზე, თავისუფალ ჭიდაობაში. რაშ ხუტაბა არ ივიწყებს ამ ამაგს და კეთილი განწყობითაა ქართველი ხალხის მიმართ; **ვლადიმერ მარშანია** - სსრკ-ის პრიზიორი, საქართველოს ჩემპიონი; **გია ყურაშვილი** - სსრკ-ის პრიზიორი, საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი; **დავით ხურცია** - საქართველოს ჩემპიონი, თბილისის საერთაშორისო ტურნირში გამარჯვებული (1993), ამჟამად საქართველოს ეროვნული ნაკრების ერთ-ერთი წამყვანი მწვრთნელი თავისუფალ ჭიდაობაში; **ეგია მუსოიანი** - სსრკ-ს ჩემპიონი, საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი; **გურამ მჭედლიძე** - სიდნეის ოლიმპიადის მონაწილე; ყველას გახსოვთ ერთ-ერთი უძლიერესი მოჭიდავე **რობერტ ჯღამაძე** - ძირითადად მოსკოვის სახელით ჭიდაობდა. იყო სსრკ-ის მრავალგზის ჩემპიონი და პრიზიორი თავისუფალ ჭიდაობასა და სამბოში; **მამუკა ხურციძე** - საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი და პრიზიორი; შესანიშნავად ჭიდაობდა **გიგლა ხარებავა** - საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი და პრიზიორი; თავისუფალ მოჭიდავეთა რიგებს ამშვენებდნენ **მურთაზ მეფარიშვილი, ალიკ არჯენია**. დასაფასებელია დამსახურებული მწვრთნელის **შოთა კიკაბიძის** შრომა და ამაგი, რომელმაც შექმნა აფხაზეთში თავისუფალი ჭიდაობის სკოლა. მან აღზარდა სწორედ ზემოთ ჩამოთვლილი ათლეტები. დიდი პატივისცემით ვიგონებ **ზაქრო ხარაიშვილისა** და **აბესალომ გოგიშვილის** ღვაწლს.

დავით ხურცია



ლუკა კურტანიძე და მისი პირველი მწვრთნელი შოთა კიკაბიძე

ბერძნულ-რომაული ჭიდაობის სახელი შორს გაიტანა სსრკ-ის მრავალგზის ჩემპიონმა **ვალარშაკ მაჩკალიანმა**. "კლასიკოსების" წარმომადგენლები თავის დროზე იყვნენ **ვალენტინ ბარციცი** და აწგარდაცვლილი **რევაზ თოდუა**.

ქართულ ჭიდაობას ეზიარნენ და სახელი გაითქვეს საქართველოს მრავალგზის ჩემპიონებმა და პრიზიორებმა: **ომარ და ბაგრატ მაისურაძეებმა, ვალიკო ქსოვრელმა, ვალიკო დავითაშვილმა, ალიოშა ესებუამ**. ძიუდოისტებიდან გამოირჩეოდნენ: **ლადო დგებუაძე**, ძმები **მოდებაძეები**, სამბოში კი თავი გამოიჩინეს მსოფლიო ჩემპიონმა **სერგეი ტერნოვიხმა, ერვანდ მარტიროსიანმა, ზურაბ გობეჯიშვილმა, ვლადიმერ კუვიჩკომ, არამ აკოფიანმა**.

საქვეყნოდ ცნობილნი არიან მძლეოსნები: **ვიქტორ სანეევი** - სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი; **საიდა გუმბა** - ოლიმპიური თამაშების პრიზიორი. ჩემთვის ძალიან ახლობლები არიან მამა-შვილები: **გიორგი** (აკადემიკოსი, პირველი რეკორდსმენი სიმაღლეზე ხტომაში), **გოგა** (მოქანდაკე) და **ზურაბ** (პარლამენტარი, ფეხბურთელი) **შხვაცაბაიები**. საქართველოს მრავალგზის ჩემპიონები და პრიზიორები არიან მძლეოსნები: **ვიქტორ ალექსანდროვი, ანატოლი კოსტინი, იაშა წულუკიძე, ოლეგ ლაკერბაია, ვანო სანგულია, ოთარ ზუხბაია, აკოფ კერესელიანი** (ვიქტორ სანეევის მწვრთნელი), **ვლადიმერ ჩხაიძე, ალეკო ბარგანჯია, თამაზ ჭედია**, ძმები **ტარიელ და ამირან ბიწაძეები, ვიაჩესლავ ავიძბა, ტატიანა ბელოვა, თამარ ემხვარი, თენგიზ ღვინჯილია, ოლგა ვიქტოროვა, არაქსი ოვივიანი, სვეტა ნარმანია**.

ფეხბურთელებს კომენტარი აღარ სჭირდებათ. ყველა ჩვენგანისთვის ძვირფასია მათი სახელები: **ავთანდილ ლოლობერიძე, ნიაზ ძიაფშიპა, ვიტალი დარასელია, ვლადიმერ (ნიომა) ბარქაია, გიორგი სიჭინავა, გრიგოლ ცავა, შოთა ლომინაძე, ნოდარ კაკულია, შოთა ქოიავა, სერგო ფიფია, ზაურ ზუხბა, აბრეკ მინჯია, იური უსტაბაშიდი, ბონდო ბოკუჩავა, იური კიკორია, გენო ზარია, პავლე იოლჩიდი, ანატოლი (გიგა) ნორაკიძე, ამირან პაპასკირი**, რომლებიც თავის დროზე იცავდნენ როგორც ქვეყნის ნაკრების, ისე ქალაქებისა და რაიონების კლუბებისა თუ გუნდების სახელს, **ანატოლი მილჩენკო** - საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი.

კალათბურთელებიდან გამოირჩევიან: **ნოდარ დარახველიძე, ვლადიმერ ხაჟბა, ალექსანდრე სედოვი, შოთა ქოიავა, ვახტანგ ტანია, იური ძიძიგური, ვალერი ჯგერენაია, ვაჟა კვარაცხელია**. მოცურავეებიდან თავი ისახელეს: **ბორის ნიკიტინმა, ვლადიმერ ლავრენენკომ** (ევროპის ჩემპიონატის პრიზიორი), **ალექსანდრე გრობოვსკიმ** (საქართველოს რეკორდსმენი), **ირინა სუდინამ** (საქართველოს ნაკრების წევრი). ნიჩბოსნობაში (ბაიდარა და კანოე) ცნობილები არიან: **ახილეს მარფამიდა, თამარა ტოლკაჩოვა, ნიკოლოზ ემხვარი**. წყალში მხტომელები: **მიხეილ ჩაჩუა, გენადი ქირია** და **ლუდმილა ფოკინა**, რომლებიც დამსახურებული მწვრთნელობის გარდა სარგებლობენ დიდი ავტორიტეტითა და პატივისცემით.

ფრენბურთელებიდან წარმატებულები არიან **სტანისლავ ლუგაილო, ვლადიმერ დოროხოვი, ვლადიმერ დილენიანი** (მწვრთნელი). ტყვიით მსროლელებს შორის გამორჩევიან მრავალ შეჯიბრში გამარჯვებულები: **მარლენ პაპავა, ალექსანდრე სტროევი, ვახტანგ ახალაძე, ალექსანდრე კუჭუხიძე, ლუბოვ ალიხანოვა, ხორენ მალხოსიანი, კირკორ მალხოსიანი, ალექსანდრე რაჩკინი, სერგო სანაია, ბესიკ ჭანტურიძე**. მესტენდურები: **კარლო დარასელია, გოგი ნოდია**. ველოსპორტში საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ წარმატებებს მიაღწიეს: **კარლო შენგელაია, ადოლფ გუძი, ვალენტინა ჟღარკავა, ევგენი მენინანკოვი, ვიქტორ ჯორბენაძე**. ცხენოსნობაში: **ხარლამ სიმონია**, ძმები **ნუგზარ და მარდონ ლაბაშიები**, ძმები **ოთარ და ნოდარ ხაინდრავები, ზალატინსკა არშბა**. აქვე წარმოგიდგენთ მაგიდის ჩოგბურთელებს. ესენია: **ვლადიმერ თურქია, გრიგორი შუხი, პაატა ფირცხალავა, ჟანა ლავრინენკო, ლეილა თურქია**.

მრავალგზის ჩემპიონები და პრიზიორები ჰყავთ აფხაზ მოფარიკავეებსაც: **გივი კაკულია, ედუარდ კიუტი, ვიტალი გრიგოლია, თამაზ კაკულია, როზა ჯოლოგუა** - საქართველოს ჩემპიონები და პრიზიორები. ხელბურთელი **გიორგი თურქია**, ამჟამად საბერძნეთშია. მასობრივ-გამაჯანსაღებელ სპორტში აქტიურად არიან ჩაბმული და ყველაფერს აკეთებენ მისი წინსვლისთვის **გოდერძი შურღაია, სვეტლანა პერვიშევა**. აფხაზეთში პოპულარობით სარგებლობს კარატე, რომლის ცნობილი ოსტატები არიან: **სიმონ დარახველიძე, ვლადიმერ ჯაფარიძე, ადგული ძიძარია, თამაზ ჯახაია**, ძმები **ტარიელ და ამირან ბიწაძეები, კახა კაკაბაძე, გოჩა კაკაბაძე, მურთაზ ბებია**. მშვილდოსნობაში საუკეთესო შედეგები აქვთ **კლარა წურწუმიას, მარინა გვაზავას, ამირან შოოს, კლარა გვაზავას**. სპორტულ ტანვარჯიშში გამოირჩევიან: **ლუბოვ ბაჟაშვა, ვალენტინა მიხეევა, თამარა ბახტაძე**. მოკრივეებში, სსრკ-ს და საქართველოს მრავალგზის ჩემპიონები და პრიზიორები: **ხუტა არშბა, იური პაპანდოპულო, ალეკო სიდორაპულო, ზენონ ტარკილი, შალვა ეფრემაშვილი, ლევან ჭელიძე, გურგენ მიქელიანი, გივი (ბოჩო) იაშვილი, დიმა ჭურლულია**. ჩოგბურთელებს თავკაცობს **რუბენ დილენიანი**, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი. ხუთჭიდელია **ამირან შეროზია**, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი. პერსპექტიული მოჭადრაკეა **ბაადურ ჯობავა**.

დაბოლოს, მსოფლიოში სახელგანთქმულია სუმოს ოსტატი იაპონიაში, უმაღლეს რანგში მოსპარეზე **ლევან ცაგურია** (კოკა). წარმატებისთვის იბრძვის მისი ძმა, მეოთხე დივიზიონის მონაწილე **გიორგი ცაგურიაც**.

მეგობრობა გზად და ხიდად, ძვირფასო თანამემამულენო!

ბავშვთა სპორტი. ბალავარი

მოკრივის მუშტად შეკრული

ბავშვთა სპორტული სკოლის მუშაობას, მისი აღზრდილების სპორტული მიღწევებით აძლევენ შეფასებას, ცხადია, გარკვეული წლების გასვლის შემდეგ. და კიდევ იმით, რამდენ მოზარდს უკვალავს გზას დიდ სპორტში. არც ოსტატების აღზრდით, არც მასობრიობით, წუნი არ დაედება დ. კვაჭაძის სახელობის კრივის სპორტსკოლას (დირექტორი რევაზ მეგრელიშვილი), რომელიც უკვე არსებობის 23-ე წელს ითვლის. სკოლის ჯგუფები საქართველოს თითქმის ყველა კუთხეშია გახსნილი. მათ რიცხვს სულ მალე შეემატება ზემო აფხაზეთი და გალი. ცხინვალის ზონაში კი კარგა ხანია მუშაობს ჯგუფები და იქაური მოზარდები სკოლის სპორტულ-გამაჯანსაღებელ ბანაკშიც ისვენებენ ზაფხულობით. შარშან, ბათუმურ შეკრებაზე, გალელი მოზარდებიც ჰყავდათ.

"გეოგრაფიას ვაფართოებთ, კრივი პოპულარულია საქართველოში. ჩვენ ყველგან ვართ, სადაც საქართველოა, მოკრივის მუშტად ვართ შეკრული. მადლობა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, რომელიც მხარში გვიდგას. მადლობა მწვრთნელებს. დღეს ჩვენ ისინი მოვიწვიეთ ყოველწლიურ ტრადიციულ გაფართოებულ შეხვედრაზე, რათა ასევე ტრადიციულად დავსახოთ სამომავლო გეგმები", - თქვა შეკრებაზე გამოსვლისას **რევაზ მეგრელიშვილმა**. შეკრებაზე დაბადების დღე მიულოცეს და კოლეგებმა ფასიანი საჩუქრები გადასცეს ცნობილ მწვრთნელს **როლანდ კვაჭაძეს**.

თენგიზ ჩოგანიძე

ჰაღათბურთი



ზაზა ფაჩულია ნიუ ჯერსისთან

ქართველები NBA–ში

ის ძველი ატლანტა

"ჰოქსმა" ზედიზედ ორი საშინაო წაგებით კიდევ უფრო გაიუარესა სატურნირო მდგომარეობა. **ზაზა ფაჩულიას** რეზერვში დატოვება, ქართველი ცენტრის საკმაოდ დიდი მარგი ქმედების კოეფიციენტი, ზაზას აქტიურობა, **ჯოშ სმიტის** საბრძოლო ჟინი, დასაწანი მარცხი – ყველაფერი ეს "ჰოქსის" წინა მატჩების დროსაც არაერთგზის გავიარეთ, თუმცა ამ გუნდის მიმოხილვებისას ერთი რამ თითქმის ყოველთვის უცვლელი იყო. **ჯო ჯონსონი** ჯორჯიელთა საუკეთესო მექუღე ხდებოდა, ამჯერად კი აღმოსავლელის ლიდერმა მატჩი ოდენ 10 ქულით დაასრულა და რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, მის გუნდს მაინც შეეძლო მოგება.

"ნიუ ჯერსისაც" მაგრად უჭირს, თუმცა იმის გამო, რომ გუნდს **ჯეისონ კიდი** და **ვინს კარტერი** ჰყავს, ისტრუზერფორდელთა ფანებს ბევრად ნათელ ფერებში ესახებათ სამომავლო პერსპექტივა, ვიდრე "ატლანტის" გულშემატკივრებს.

რიჩარდ ჯეფერსონისა და **ნენად კრსტიჩის** გარეშე დარჩენილებმა, "ნეტსის" მოთამაშეებმა აღნიშნულ შეხვედრამდე ზედიზედ 4 თამაში დათმეს, ამჯერად კი "ბადეები" მარცხისგან ისევ და ისევ კარტერმა იხსნა. "ატლანტას" ცუდად ნამდვილად არ უთამაშია. მასპინძლები უდავოდ სოლიდურ უპირატესობას მოიპოვებდნენ, ჯონსონს რომ ოდნავ უკეთ ესროლა ბურთი. მასპინძელთა მსროლელმა 16-დან მხოლოდ 5 სროლა გამოიყენა და ხუთივე სამქულიანი არაზუსტად შეასრულა. ამასთან, ჯომ 5 შეცდომა დაუშვა და იმავე კარტერის მეურვეობისას "მფრინავ რეპტილიას", ანუ ვინსს ქულების დაგროვებაში ხელი მაინცადამაინც ვერ შეუშალა.

ვინსმა კი ძირითადის დასრულებამდე 7.6 წამით ადრე **ჯოშ ჩილდრესის** ხელებს ზემოდან ურთულესი გდებით თავისიანები 86:85 დააწინაურა, მერე კი, როდესაც მასპინძელთა ახალბედა **ჯერმი რიჩარდსონმა** სამქულიანი გააფუჭა, კარტერმა მოხსნაზე მასპინძლეთა მაღლებს აჯობა. კარტერზე დაჯარიმდნენ და მან ორიდან ერთი საჯარიმოს გამოყენებით შეხვედრის საბოლოო ანგარიში დააფიქსირა.

საინტერესო სტატისტიკა ჰქონდა მასპინძელთა ფორვარდ **მერვინ უილიამსს**, რომელმაც 13 "ცოცხალი" ტყორცნიდან მხოლოდ 3 გამოიყენა, მაგრამ ამდენივე საჯარიმოს შესრულებისას ერთხელაც არ შემცდარა.

ჯეფერსონის გარეშე "ნიუ ჯერსიმ" მეათე შეხვედრა ჩაატარა და მხოლოდ მესამე გამარჯვება მოიპოვა. რიჩარდის დაბრუნებას უახლოეს დღეებში ელიან, "ატლანტის" რიგებში კი არ უთამაშია **შელდენ უილიამსს**, რომელმაც მატჩი მაღალი სიცხის გამო გამოტოვა.

ზურაბ თალაკვაძე

ატლანტა–ნიუ ჯერსი 85:87

20:12, 20:24, 17:25, 26:28

ატლანტა: ჯოშ სმიტი (24 წთ. 20 ქ. 9 შ. 3 დ. 2 ჩ. 1 პ), მერვინ უილიამსი (38 წთ. 19 ქ. 9 შ. 2 ჩ. 1 პ. 1 დ), ჯო ჯონსონი (43 წთ. 10 ქ. 7 შ. 4 პ), ლიუ (15 წთ. 6 ქ. 4 პ), ლ. რაიტი (14 წთ. უქულოდ, 3 შ. 1 დ) - **ზაზა ფაჩულია (29 წუთი, 10 ქულა, 6 მოხსნა, 1 დაფარება, 1 შეცდომა, 4 ფოლი)**, ჩილდრესი (35 წთ. 9 ქ. 9 შ. 2 პ. 1 ჩ), კლექსტონი (26 წთ. 6 ქ. 5 პ. 2 ჩ. 1 შ), ჯერემი რიჩარდსონი (7 წთ. 3 ქ. 1 შ), მედვედენკო (4 წთ. 2 ქ. 1 შ), აივი.

ნიუ ჯერსი: ვ. კარტერი (39 წთ. 22 ქ. 9 შ. 1 პ), მური (30 წთ. 19 ქ. 6 შ), კიდი (35 წთ. 9 ქ. 9 პ. 7 შ), ა. რაიტი (29 წთ. 6 ქ. 3 შ. 3 პ. 2 ჩ), ჯ. კლინზი (24 წთ. უქულოდ, 4 შ) - ე. ჰაუსი (26 წთ. 16 ქ. 3 შ. 2 პ), ნახბარი (17 წთ. 8 ქ. 2 შ. 1 დ), მარკუს უილიამსი (19 წთ. 4 ქ. 5 პ. 2 შ), კ. რობინსონი (12 წთ. 2 ქ. 3 შ. 1 დ), ბუნი (4 წთ. 1 ქ. 2 შ).

I მეოთხედი

03:59	ფაჩულიამ ლ. რაიტი შეცვალა
02:16	მოხსნა: 1 (შეტ: 1, დაც: 0)
02:13	ორქულიანი ტყორცნა: არაზუსტი
00:40	მოხსნა: 2 (შეტ: 1, დაც: 1)
00:13	მოხსნა: 3 (შეტ: 2, დაც: 1)

II მეოთხედი

10:54	ორქულიანი ტყორცნა: 2 ქ (22:15)
07:08	ფაჩულიაზე შური დაჯარიმდა
07:08	საჯარიმოები: 2/2 (4 ქ. 28:19)
05:33	დაფარება: 1 (შ. უილიამსს დაუფარა)
05:30	მოხსნა: 4 (შეტ: 2, დაც: 2)
04:07	ორქულიანი ტყორცნა: არაზუსტი
00:03	ფაჩულია რიჩარდსონმა შეცვალა

III მეოთხედი

05:46	ფაჩულიამ ლ. რაიტი შეცვალა
05:31	ორქულიანი ტყორცნა: არაზუსტი
04:59	ორქულიანი ტყორცნა: 6 ქ (53:53)
03:17	ფოლი: 1 (კიდზე დაჯარიმდა)
02:23	ორქულიანი ტყორცნა: 8 ქ (55:57)
01:34	ფოლი: 2 (შეტევაში)
01:34	შეცდომა: 1 (ფოლი შეტევაში)

IV მეოთხედი

11:04	ფაჩულია ჯოშ სმიტმა შეცვალა
09:25	ფაჩულიამ ჯოშ სმიტი შეცვალა
08:12	ფოლი: 3
07:36	ორქულიანი ტყორცნა: არაზუსტი
07:35	მოხსნა: 5 (შეტ: 3, დაც: 2)
07:35	ფაჩულიაზე კ. რობინსონი დაჯარიმდა
07:35	საჯარიმოები: 2/2 (10 ქ. 65:69)
06:27	ფოლი: 4 (ა. რაიტზე დაჯარიმდა)
06:02	მოხსნა: 6 (შეტ: 4, დაც: 2)
04:30	ფაჩულია ჯოშ სმიტმა შეცვალა
04:20	ფაჩულიამ ჯოშ სმიტი შეცვალა
02:46	ფაჩულია კლექსტონმა შეცვალა

ატლანტა ჰოქსი: 48 მატჩი, 18 მოგება, 30 წაგება, მეოთხე ადგილი სამხრეთ-აღმოსავლეთის დივიზიონში, მე-12 ადგილი აღმოსავლეთის კონფერენციაში. **მომდევნო მატჩი:** ფინიქსი – ატლანტა (9 თებერვალი).

ჩემპიონი



ერთა თასი

ლევან მგელაძე ჩეხეთის მწვრთნელია...

საქართველოს ნაკრების ერთ-ერთი მეტოქის, ჩეხეთის ნაკრების მთავარ მწვრთნელად საქართველოს რაგბის კავშირის ამჟამინდელი აღმასრულებელი დირექტორი **ლევან მგელაძე** დაინიშნა.

მგელაძეს საქართველოში რამდენიმე კლუბში უმუშავია. მათ, შორისაა ბათუმის "დათვები", რომელმაც მგელაძის ხელმძღვანელობით საქართველოს ჩემპიონატი და თასი მოიგო. 2005 წელს ლევან მგელაძემ საქართველოს ოცწლამდელთა ნაკრებთან ერთად FIRA AER-ის ევროპის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. ქართველს უკვე უმუშავია ჩეხეთში - წინა სეზონი პრაღის "სპარტაში" გაატარა და ქვეყნის ჩემპიონატზე ბრინჯაოს მედლები მოიპოვა.

ლევან მგელაძემ გუშინ ასეთი კომენტარი გააკეთა: - *კონტრაქტი მხოლოდ ერთა თასის პირველი წრის ბოლომდე გავაფორმეთ. ამის შემდეგ, ნაჩვენები შედეგის მიხედვით, ან გავაგრძელებთ თანამშრომლობას ან არა. ნაკრებში მუშაობის პარალელურად პრაღის "სპარტასაც" გავწვრთნი. ამ გუნდთან კიდევ ერთწლიანი კონტრაქტი მაკავშირებს. ჩეხეთის ნაკრების მიზანი ჯგუფში ადგილის შენარჩუნებაა. ეს ძალიან რთული იქნება, თუმცა ჩვენ ჩვენსას ვეცდებით.*

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჩეხეთის რაგბის კავშირი ნაკრების მწვრთნელის თანამდებობაზე 11 კანდიდატურას განიხილავდა. მათ შორის შვიდი ფრანგი, თითო ირლანდიელი, შოტლანდიელი, ჩეხი და ქართველი იყო. ჩეხების არჩევანი ქართველზე შეჩერდა. ასე რომ, 7 აპრილს ჩეხთა გუნდს თბილისში, საქართველოს ნაკრების წინააღმდეგ სათამაშოდ ქართველი მწვრთნელი, ლევან მგელაძე ჩამოუძღვება.



ჭიდაობა

საქართველოს ჩემპიონატი. U 18

ერთი გოგონა და ორი ჭაბუკი

მეექვსე ტურის შემდეგ **მირანდა მიქაძემ** ლიდერობა შეინარჩუნა, თუმცა პირველი დანაკარგი განიცადა - **თამარ გახოკიძეს** ყაიმზე შეუთანხმდა. ობიექტურები რომ ვიყოთ, მიქაძე შეგნებულად წავიდა ზავზე - ის მდევრებს ერთი ქულით უსწრებს და ყაიმი დანაკარგად სულაც არ ეთვლება. თუკი მიქაძე დღეს **ქეთი ნაწალაშვილს** თეთრებით მოუგებს, დარჩენილ ორ პარტიაში ყაიმებიც ეყოფა...

წაწალაშვილმა პირველ დაფაზე თამაშის უფლება **ქრისტინე მჟავიას** დამარცხებით შეძლო. ქრისტინეს 4 ქულა ჰქონდა, ქეთის - ნახევარით ნაკლები და მათი შეხვედრა ერთ-ერთი ცენტრალური იყო. ქულის შემატებამ წაწალაშვილი საგზურის მომპოვებელთა რიგში ჩაწერა. 4.5 ქულა აქვს **თამარ გახოკიძესაც** და დღეს თეთრებით ხვდება **მადონა ბოკუჩავას**, რომელსაც 4 ქულა მოუგროვდა - მადონამ თეთრებით **თეონა მესხი** დაამარცხა.

ჭაბუკებში კვლავ დიდი გაურკვევლობაა, თუმცა ლიდერთა კვინტეტი კი გადაკეთდა ტანდემად - ცხრილის სათავეში **შოთა აზალაძე** და **გაიოზ ნიგალიძე** მოექცნენ. ორივეს რთული ბრძოლის გადახდა მოუხდათ - მეორე დაფაზე აზალაძე **გიორგი ნიკოლიშვილს** ხვდებოდა და დებიუტში უპირატესობაც მიიღო, თუმცა მიტელშპილში არასწორად ითამაშა და ნიკოლიშვილმა ინიციატივა იგდო. მოსაგები პოზიციაც მიიღო, მაგრამ ენდშპილში ისიც შეცდა, გამოცდილმა აზალაძემ არ აპატია და იქით დაამარცხა. შოთა ჩემპიონობის ერთ-ერთ გამოკვეთილ ფავორიტად იქცა.

იმავეს თქმა შეგვიძლია ნიგალიძეზე - მან საკმაოდ ძლიერ მოჭადრაკეებთან ჭიდილში მოაგროვა ქულები და გუშინდელი გამარჯვებაც აქტივში უნდა ჩაეწეროს. გაიოზი თეთრებით თამაშობდა **დავით ჯოჯუას** წინააღმდეგ, გადამწყვეტი უპირატესობა ვერ მოიპოვა, მაგრამ ისეთი ვითარება შეიქმნა, სადაც ორივე მხარეს აქტიურობა შეეძლო. თეთრებს მცირე მატერიალური უპირატესობა ჰქონდათ, თუმცა მოსაგებად არასაკმარისი. ალბათ ჯოჯუამ ყაიმი დაიჯერა და ყურადღება მოადუნა, რაც საკმარისი აღმოჩნდა წასაგებად.

კვლავ გვსურს გამოვარჩიოთ ჭაბუკებში მოთამაშე **სოფიკო გურამიშვილის** შესანიშნავი თამაში. გურამიშვილმა შავებით ერთ-ერთ ფავორიტს, **დავით ლომსაძეს** მოუგო.

ზვიად შათირიშვილი

მეშვიდე ტურში: **გაიოზ ნიგალიძე (5) - შოთა აზალაძე (5); თორნიკე სანიკიძე (4.5) - გიორგი მარგველაშვილი (4.5); ლუკა პაიჭაძე (4.5) - ნოდარ დავარაშვილი (4.5); სოფიკო გურამიშვილი (4.5) - ირაკლი ბერაძე (4)**

ტურნირში მირანდა მიქაძე (5.5) - ქეთი წაწალაშვილი (4.5); თამარ გახოკიძე (4.5) -მადონა ბოკუჩავა (4); მერი ჟორჟოლიანი (4) - ქრისტინე მჟავია (4); ანუკი საჯომია (4) - ანა თოფურიძე (3.5)

კლოდ სორელი რუსეთის ნაკრების?

საქართველოს ნაკრების მეტოქეები, რუსეთისა და ესპანეთის ნაკრები გუნდები ერთმანეთთან სათამაშოდ ემზადებიან. შეხვედრა 10 თებერვალს, მადრიდში გაიმართება. ორივე ნაკრები მალე ბორჯღალოსნებს ეთამაშება - 18 მარტს მადრიდში ესპანელებს ვესტუმრებით, 24 მარტს კი თბილისში გვეწვევა რუსეთის ნაკრები, რომელთა რიგებშიც ახლახანს საკმაოდ სერიოზული ცვლილებები მოხდა.

რუსეთის რაგბის კავშირმა თანამდებობიდან გაანთავისუფლა ნაკრების სამხრეთაფრიკელი თავკაცი **ბლიკის ხრუნევოლდი**, თუმცა, მისი შემცვლელი ჯერ არ მოუძებნია. ესპანეთთან სათამაშოდ რუსებს ქვეყნის ჩემპიონის, მონინოს ვეველას მწვრთნელი **ნიკოლაი ნერუში** მოამზადებს. მხოლოდ ამის შემდეგ დაუნიშნავენ "დათვებს" რომელიმე უცხოელ მწვრთნელს. არაოფიციალური ინფორმაციით, ეს შესაძლოა საქართველოს ნაკრების ყოფილი მწვრთნელი, ფრანგი **კლოდ სორელი** იყოს. სორელი ბოლოს მაროკოს ნაკრებს ეხმარებოდა მსოფლიო თასის რეპეშაჟში, პორტუგალიის წინააღმდეგ ორრაუნდიან მატჩში.

ბესიკ ჯანგავაძე

NBA. რეგულარული ჩემპიონატი

დეტროიტს არ გავიმეორებთ

დალასი-მემფისი 113:97

40:24, 25:21, 24:20, 24:32

დალასი: ნოვიცკი (38 ქ. 10 მ. 6 პ. 4 დ. 3 ჩ), ჯოშ ჰოვარდი (23 ქ. 9 მ. 3 ჩ), ჯორჯი (15 ქ. 5 მ. 4 ჩ), ტერი (12 ქ. 5 პ).

მემფისი: გასოლი (29 ქ. 9 მ. 4 დ), მ. მილერი (21 ქ. 7 მ. 4 პ), გეი (12 ქ. 7 მ), ე. ჯონსონი (10 ქ. 10 მ), დ. სტაუდმაიერი (9 ქ. 11 პ).

"დალას მავერიქსი" ფანტასტიკურ კალათბურთს თამაშობს. დაიწყეთ **დირკ ნოვიცკის** გუნდის თანაშტატელი "სან ანტონიო", **სტივ ნეშის** ეფექტური "ფინიქსი" და თითქმის ყველა ალმოსავლელი - ამ ეტაპზე ყველაზე გამართული კალათბურთის დემონსტრირებას **ეივერი ჯონსონის** სუპერგუნდი ახდენს. "მემფისის" დამარცხებით, "მომთაბარეებმა" შინ ზედიზედ მე-16 გამარჯვება მოიპოვეს და სიმართლე გითხრათ, ვერ წარმომიდგენია, რა უნდა მოხდეს, ეს გუნდი მინიმუმ დასავლეთის ფინალში რომ არ გავიდეს.

ორი თვის განმავლობაში "მავერიქსი" შინ არავისთან აგებს და მიუხედავად იმისა, რომ რამდენჯერმე გუნდი წაგებას აშკარად გადაურჩა, სისულელე იქნება იმაზე საუბარი, რომ "დალასს" უმართლებს, თუმცა ერთის მხრივ, თუ გამართლებაა, ხომ იცით, მხოლოდ უძლიერესებს უმართლებს.

უშეცდომო არც ამ გუნდის თამაშია, რაც უსისტემო, ნახევრად დაშლილ "მემფისთან" შეხვედრამაც გვაჩვენა. პირველ ნახევარში 27-ქულიანი უპირატესობის მოპოვების მერე, ჯონსონის ბიჭებმა მაყურებელზე თამაში დაიწყეს და **პაუ გასოლმა** "გრიზლისს" სხვაობა გაანახევრებინა, მერე კი დეფიციტი სულაც 10 ქულაზე ქვემოთ დავიდა.

"პირველ ნახევარში მოპოვებული დიდი უპირატესობა კიდევ უფრო უნდა გაგვეზარდა. ეივერი ყველა მატჩში, ყოველ წუთს ბოლომდე დახარჯვას გვთხოვს, მაგრამ ხანდახან იმ ხალხზეც ვზრუნავთ, ვინც ჩვენი მატჩების სანახავად ძალიან დიდ ფულს ხარჯავს. ვერ წარმომიდგენია, როგორ შეიძლება, კალათბურთი ითამაშო და ფანებს იგნორირება გაუკეთო? თუმცა, ეივერის ეს არ ადარდებს – მისთვის მთავარი შედეგია", - ამბობდა ნამატჩევს გამართულ პრესკონფერენციაზე **ჯერი სტექჰაუზი**.

"დალასი" ძალიან სოლიდურად გამოიყურება. ლიგაში გამორჩეული ლიდერის არყოფნაში, ბოლო წლების განმავლობაში ჩემპიონობისთვის ლამის 6-7 გუნდი იბრძვის. მათ შორისაა "დალასიც", რომელსაც სანუკვარი ჯილდოს მოპოვება ჯერ კიდევ შარშან შეეძლო, მაგრამ "მაიამისთან" სუპერფინალში 2:0 დაწინაურების მერე, ტეხასელებმა მესამე შეხვედრაში 14-ქულიანი ფორა ვერ შეინარჩუნეს და ფლორიდელებს ჯერ ანგარიში შეამცირებინეს, მერე კი სერია უთავმოყვარეოდ ჩაამთავრეს. **დუეინ უეიდი** სეზონის გმირი გახდა, ეივერი ჯონსონს კი საფიქრალი დაუგროვდა.

"შარშანდელ სეზონში, მხოლოდ "სან ანტონიოსთან" ჩატარებული სერიით დავრჩი კმაყოფილი. დანარჩენ შემთხვევებში კი ძალიან ბევრ შეცდომას ვუშვებდით. "მემფისს" 4:0 კი მოვუგეთ, მაგრამ მეტოქეს ჩვენს მიერ დაშვებული შეცდომები უკეთ რომ გამოეყენებინა, მინიმუმ 2 მატჩს დავთმობდით. იგივეს თქმა შემიძლია "ფინიქსთან" სერიაზეც. მოვიგეთ, მაგრამ ეს უფრო მეტოქის ცუდი გამოსვლის დამსახურება იყო, ვიდრე ჩვენი კარგი თამაშისა. საბოლოოდ, ყველაფერმა ამან თავი "ჰიტთან" სერიაში იჩინა. მოგებული სერია რომ წავაგეთ, ამაში მხოლოდ და მხოლოდ საკუთარ თავს ვადანაშაულებ. შარშანდელი "პისტონზი" ხომ გახსოვთ? გუნდმა კინაღამ "ბულზის" ფენომენალური რეკორდი (რეგულარულში 72 მოგება - რედ.) გააუმჯობესა, ფლეი ოფში კი ეს არაჩვეულებრივი გუნდი აღარაფერს წარმოადგენდა. ასე რომ, არც ჩვენი და არც "დეტროიტის" შეცდომები არ უნდა გავიმეოროთ, საკუთარი თავის რწმენა ბოლომდე უნდა შევინარჩუნოთ და შედეგი აუცილებლად მოვა", - ამბობს ჯონსონი, რომელიც შარშან სეზონის საუკეთესო მთავარ მწვრთნელად დაასახელეს.

ცალკე თემაა ნოვიცკი. დირკი წელს რეგულარულის უძვირფასეს მოთამაშედ უნდა დაასახელონ – იგი ლიგის უძლიერესი გუნდის უძლიერესი ფიგურაა და ამასაც რომ თავი დავანებოთ, წლევანდელმა სეზონმა ერთი რამ უკვე საბოლოოდ დაამტკიცა – ნოვიცკის წინააღმდეგ დაცვაში თამაში შეუძლებელია. მაღლებს დირკი სისწრაფის ხარჯზე ჩაგრავს, დაბლებთან ფონს გაბარიტების ხარჯზე გადის, ბრწყინვალედ ისვრის სამიანებს, 90-პროცენტიანი სიზუსტით ასრულებს საჯარიმოებს. მოკლედ, ნოვიცკი ფენომენალურია, რაც "გრიზლისთან" დაპირისპირებამაც დაადასტურა.

გერმანელმა თავისი 38 ქულიდან 18 პირველ 10 წუთში დააგროვა. ამ დროში მან თამაშიდან შვიდივე ტყორცნა ზუსტად შეასრულა, ხოლო პირველი მეოთხედის დამასრულებელ სირენასთან ერთად 8 მეტრიდან ჩაუშვა ბურთი სტუმართა კალათში. პირველ მეოთხედში მისი სტატისტიკა შემდეგი იყო – 18 ქულა, 4 მოხსნა, 2 პასი, 2 ჩაჭრა და 2 დაფარება. ამ მაჩვენებლით ბევრი ე.წ. "ვარსკვლავი" თავს ლამის ნამატჩევს იწონებს ხოლმე. დირკმა თამაშიდან პირველი სროლა, მეორე მეოთხედის შუაწელსღა გააფუჭა, თუმცა იმ დროისთვის "მავერიქსი" უშანსოდ დარჩენილ "მემფისს" უკვე 25 ქულას უგებდა. "დალასის" რიგებში არ უთამაშია დაშავებულ ცენტრს **ერიკ დემპიეს**, თუმცა ამას საბოლოო შედეგზე დიდი ზეგავლენა არ მოუხდენია.

ზურაბ თალაკვაძე

დირკ ნოვიცკი

ტორონტო-ორლანდო 113:103

24:27, 28:25, 25:24, 36:27

ტორონტო: ბოში (41 ქ. 8 მ. 3 პ), გარბახოსა (15 ქ. 5 მ. 2 ჩ. 2 დ), ე. პარკერი (12 ქ), ბარნიანი (11 ქ. 3 მ. 1 პ), ტი. ჯეი. ფორდი (10 ქ. 11 პ. 5 მ. 4 ჩ), კალდერონი (10 ქ. 11 პ. 4 მ).

ორლანდო: დ. ჰოვარდი (32 ქ. 9 მ. 4 პ. 2 დ), ბოგანსი (15 ქ), რედიკი (14 ქ), თურქოღლუ (12 ქ. 5 მ), არიოი (11 ქ), მილიჩიჩი (10 ქ. 6 მ).

დენვერი-ნ. ორლეანი 112:114 (OT)

31:22, 25:29, 25:27, 22:25, 12:15

დენვერი: ენტონი (27 ქ. 9 მ. 6 პ), აივერსონი (22 ქ. 9 პ. 4 მ. 2 ჩ), ნენე (18 ქ. 8 მ. 3 დ), ს. ბლეიკი (14 ქ. 6 პ. 5 მ), ნახერა (11 ქ. 9 მ. 3 ჩ).

ნიუ ორლეანი: მეისონი (23 ქ. 6 მ), დევიდ უესტი (17 ქ. 7 მ), დევინ ბრაუნი (17 ქ. 7 მ), პოლი (15 ქ. 7 პ), ბ. ჯექსონი (15 ქ), ჩენდლერი (10 ქ. 16 მ).

კლივლენდი-კლიპერსი 94:77

28:26, 26:17, 20:18, 20:16

კლივლენდი: ილგაუსკასი (16 ქ. 16 მ. 4 პ), პავლოვიჩი (16 ქ. 5 მ), ჰიუზი (15 ქ), გუდნი (13 ქ. 2 ჩ), ლ. ჯეიმსი (11 ქ. 7 მ).

კლიპერსი: ბრენდი (21 ქ. 7 მ. 2 დ), ლივინგსტონი (19 ქ. 7 მ. 2 ჩ), კასელი (14 ქ. 8 პ. 6 მ).

ფილადელფია-შარლოტი 92:83

29:16, 23:23, 22:21, 18:23

ფილადელფია: იგუოდალა (27 ქ. 7 მ. 4 ჩ), ა. მილერი (13 ქ. 8 პ), კარნი (12 ქ), ს. ჰანტერი (10 ქ. 8 მ. 2 დ), დალემბერი (4 ქ. 13 მ. 4 დ).

შარლოტი: ჯ. უოლასი (16 ქ. 8 მ. 4 ჩ), ოკაფორი (16 ქ. 8 მ. 2 დ), კეროლი (11 ქ. 8 მ), ა. მორისონი (10 ქ), ფელტონი (6 ქ. 10 მ. 3 ჩ).

ინდიანა-სიეტლი 102:103

23:25, 25:26, 31:21, 23:31

ინდიანა: ტინსლი (25 ქ. 8 პ. 6 მ), მერფი (22 ქ. 8 მ. 2 ჩ. 2 დ), დ. გრეინჯერი (18 ქ. 6 მ), მ. დანლივი-უმცროსი (11 ქ. 5 მ), დ. არმსტრონგი (11 ქ. 4 მ. 4 პ. 3 ჩ), დიოგუ (9 ქ. 10 მ), ფოსტერი (4 ქ. 12 მ).

სიეტლი: რ. ალენი (33 ქ. 9 პ. 5 მ), უილკოქსი (17 ქ), ჟელაბალი (12 ქ), უოტსონი (10 ქ), უილკინსი (10 ქ. 4 მ. 4 პ), კოლისონი (6 ქ. 10 მ).

ვაშინგტონი-ს. ანტონიო 83:110

16:33, 23:26, 31:25, 13:26

ვაშინგტონი: არენასი (29 ქ. 5 მ. 4 ჩ), კ. ბატლერი (15 ქ. 8 მ. 2 ჩ), ბლაჩე (6 ქ. 12 მ).

სან ანტონიო: დანკანი (20 ქ. 7 მ. 5 პ. 2 ჩ), ტ. პარკერი (20 ქ. 6 მ პ. 5 მ), ჯინობილი (18 ქ. 5 მ), ბ. ბერი (10 ქ. 5 მ. 5 პ); ფინლი (10 ქ).

ბოსტონი-მაიამი 79:91

27:17, 13:27, 16:28, 21:21

ბოსტონი: გომესი (15 ქ. 6 მ), შჩერბიაკი (14 ქ), ელ ჯეფერსონი (13 ქ. 16 მ. 3 პ), დელონტე უესტი (10 ქ. 8 პ).

მაიამი: უეიდი (30 ქ. 9 პ. 6 მ. 3 დ), კაპონო (19 ქ), პეიტონი (10 ქ. 5 პ), ჰასლემი (9 ქ. 10 მ).

მინესოტა-გ. სტეიტი 121:93

32:27, 31:18, 26:27, 32:21

მინესოტა: რ. დევისი (26 ქ. 4 მ. 4 პ. 2 ჩ), მ. ბლაუნტი (22 ქ. 6 მ), გარნეტი (17 ქ. 15 მ. 10 პ), ჰასელი (13 ქ. 7 მ), იარიჩი (11 ქ. 2 ჩ), მაკკენტსი (10 ქ. 2 ჩ).

გოლდენ სტეიტი: იასიკავიჩუსი (20 ქ. 8 პ. 4 მ), ს. ჯექსონი (17 ქ. 6 მ. 3 ჩ. 2 დ), ელ ჰარინგტონი (13 ქ. 9 მ. 6 პ), ბარნსი (11 ქ).

ატლანტა-ნიუ ჯერსი 85:87

20:12, 20:24, 17:25, 26:28

ატლანტა: ჯოშ სმიტი (20 ქ. 9 მ. 3 დ. 2 ჩ), მერვინ უილიამსი (19 ქ. 9 მ. 2 ჩ), ჯო ჯონსონი (10 ქ. 7 მ. 4 პ), **ზაზა ფაჩულია (10 ქ. 6 მ. 1 დ).**

ნიუ ჯერსი: ვ. კარტერი (22 ქ. 9 მ), მური (19 ქ), ე. ჰაუსი (16 ქ), კიდი (9 ქ. 9 პ. 7 მ).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი

შარაპოვამ ლებრონთან სანაძლეო წააგო

კომპანია NIKE-ის მიერ ორგანიზებულ სანაძლეოში, რომელიც ერთმანეთში რუსმა ჩოგბურთელმა **მარია შარაპოვამ** და ამერიკელმა კალათბურთელმა **ლებრონ ჯეიმსმა** დადეს, გამარჯვებული "კლივლენდის" ფორვარდი დარჩა. სპორტსმენები კამათობდნენ - რომელი მათგანი გაირბენდა უფრო მეტ მანძილს იანვრის შეჯიბრებების დროს.

როგორც NIKE-ის ოფიციალური ვებ-გვერდი იუწყება, შარაპოვამ ჯამში 46.5 მილი (75 კმ) დაფარა, ლებრონ ჯეიმსმა - 70 მილი (113 კმ).

ნიძლავი შარაპოვამ წააგო და ახლა ის "კლივლენდის" ერთ-ერთი მატჩის დროს, ლებრონისთვის წყლისა და პირსახოცის მომწოდებლის როლში მოგვევლინება.

ჰოკეი

დრაფტის თარიღი დასახელდა

ჰოკეის ეროვნული ლიგის ხელმძღვანელობამ 2007 წლის დრაფტის თარიღი დაასახელა. როგორც ლიგის ოფიციალური ვებ-გვერდი იუწყება, NHL-ის კლუბები ახალგაზრდა მოთამაშეებს 22-23 ივნისს, კოლამბუსში აირჩევენ.

დრაფტის პირველ ნომრად არჩევას, სამი ყველა პერსპექტიული ჰოკეისტიდან ერთ-ერთს უწინასწარმეტყველებენ. ესენი არიან: მეკარე **ტრევორ კანი**, მისი ამპლუას **მარკ ოუნია**, რომელიც შვედეთის იუნიორთა ლიგაში თამაშობს და რუსული "ავანგარდის" თავდამსხმელი **ალექსეი ჩერეპანოვი**.

ჩიკაგოში ტრავმიანობაა

რეგულარული ჩემპიონატის ბოლო ტურში, "ჩიკაგო ბლექ ჰოქსს" ტრავმის გამო, ერთბაშად ორი წამყვანი ჰოკეისტი გამოაკლდა. ზურგის ტრავმა მიიღო შვედმა **მიკაელ ჰოლმკვისტმა**, ხოლო **ჯეფ ჰამილტონმა** კი, მხარი დაიზიანა.

ამ ჰოკეისტების სანაცვლოდ, კლუბის ხელმძღვანელობამ ფარმ-კლუბიდან სასწრაფოდ უხმო **კრეიგ მაკდონალდსა** და **პიერ პარენტოს**.

მესიე რეინჯერსის გენერალურ მენეჯერობას უმიზნებს

როგორც ადრე ვიტყობინებოდით, ლეგენდარულმა ჰოკეისტმა **მარკ მესიემ** NHL-ის რომელიმე კლუბში გენერალურ მენეჯერად მუშაობა ისურვა. სულ მალე, მესიეს ოცნება შეიძლება რეალობად იქცეს. საქმე ისაა, რომ, როდესაც "ნიუ იორკ რეინჯერსის" გენერალური მენეჯერი **გლენ სატერი** ამ პოსტის დატოვებას მოინდომებს, მის ადგილს სწორედ მესიე დაიკავებს.

"ვაპირებ, ეს საკითხი სატერთან ერთად განვიხილო. თუმცა არ ვიცი, კიდევ რამდენი ხანი იმუშავებს ამ პოსტზე, შეიძლება ეს 5 ან 10 წელი გაგრძელდეს", - განაცხადა მესიემ.

თავად სატერმა არ გამორიცხა ამგვარი ვარიანტი: *"მარკს შეუძლია ამ თანამდებობაზე იმუშავოს. მაგრამ, წინასწარ ბევრი რამ არის შესათანხმებელი. ყოველ შემთხვევაში, მოხარული ვარ, რომ მან ჰოკეიში დაბრუნება გადაწყვიტა".*

ბიატლონი

მსოფლიოს ჩემპიონატი

შვედებმა შერეული ესტაფეტა მოიგეს

შვედმა კვარტეტის ტრიუმფით დასრულდა იტალიის სამთო კურორტ ანტჰოლც-ანტერსელვაში მიმდინარე ბიატლონისტთა მსოფლიო ჩემპიონატის შერეული ესტაფეტა. ასპარეზობა თავიდანვე კარგად დაიწყეს და ფინიშის ხაზი პირველებმა შვედებმა გადაკვეთეს, რომლებმაც ბევრი აცდენის მიუხედავად, მაინც ყველა მეტოქეს აჯობეს.

ჰელენ იონსონმა, ანა-კარინ ოლოფსონმა, ბიორნ ფერიმ და **კარლ-იოჰან ბერგმანმა** ოქროს მედლები ბიატლონის ისტორიაში პირველად ჩატარებულ შერეულ ესტაფეტაში მოიპოვეს. მათ მხოლოდ 27.6 წამით ჩამორჩა ფრანგული კვარტეტი (**ფლორან ბავერელ-რობერი, სანდრინ ბაიი, ვენსან დეფრანი, რაფაელ პუარე**), რომლებმაც მხოლოდ ორი სროლა გააფუჭეს, თუმცა მაინც ვერ შეძლეს იმ ლიდერობის შენარჩუნება, რომელიც პირველივე მუხლზე, მათ ბავერელ-რობერმა მოუპოვა. მხოლოდ ბრინჯაოს დასჯერდა ნორვეგიული კვარტეტი, რომელშიც არ უასპარეზია ლეგენდარულ **ოლე ეინარ ბიორნდალენს**. ნორვეგიელებმა მესამე მუხლზე (**ემილ-ჰეგლე სვენდსენი**) შეძლეს ლიდერებთან მიახლოება, მაგრამ ბოლო ეტაპზე, მათმა გამოცდილმა მეღუზე **ფროდე ანდრესენმა** უხეიროდ ისროლა და საბოლოოდ, მესამემ გადაკვეთა ფინიშის ხაზი.

ნარბოლევს, შვედთა გერმანელმა მთავარმა მწვრთნელმა **კარლ იოჰან ბერგმანმა** განაცხადა, რომ გუნდი განსაკუთრებით ამ რბოლისთვის მოამზადა, რადგან ვიცოდით, ოქროს მოპოვების საუკეთესო შანსი შერეულ ესტაფეტაში გვექნებოდაო.

რაც შეეხებათ გერმანელებს, მათ სრული ფიასკო განიცადეს. მიუხედავად იმისა, რომ მესამე მუხლზე **მიხაელ გრაისმა** შესანიშნავად იასპარეზა და ლიდერებს თითქმის ერთი წუთი ამოუქაჩა, საბოლოოდ, მისი გუნდი მაინც ვერ მოხვდა პრიზიორებში.

სამაგიეროდ, შინ კიდევ ერთ მედალს, ამჯერად ვერცხლისას გაიყოლებს ლეგენდარული ფრანგი **რაფაელ პუარე**, ვინც მანამ ინდივიდუალურ რბოლაში ოქრო მოიპოვა და მაშინვე განაცხადა, ამ სეზონის შემდეგ სპორტულ კარიერას დავასრულებო.

ანტჰოლც-ანტერსელვა (იტალია)
შერეული ესტაფეტა (2X6 კმ + 2X7.5 კმ)

1. შვედეთი (ჰელენ იონსონი, ანა-კარინ ოლოფსონი, ბიორნ ფერი, კარლ-იოჰან ბერგმანი) 1:20:04.07 (0 საჯარიმო წრე, 13 დამატებითი ვაზნა); 2. საფრანგეთი (ფლორან ბავერელ-რობერი, სანდრინ ბაიი, ვენსან დეფრანი, რაფაელ პუარე) +27.6 (0, 2); 3. ნორვეგია (ტორა ბერგერი, იორე მერკვე, ემილ-ჰეგლე სვენდსენი, ფროდე ანდრესენი) 36.4 (0, 11); 4. სლოვენია 1:11.1 (2, 11); 5. გერმანია 1:24.2 (3, 12); 6. იტალია 1:25.3 (0, 11)...

შვედები (მარცხნიდან): ბერგმანი, ოლოფსონი, ფერი, მწვრთნელი სტეფან ეკლუნდი და იონსონი ჩემპიონობას ზეიმობენ

მსოფლიოს ჩემპიონატი

ალბრეხტის სენსაცია

დანიელ ალბრეხტი კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზეა

აქამდე თუ გსმენოდათ რაიმე შვეიცარიელი **დანიელ ალბრეხტის** შესახებ? ალბათ არა, მაგრამ ამიერიდან იცნობდეთ - ის მსოფლიოს ჩემპიონია სუპერკომბინაციაში. ეგ კიდევ არაფერი, აქამდე მსოფლიო თასზე რომ შვეიცარიელებს კვარცხლბეკზე იშვიათად ვხედავთ ხოლმე, ამჯერად დაჯილდოებისას მათი ორი დროშა აფრიალდა, მოწინავე ოთხეულში კი სამი შვეიცარიელი იყო.

ერთადერთი, ვინც მათ შორის "ჩაეკვეხა", ავსტრიელი **ბენი რაიხია**, ვინც რბოლა "სუპერთავდაჯერებულმა" დაიწყო, თუმცა ორი ცდის (დაშვება და სლალომი) ჯამში ალბრეხტთან 0.08 წამი წააგო და წინა ჩემპიონატზე მოპოვებული ოქრო ვერცხლზე გადაცვალა.

23 წლის ალბრეხტმა დაშვებაზე მეშვიდე შედეგი აჩვენა, თუმცა მას არც ამის შემდეგ მიჰჩნევდა ვინმე ფავორიტად. საუკეთესო შედეგი კი ამერიკელ **ბოდე მილერს** ჰქონდა, ვინც ამ სეზონში ვერაფრით ახერხებს სლალომის რბოლების დასრულებას. მას მცირედით ჩამორჩა მსოფლიოს თასის აბსოლუტური კლასიფიკაციის ნორვეგიელი ლიდერი **აკსელ ლუნდ სვინდალი**.

მილერმა, ვისაც შვედმა ჟურნალისტებმა თავი მოაბეზრეს ტაბლოიდებში მისი დროსტარების შესახებ ხშირი ლაპარაკით, დაშვების შემდეგ კომენტარისგან თავის შეკავება ამჯობინა. სამაგიეროდ, ოპტიმიზმს აფრქვევდა სვინდალი, ვინც არ მალავდა, რომ სლალომზე ლიდერობის ხელში ჩაგდების რეალური შანსი ეძლეოდა.

სხვათა შორის, ოპტიმიზმი არც რაიხს აკლდა, ვინც დაშვებაში მილერთან 1.60 წამი დათმო და პირველი ცდა მეათე შედეგით დაასრულა. რამდენიმე შეცდომა დავუშვი, თუმცა შედეგით კმაყოფილი ვარ და ვიმედოვნებ, სლალომის შემდეგ გაცილებით უკეთესი პოზიცია მექნებაო. მის ოპტიმიზმს მილერის არასტაბილურობა და ის ფაქტიც განსაზღვრავდა, რომ მის წინ მყოფი რამდენიმე მოთხილამურე (მათ შორის ავსტრიელი **მიხაელ ვალხჰოფერიც**) ჩქაროსანია და სლალომში კარგი შედეგებით ვერ დაიკვეხნის.

სლალომი ბევრი მოთხილამურისთვის გადაულახავი პრობლემა შეიქნა. მილერმაც კი, ვინც ერთ დროს ამ დისციპლინის სპეციალისტად ითვლებოდა, შუა გზაზე სერიოზული შეცდომა დაუშვა და მიუხედავად იმისა, რომ რბოლა არ შეუწყვეტია, ტემპი შეუნელდა და თუ ალბრეხტს დაშვების შემდეგ წამზე მეტს უგებდა, ორი ცდის ჯამში, მას თითქმის წამით ჩამორჩა და მეექვსე ადგილს დასჯერდა.

"წარმოუდგენელია, ალბათ დრო დამჭირდება იმისთვის, რომ ეს სასწაული დავიჯერო. აბა, სხვა რა უნდა ვთქვა, როცა თვით მილერსა და სვინდალს ვაჯობე. ისე კი, დაშვებაში ძალიან კარგი შედეგი მქონდა, რამაც მეტწილად განაპირობა ჩემი გამარჯვება. ბერთოსთან ერთად ბევრი ვივარჯიშე და ახლა ორივენი კვარცხლბეკზე ვდგავართ. ეს შესანიშნავია", - განაცხადა ჩემპიონმა, ვისაც სუპერგიგანტის იტალიელ ჩემპიონ **პატრიკ შტაუდახერისა** არ იყოს, აქამდე მსოფლიო თასის რბოლა არასოდეს დაუსრულებია მოწინავე სამეულში. მისი საუკეთესო შედეგი ამ სეზონში, აშშ-ის ბივერ კრიკში, სლალომზე დაკავებული მეოთხე ადგილი იყო. იგივე შედეგი მას ორი წლის წინათ, შვეიცარიის ვენგენში, კომბინაციაშიც ჰქონდა დაფიქსირებული.

სხვათა შორის, ალბრეხტი 2003 წელს იუნიორთა შორის ჩემპიონი გახდა კომბინაციაში, შარშან კი, ტურინის ოლიმპიადაზე, იმავე დისციპლინაში მეოთხე ადგილი დაიკავა.

შეგახსენებთ, რომ სუპერკომბინაცია მსოფლიო ჩემპიონატების პროგრამაში ახალი ხილია და მან კომბინაცია შეცვალა. მათ შორის სხვაობა ისაა, რომ კომბინაცია სლალომის ორი და ერთიც დაშვების ცდისგან შედგება, როცა სუპერკომბინაციაში მოთხილამურეებს სლალომზეც და აშვებაზეც თითო ცდა აქვთ.

მერაბ ლორთქიფანიძე

არე (შვედეთი)
კაცები. სუპერკომბინაცია

1. დანიელ ალბრეხტი (შვეიცარია) 2:28.99; 2. ბენიამინ რაიხი (ავსტრია) 2:29.07; 3. მარკ ბერთო (შვეიცარია) 2:29.23; 4. დიდიე დეფაგო (შვეიცარია) 2:29.50; 5. აკსელ ლუნდ სვინდალი (ნორვეგია) 2:29.59; 6. ბოდე მილერი (აშშ) 2:29.97; 7. რომედ ბაუმანი (ავსტრია) 2:29.98; 8. სილვან ცურბრიგენი (შვეიცარია) 2:30.01; 9. სტივენ ნაიმანი (აშშ) 2:30.18; 10. ონდრეი ბანკი (ჩეხეთი) 2:30.21...

ფორმულა 1

ჟულთარდი 500 ევროთი დააჯარიმეს

მონაკოს სასამართლომ "რედ ბულის" პილოტი **დევიდ ჟულთარდი** დამნაშავედ სცნო იმ ავტოავარიაში, რომლის დროსაც, ბრიტანელმა ავტომრბოლმა, თავისი მანქანით მცირე ტრავმა მიაყენა 23 წლის სტიუარდესას.

ავტოავარია სერიოზული ხასიათის არ ყოფილა და ჟულთარდს, ჯარიმის სახით მხოლოდ 500 ევროს გადახდა მოუწევს. ამ მომენტში, დევიდი მეგობრებთან ერთად, ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე ისვენებს და მალე დაიწყებს ახალი სეზონისთვის მზადებას.

კალათბურთი

ინდიანა ბანდიტების ბრბოა

როგორც სააგენტო "როიტერი" იტყობინება, "ინდიანას" სამმა კალათბურთელმა - **ჯამალ ტინსლიმ, მარკის დანიელსმა** და **კიტ მაკლეოდმა** ინდიანაპოლისში, კაფე "8 წამის" მენეჯერს ჩხუბი აუტეხეს. ეს ინციდენტი "გოლდენ სტეიტთან" წაგებული მატჩის შემდეგ მოხდა.

პოლიციის განცხადებით, ცხელ კვალზე არავინ დაუპატიმრებიათ და არავისთვის ბრალი არ წაუყენებიათ, თუმცა, ბარში მომხდარი ფაქტის გამოძიება უკვე დაიწყო. წინასწარი ინფორმაციით, ნაცემ მენეჯერს ყბა აქვს გატეხილი და ყური გახეული.

კაფეს ერთ-ერთი თანამშრომელი ამტკიცებს, რომ ტინსლი დაზარალებულს მოკვლით ემუქრებოდა, მოწმეები კი, აცხადებენ, რომ მაკლეოდი იქ მყოფი სხვა პირებისკენაც იწევდა.

"ინდიანას" ხელმძღვანელობა ინციდენტის შესახებ საქმის კურსში ჩააყენეს, მაგრამ კლუბის მესვეურებს, ამ საკითხთან დაკავშირებით ოფიციალური კომენტარი არ გაუკეთებიათ.

TV სპორტი

9 თებერვალი. პარასკევი

SPORT 1 (უკრაინა)

08:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/2 ფინალი. ზაგრები. ხორვატია.
09:33 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
09:58 სპორტინფორმი.
10:13 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
11:05 სპორტინფორმი.
11:17 ფეხბურთი. ინგლისის თასი. 1962 წელი. ფინალი. საუთჰემპტონი-მანჩესტერ იუნ.
13:10 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ფინალი. ზაგრები. ხორვატია.
14:43 ფეხბურთი.
15:05 ავტოსპორტი. A1 გრან-პრი. მიმოხილვა.
16:00 ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი. სანტოსი-ბლუმინგი.
17:45 ბურთის ჰოკეი. მსოფლიო ჩემპიონატი. ფინალი. რუსეთი.
19:35 ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
20:01 ფეხბურთი. პორტუგალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
20:30 სპორტინფორმი.
20:41 ჰოკეი. NHL-ის რეგულარული ჩემპიონატი. ოტავა-მონრეალი.
22:23 ჰოკეი. NHL-ის რეგულარული ჩემპიონატი. დღის მიმოხილვა.
22:45 სპორტინფორმი.
22:55 სპორტ-დოსიე
23:05 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის წინ.
23:30 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ჰანოვერი-ვოლფსბურგი (LIVE).
01:30 სპორტინფორმი.
01:45 კრივი. რინგ-საიდი.
02:44 ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი. სანტოსი-ბლუმინგი.
04:29 სპორტ-დოსიე
04:39 ავტოსპორტი. A1 გრან-პრი. მიმოხილვა.
05:31 სპორტ-დოსიე
05:37 ჰოკეი. NHL-ის რეგულარული ჩემპიონატი. დღის მიმოხილვა.
06:00 ჰოკეი. NHL-ის რეგულარული ჩემპიონატი. ედმონტონი-ჩიკაგო (LIVE).

EUROSPORT

11:30 აფროსნობა.
11:45 ციგაობა. მსოფლიო ჩემპიონატი. შგლსი. ავსტრია.
12:45 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. მამაკაცები. სწრაფდაშვება. ვარჯიში. არე. შვედეთი (LIVE).
14:00 ბიატლონი. მსოფლიო ჩემპიონატი. ქალები. ინდივიდუალური. ანტოლეცი. იტალია.
15:15 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. ქალები. კომბინაცია. სწრაფდაშვება. არე. შვედეთი (LIVE).
17:00 ჩოგბურთი. WTA-ს ტური. 1/4 ფინალი. პარიზი. საფრანგეთი (LIVE).
18:45 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. ქალები. სლალომი. სწრაფდაშვება. არე. შვედეთი (LIVE).
20:00 ბოულსი. უელსის ღია პირველობა. ლანელი.
22:00 მძლეოსნობა. IAAF-ის გრან-პრი. კლერმონი. საფრანგეთი (LIVE).
00:00 მსოფლიოს უძლიერესი მამაკაცი. გერმანიის გრან-პრი.
00:30 პოკერი. ევროპის ტური. ბარსელონა. ესპანეთი.
01:30 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. შვედეთი.
02:00 საფეხბურთო პროგრამა. TOP 24.
02:30 ექსტრემალური სპორტი.
04:00 საფეხბურთო პროგრამა. TOP 24.

EUROSPORT-2

10:30 ახალი ამბები.
13:00 ფრისტაილი. მსოფლიო თასი. არე. შვედეთი.
13:45 ლაკროსი.
15:00 ახალი ამბები.
17:00 ფეხბურთი. ამხანაგური მატჩები. საფრანგეთი-არგენტინა.
17:45 ფეხბურთი. ამხანაგური მატჩები. ბელგია-ჩეხეთი.
18:30 დართსი. ჰოლანდიის ღია პირველობა. ველდჰოვენი.
20:00 სნოუბორდი. მსოფლიო თასი. მოსკოვი. რუსეთი (LIVE).
22:00 ფრისტაილი. მსოფლიო თასი. დირ ვოლეი. აშშ.
22:30 ახალი ამბები.
23:00 ფეხბურთი. ამხანაგური მატჩები. საფრანგეთი-არგენტინა.
23:45 ფეხბურთი. ამხანაგური მატჩები. ბელგია-ჩეხეთი.
00:30 ფეხბურთი. ამხანაგური მატჩები. ავსტრია-დანია.
02:00 ახალი ამბები.
02:15 კალათბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. მიმოხილვა.
02:45 ფრისტაილი. მსოფლიო თასი. დირ ვოლეი. აშშ.
03:15 ახალი ამბები.

NHL. რეგულარული ჩემპიონატი

ლიგას ახალი ლიდერი ჰყავს

ბაუალო-ოტავა 3:2
0:0, 2:1, 1:1

გოლები: 1:0 ვანეკი-27, 1:1 მაკამონდი-6 (კორვო-17, ივსი-15), 2:1 აფინოგენოვი-22 (დ. რუა-27, პაეტში-14), 2:2 შეფერი-9 (მ. ფიშერი-17, მეზაროში-21), 3:2 ვანეკი-28 (კოტალიკი-22, ნუმინენი-18).

ამ რთული გამარჯვებით, "ბაფალო" მთლიანად რეგულარული ჩემპიონატის ერთპიროვნული ლიდერი გახდა. ამ გუნდს 78 ქულა აქვს და ერთით უსწრებს დასავლეთი კონფერენციის ლიდერ - "ნეშვილს".

გამარჯვება მასპინძლებს, ჩეხი **ტომაშ ვანეკის** მიერ საფინალო სირენამდე ოთხი წუთით ადრე გატანილმა შაიბამ მოუტანა. "სეიბრზმა" ბოლო ხუთ მატჩში მეოთხედ მოიგო, არადა, ამ სერიამდე მას 12 შეხვედრაში 8 ჰქონდა წაგებული.

ანაჰაიმი-სან ხოსე 2:3
0:0, 1:1, 1:2

გოლები: 0:1 ჩიჩუ-19 (ჯ. ტორნტონი-55, ქლოუ-13), 1:1 სელიანე-32 (ო'ბრაიენი-12, დიპენტა-5), 2:1 შ. ტორნტონი-2 (პენერი-11, მარჩანტი-14), 2:2 ჩიჩუ-20 (ქლოუ-14, ჯ. ტორნტონი-56), 2:3 მ. მიხალეკი-15 (ვლასიჩი-16, ქლოუ-15).

ეს გუნდები, ბოლო სამი დღის განმავლობაში მეორედ შეხვდნენ ერთმანეთს. სამშაბათს, "ანაჰაიმმა" 7 გოლი გაუტანა "ზვიგენებს" და ის მატჩი 7:4 მოიგო. ამჯერად კი, "სან ხოსემ" რევანშის აღება შეძლო და "იხვებთან" ჩამორჩენა 3 ქულამდე შეამცირა. ორივე კლუბი დასავლეთი კონფერენციის ლიდერობისთვის იბრძვის.

"სან ხოსე" ლიგის ლიდერი გახლავთ, რიცხობრივ უპირატესობისას გატანილი შაიბების რაოდენობით. ამჯერადაც, "შარქსმა" გამარჯვების შაიბა მაშინ შეაგდო, როცა ყინულზე ერთით მეტი ჰოკეისტი ჰყავდა.

კარგ ფორმაში შევიდა შარშანდელი რეგულარულის საუკეთესო სნაიპერი **ჯონათან ჩიჩუ** - "სან ხოსეს" ფორვარდმა ზედიზედ მეორე მატჩში შეძლო დუბლის შესრულება.

კარიერაში 524-ე შაიბა გაიტანა ფინელმა **ტეემუ სელიანემ**, რითაც ის ყველა დროის სიაში 27-ე ადგილზე მყოფ **ბრაიან ტროტიეს** გაუთანაბრდა.

დეტროიტი-ფინიქსი 4:2
0:1, 2:1, 2:0

გოლები: 0:1 ნოლანი-13 (ნადი-32, რაინჰრეხტი-12), 1:1 ლანგი-14 (ლებდა-10, ჩელიოსი-10), 2:1 ზეტერბერგი-23 (მარკოვი-11, ჰოლმსტრიომი-17), 2:2 დოენი-19 (პერო-14, ზიგომანისი-5), 3:2 ზეტერბერგი-24 (ლიდსტრიომი-38, ჰოლმსტრიომი-18), 4:2 დაციუკი-16 (ზეტერბერგი-28).

ლიდერებს კვალში უდგას "დეტროიტი", რომელიც დასავლეთის პირველადგილოსან "ნეშვილს" ერთი, ხოლო "ბაფალოს" - ორი ქულით ჩამორჩება. "რედ უინგზმა" ზედიზედ მეხუთე გამარჯვებას მიაღწია, შინ კი, მიყოლებით 11 შეხვედრა მოიგო.

"დეტროიტმა" ამ მატჩში ბრწყინვალე ჰოკეი ითამაშა და "ფინიქსის" ვეტერან მეკარე **კერტის ჯოზეფს**, 44 დარტყმის მოგერიება მოუწია. მატჩის შემდეგ, სტუმართა მთავარმა მწვრთნელმა **უეინ გრეტცკიმ** განაცხადა, რომ მეტოქემ დაიმსახურა ეს მოგება. მანვე მასპინძელთა რიგებში შვედი **ჰენრიკ ზეტერბერგი** გამოყო - ეს ფორვარდი ლიგის საუკეთესო ჰოკეისტთა შორის უნდა მოვიხსენიოთო.

ვანკუვერი-ჩიკაგო 0:3
0:0, 0:1, 0:2

გოლები: 0:1 ოკუანი-3, 0:2 ვრბატა-8 (ჰავლატი, კეიტი), 0:3 ჰავლატი-20 (ვრბატა).

"ჩიკაგოს" ტრავმირებული ჰყავდა ძირითადი მეკარე - რუსი **ნიკოლაი ხაბიბულინი** და სტუმართა კარის დაცვა, ამ სეზონში პირველად **პატრიკ ლალიმს** მოუწია. დებიუტი არნახულად წარმატებული გამოდგა - პირველივე მატჩში ამ გოლკიპერმა შათაუტი შეასრულა. სულ ლალიმმა მეტოქე ჰოკეისტების 34 დარტყმა მოიგერია. ეს მეკარე, გასული წლის აპრილიდან მოყოლებული, ტრავმის გამო ვერ ახერხებდა ყინულზე გასვლას.

აილენდერსი-ფილადელფია 2:0
1:0, 1:0, 0:0

გოლები: 1:0 ვიქ. კოზლოვი-19 (პოტი-19, ტამბელინი-4), 2:0 შატანი-18 (ჰილბერტი-12, სილინჯერი-24).

"აილენდერსის" მეკარე **რიკ დიპიეტრომ** 26 დარტყმა მოიგერია და ამ სეზონში მეხუთე, კარიერაში კი, მე-11 შათაუტი მიითვალა.

ნიუიორკული კლუბი ფლეი ოფში მოსახვედრად იბრძვის. "ფილადელფიას" ძლევის შემდეგ, "კუნძულელები" მეათე ადგილზე იმყოფებიან და ფლეი ოფის ზონას მხოლოდ 2 ქულა აშორებთ.

რაც შეეხება "ფილადელფიას", რომელიც თავისი არსებობის ისტორიაში ყველაზე უარეს სეზონს ატარებს, მას ბოლო ტურებში ერთგვარი გამოცოცხლება ემჩნეოდა. "მფრინავებმა" წელს პირველად შეძლეს ზედიზედ ოთხ მატჩში ქულების დაგროვება, მაგრამ ამ წარმატებულ სერიას, გუშინ მორიგი მარცხი მოაყოლეს.

ცხელი ხაზი

ფეხბურთი

ამხანაგური მატჩები

UNDER 21

პორტუგალია-ჩეხეთი	1:1
სლოვენია-უკრაინა	4:1

ქალათბურთი

ესპანეთის თასი

ხიმონა-ხუვენტუდი	82:84 ოტ
უნიკაჯა-ბარსელონა	62:77

იტალიის თასი

მილანი-მონტეპეკანარო	74:70
ვირტუსი-ვარეზე	69:62

საფრანგეთის თასი

სტრასბური-ლე მანი	76:91
ნანსი-ორლეანეზი	84:78

პოკერი

ევროტური

რუსეთი-ფინეთი	3:3
შვედეთი-ჩეხეთი	6:1

ჩოგბურთი

WTA. პარიზი

ჩაკვეტაძე-მედინა გარიგესი	4:6, 6:4, 6:4
პეტროვა-მიულერი	6:1, 6:2
გოლოვინი-ბიჩკოვა	6:4, 6:4
მორესმო-დეში	6:3, 6:2
ვაიდიშოვა-საფაროვა	4:6, 2:6

WTA. პაბაია

ნაკამურა-ობზილერი	6:3, 1:6, 1:6
კინგი-პრატი	2:6, 4:6
ბარტოლი-სუხა	6:4, 3:6, 3:6

კლაუს, მოუგეთ? დაუჯერებელია!

კლაუს ტოპმიოლერი

- მთავარია, ხალხს დავანახოთ, რომ ვიბრძვით! უნდა იბრძოლოთ თქვენი სამშობლოსთვის, თქვენი ხალხისთვის, ამ პატარა ქვეყნისთვის. სტადიონი სავსეა. 60 000 გულშემატკივარი იმისთვის მოვიდა, რომ დარწმუნდეს - ის 2:5 დიდი შეცდომა იყო. ეს არ არის ამხანაგური თამაში, ეს ომია, რომლის მოგებაც შეგვიძლია. - ეს იყო უკანასკნელი სიტყვები, რომელიც ბიჭებს მოედანზე გასვლამდე ვუთხარი. მერე კი, როცა გამოვედით და საქართველოს ჰიმნი ჩაირთო, ტრიბუნები შევათვალიერე და ჟრუანტელმა დამიარა...

მზადება

თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ამ შეხვედრისთვის ძალიან კარგად მოვემზადეთ. წინა დღეს დაფაზე ჩამოვწერე იმ ფეხბურთელების გვარები, რომლებიც გვაკლდნენ. იმაზე, რომ დიდი არჩევანი გვაქვს, ისიც მეტყველებს, რომ **ალექს ბენაშვილს** 44 ნომრიანი მაისურა აცვია. განაცხადში კი მხოლოდ 18 ფეხბურთელი უნდა მოხვდეს. შოტლანდიაში მოედანზე მხოლოდ 11 მოთამაშე გავა და ვისაც იმ თერთმეტეულში მოხვედრა უნდა, თურქეთთან თავი არ უნდა დაზოგოს-მეთქი, ვეუბნებოდი ბიჭებს. იმ ფეხბურთელებს, რომლებიც ადრე სასტარტო შემადგენლობის წევრებად არ ითვლებოდნენ, მაგალითად **სირაძეს ან ბურდულს**, სწორედ თურქეთთან უნდა წარმოეჩინათ თავიანთი შესაძლებლობები. ურუგვაისთან ორივემ კარგად ითამაშა - ამიტომაც ვუხმე თურქეთთან ტესტ-მატჩისთვის და მინდა ვთქვა, რომ მათ კიდევ ერთხელ დამარწმუნეს თავიანთ შესაძლებლობებში. აუცილებლად უნდა ვახსენო **ელიავაც**. ჰო, რა თქმა უნდა, რისკი იყო ის, რომ ეს ბიჭი ასეთ ძლიერ მეტოქესთან სასტარტოში დავაყენე, მაგრამ მან აბსოლუტურად გაამართლა ჩემი იმედები.

ვიდეოანალიზის საშუალებით კიდევ ერთხელ დეტალურად გავარჩიეთ ურუგვაისთან მატჩი. გადავხედეთ იტალიასთან თამაშის შემდეგ დამახსოვრებულ დეტალებსაც. რამდენი ირბინა თითოეულმა ფეხბურთელმა, როგორ იხსნებოდნენ, ზუსტი პასების ვის როგორი პროცენტული მაჩვენებელი ჰქონდა და ა.შ. თითოეულ ფეხბურთელს ცალ-ცალკე ვუჩვენე ყველაფერი, ჩამოვუთვალე პლუსები და მინუსები. გავარჩიეთ ჩემპიონთა ლიგის ფინალიც. "ბარსელონა"-"არსენალი", ჩემი აზრით, ბოლოდროინდელი შეხვედრებიდან ერთ-ერთი ყველაზე სრულყოფილი მატჩი იყო და ძალიან მინდოდა, რომ ბიჭებს ორივე გუნდის უმთავრესი პლუსები გაეთავისებინათ.

ამ თამაშის წინ ყველანი ძალიან კარგ ხასიათზე იყვნენ. ხომ იცით, მოთამაშეებიც ადამიანები არიან, გარდა იმისა, რომ ფეხბურთს თამაშობენ, პირადი ცხოვრებაც აქვთ. შესაბამისად, ხშირად ხდება, რომ ზოგიერთი არც ისე კარგ ხასიათზეა ხოლმე. მაგრამ თურქეთთან მატჩის წინ თითოეული მათგანი მხეცივით მონდომებული ჩანდა. მივხვდი, რომ თურქეთთან ძალიან კარგად ითამაშებდნენ.

ისე, ეროვნული ნაკრების ფეხბურთელების მოტივირება გაცილებით იოლია, ვიდრე კლუბისა, რომლებსაც ხშირად კვირაში ორ-ორი თამაში უწევთ ხოლმე. ნაკრების მოთამაშე თავის ქვეყანას წარმოადგენს და პატრიოტული სულისკვეთებით უნდა იბრძოლოს. ამიტომაცაა, ბიჭებს სულ რომ ვუმეორებ: - თქვენ თქვენი ქვეყნისთვის, თქვენი სამშობლოსთვის იბრძვით. გეძლევათ უნიკალური შანსი, რომ ხალხს ყველა პრობლემა დაავიწყოთ. ქართველებს სიგიჟემდე უყვართ ფეხბურთი, თქვენ კი, ფეხბურთელებს, შეგიძლიათ ხალხს 90 წუთში მისცეთ ის, რასაც წლები სჭირდება ხოლმე - გრძნობა სიამაყისა, რომ ქართველები არიან.

...მეუბნებოდნენ, საქართველოში რა გინდაო. ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი, რისთვისაც აქ მუშაობა გადავწყვიტე, იყო ის, რომ ხალხში ფეხბურთის სიყვარული დავინახე, გუნდში კი პოტენციალი.

გასახდელში

თამაშის დაწყების წინ, როცა გასახდელში ფეხბურთელებს უკანასკნელ რჩევა-დარიგებებს ვაძლევდი, მათ სახეებს კარგად ვაკვირდებოდი და ეჭვი არ მეპარებოდა იმაში, რომ მოედანზე თავს არცერთი არ დაზოგავდა. **- ხიზან, შენ ჰალილის წინააღმდეგ თამაშობ. ამ ფეხბურთელმა დღეს ვერ უნდა იხეიროს. ყურადღებით იყავი, ფლანგზე ხშირად გადადის ხოლმე, ცდილობს მცველი გაიტყუოს და მეორე ფორვარდს, ამ შემთხვევაში თუნჯაის დერეფანი გაუთავისუფლოს.** - ეს ხიზანიშვილს ვუთხარი. ამგვარი დავალებები და რჩევები დანარჩენებმაც კიდევ ერთხელ მიიღეს. საერთოდ თურქები 4-1-4-1 ტაქტიკით თამაშობენ ხოლმე, თუმცა ბოლოს იტალიასთან 4-2-3-1-ით იასპარეზეს და თუ გახსოვთ, მსოფლიოს ჩემპიონთან ფრეს მიაღწიეს. მანამდე მოლდოვას 5:0 მოუგეს და ალბათ ფიქრობდნენ, რომ ჩვენთანაც მინიმუმ 3 გოლის გატანას მოახერხებდნენ.

პირველი ტაიმი

გახარებული ვარ იმით, რომ პირველი 15-20 წუთის განმავლობაში უპირატესობა გვქონდა და თურქებს აბსოლუტურად უშიშრად ვეთამაშებოდით. პირველი ტაიმის მეორე ნახევარში სამწუხაროდ ისევ იყო ფაზა, როცა ფეხბურთელებმა ღელვა დაიწყეს, საბედნიეროდ არა იმდენად, რომ ეს შეცდომებში გადაზრდილიყო. არ მიკვირს, რომ ასე მოხდა, რადგან ჩვენ ძალიან ძლიერი მეტოქე გვყავდა და ცხადი იყო, რომ 90 წუთის განმავლობაში უპირატესობა ვერ გვექნებოდა. მგონი, პირველ ტაიმში გუნდმა თითქმის ყველაფერი ისე გააკეთა, როგორც შევთანხმდით.

შესვენება

გარჩევისას აქცენტი **თუნჯაიზე** გავაკეთე. ეს ფეხბურთელი მეტწილად უკნიდან თამაშობს ხოლმე, ამჯერად კი უფრო ხშირად, ტიპური ცენტრფორვარდის პოზიციაზე გვევლინებოდა და ჰალილთან ერთად **სალუქვაძეს** და **ხიზანიშვილს** პრობლემებს უქმნიდა. მცველებს თუნჯაის წინააღმდეგ ძალიან მჭიდროდ თამაში მოვთხოვე, რადგან ეს უკანასკნელი არც ისე ტექნიკურია, სამაგიეროდ ღონითა და ჭკვიანური თამაშით გამოირჩევა. ამიტომაც ვიფიქრე, რომ თუნჯაისგან უფრო მეტი პრობლემა გველოდა, ვიდრე ჰალილისგან, რომელიც ხიზანიშვილმა პირველ ნახევარში გააუვნებლა.

კალაძე რომ გვყოლოდა, ოდნავადაც არ ვინერვიულებდი, რადგან თუნჯაის ფიზიკური ორთაბრძოლებისას იოლად გაუსწორდებოდა. კურიოზი ის გახლდათ, რომ მეორე ტაიმი თურქეთმა თუნჯაის გარეშე დაიწყო (მის ნაცვლად **კარადენიზი** შემოვიდა). **ფათიჰ თერიმმა** მოედნიდან გაიყვანა ჩვენს მიერ წარმატებით განეიტრალებული ჰალილ ალთინთოპიც, რომელიც **ფათიჰ თექემ** შეცვალა და ამით მეც ახალი თავსატეხი გამიჩინა - რა დასამალია და ყველაზე მეტ საფრთხეს სწორედ თექესგან ველოდი.

მეორე

შესვენების შემდეგ გუნდს უფრო დაცვითი ფეხბურთის თამაში დავავალე. ბიჭებს ვუთხარი, მთავარია, არ გავუშვათ, დარწმუნებული ვარ, რომ დღეს მოედანს უგოლოდ არ დავტოვებთ-მეთქი. საინტერესო ის გახლდათ, რომ თურქებმაც იგივე მოიმოქმედეს - თერიმმა **აურელიო** საყრდენი ნახევარმცველის პოზიციაზე დახია. როგორც კი ეს შევნიშნე, ფეხბურთელებს შევუძახე, არც ისე დაცვითი ფეხბურთი, უფრო შემტევი, ოღონდ ფრთხილად-მეთქი. როცა საკუთარ მოედანზე თამაშობ და მეტოქეც უფრო პრაგმატული ხდება, ე.ი. საფრთხე იგრძნო და უნდა შეუტიო, აბა რა უნდა ქნა?

ოღონდ თურქებთან უკანმოუხედავ შეტევებზე წასვლა არ შეიძლებოდა, რადგან **არდა**, თექე და კარადენიზი კონტრშეტევებზე ძალიან სახიფათონი იქნებოდნენ. ერთი სიტყვით, შესვენებაზე თავის შეგირდებს თერიმმაც აშკარად უკნიდან, კონტრშეტევებზე თამაში დაავალა. ასეთ დროს სტანდარტული სიტუაციები ყველაზე მნიშვნელოვანია. ისე, **დემესგან** ჯარიმის გატანას ველოდი და ახლავე გეტყვით, რატომაც.

სამშაბათს, როცა საჯარიმო დარტყმებზე და სტანდარტულების გათამაშების სხვადასხვა ხერხებზე ვმუშაობდით, დემეტრაძემ ცოცხალი კედელი დააყენა, ხელი კარისკენ გაიშვირა და დამიძახა:

- ტრაინერ, გოლ!

შესანიშნავად დაარტყა და გაიტანა კიდეც. ტაში დავუკარი და მივაძახე, აბა მეორესაც თუ გაიტან-მეთქი.

- ტრაინერ, გოლ! - ისევ იყვირა დემემ, ბურთი ცოცხალ კედელს კვლავ ჩინებულად გადაატარა და ისევ გაიტანა! მესამესაც თუ გაიტან, 50 ლარს ვიხდი-მეთქი. როგორ გგონიათ, ვერ გაიტანა? ძალიან ცდებით...

დემემ თამაშში იგივე ვერ გააკეთა, სამაგიეროდ, **გოგუამ** დაარტყა შესანიშნავად და ახლაც მიკვირს, როგორ მოიგერია **ვოლქანმა** ის ბურთი. მერე კი იყო სენსაციური, მართლაც არაჩვეულებრივი გოლი. ყველაზე მეტად ის მახარებს, რომ კუთხურის გათამაშების რამდენიმე ვარიანტი ამოვირჩიეთ და დაახლოებით ასეთივე ვარიანტი ვარჯიშებზეც რამდენჯერმე გავაკეთეთ.

გოგუას ყველაფერი შესანიშნავად გამოუვიდა და **სირაძემაც** ჭკვიანურად იმოძრავა შორეული ძელისკენ. დათო თავით ძალიან კარგად თამაშობს და მატჩის წინ საჰაერო ორთაბრძოლებისთვის მასზე უდიდესი იმედები დავამყარე. სირაძეს ოდნავ უკნიდან უნდა ეთამაშა, პირველი ბურთისთვის ებრძოლა და უნდა ეცადა, **ლომაიას ან რევიშვილის** დარტყმების შემდეგ, მეორე სართულზე ბურთი მოეგო და თავით დემესთვის მიეცა პასები. დათო ამ მხრივ ძალიან საჭირო ფეხბურთელია.

მერე იყო ემოციები და გაწევ-გამოწევა, რაც ასეთი დაძაბული თამაშისთვის ყოველთვის დამახასიათებელია. მართალია, ყველაფერი იმან გამოიწვია, რომ **მეთინმა** ელიავა ამაზრზენად ჩაჩეხა, ანუ, აყალ-მაყალს საფუძველი თურქებმა დაუდეს, მაგრამ მე მაინც ვუთხარი ბიჭებს საყვედური. მნიშვნელობა არა აქვს, ვისგან მოდის პროვოკაცია - ჩხუბი ყოველთვის გაუმართლებელია. ასეთ დროს სიმშვიდე უნდა შეინარჩუნო. ამხანაგურ შეხვედრაში კიდევ არა უშავს, მაგრამ აი, მაგალითად შოტლანდიაში ამის მსგავსიც კი არაფერი უნდა მოხდეს, თორემ ჩვენთვის რომელიმე ფეხბურთელის გაძევება კატასტროფის ტოლფასი იქნება.

ბოლოს

უთუოდ თავადაც შეგიძლიათ იმის წარმოდგენა, თუ რა ხდებოდა მატჩის დასრულების შემდეგ ჩვენს გასახდელში. უზომოდ გამიხარდა, როცა ქვეყნის პრეზიდენტი მოვიდა და გამარჯვება მოგვილოცა. ყველანი ვამაყობდით. ცხადია, გახარებული იყო პრეზიდენტიც, რომელიც სტადიონზე თურქეთის პრემიერ-მინისტრთან ერთად მოვიდა. ის ხომ ამაყად ეტყოდა **ერდოგანს**:

- აი, ხომ მოგიგეთ!

ჰო, ეს არ იყო ოფიციალური მატჩი, მაგრამ როცა საფინალო სასტვენის შემდეგ გულშემატკივრებმა ჩირაღდნები აანთეს, ვიგრძენი, რომ ამით უზომო მადლიერების, სიამაყის და ბედნიერების გამოხატვა სურდათ, რაც შესანიშნავად გამოუვიდათ. ქომაგებს უდიდეს მადლობას ვუხდი. მეც ვამაყობ ამ გამარჯვებით!

რომ იცოდეთ, უკვე რამდენმა დამირეკა გერმანიიდან:

- კლაუს, თურქებს მოუგეთ? დაუჯერებელია!

სულ ბოლოს: ფათიჰ თერიმს კარგად ვიცნობ. ვიცი, რომ ამ წაგების გამო ძალიან გაბრაზდა. მოედანზეც ეტყობოდა, რომ საქართველოს ნაკრებისგან ასეთ ვაჟკაცურ თამაშს არ ელოდა. მოკლედ, თერიმი გადაირია, რაც ჩემთვის სავსებით გასაგებია, რადგან ჩვენ რომ სომხეთთან ან აზერბაიჯანთან წავაგოთ, ზუსტად ეგრე დამემართება...

ჩაიწერა: გოტფრიდ ლენცი

სპორტული გაზეთი

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაგაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა ბიბილაშვილი
გოგა ახალაძე
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ ბალახაძე, მერაბ ბრძელიძე, მამუკა ძანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაჟელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი

კორექტურა
ლევან ბიბილაშვილი
ლელა ხომასურიძე

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე),
გივი ვეშაპიძე,
ქეთევან დიდგერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ: 46 34 48)
ბაქარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)
შალვა ებანოიძე

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი
გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ ბასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1984-დან)

დამფუძნებლები: შპს გაზეთი ლელო, შპს სპორტმედია

პარტნიორი:
საქართველოს ოლიმპიური ფონდი

მისამართები
მ. კოსტავას 14,
0108 თბილისი
ტელეფონი: 46 30 98, 46 30 56, 46 32 62, 99 56 14, 98 23 94, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი).
ახმეტელის 10ა,
0159 თბილისი
(დიღომი, ახ. კინოსტუდია, პირველი სართული);
ფაქსი: +995. 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge; gazeti_lelo@mail.ru
ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე, გარდა კვირისა